



ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

№2, 2015 ~ №1, 2016

# საქართველოს სამართლის უკანასკნელი

JOURNAL OF  
INTERNATIONAL  
LAW



ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, იურიდიული ფაკულტეტი  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
International Law Institute, Faculty of Law

N2, 2015 - N1, 2016

სამთავროცემ  
სამართლე  
განცხადი

JOURNAL OF  
INTERNATIONAL  
LAW

თბილისი, Tbilisi,  
2016

„საერთაშორისო სამართალის უურნალი“ სამეცნიერო ხასიათის ორენოვანი გამოცემაა. მასში წარმოდგენილია როგორც საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემები, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საკითხები.

უურნალი გამიზნულია საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

## სარედაქციო კოლეგია

### მთავარი რედაქტორი

ლევან ალექსიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
(თსუ)

### აღმასრულებელი რედაქტორი

ქათევან ბუციშვილი

(თსუ)

### სარედაქციო კოლეგიის წევრები:

#### რალუკა ბესტელიუ

ბუქარესტის უნივერსიტეტი,  
ტიტულებულის უნივერსიტეტი (რუმინეთი)

#### ირაკლი ბურდული

(თსუ)

#### კონსტანტინე კორკელია

(თსუ)

#### ვიქტორ კოჩარიანი

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხ-  
ეთი)

#### რაუსტავ გაგებოვანი

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერ-  
ბაიჯანი)

#### დავით პატარაგაია

(თსუ)

#### გირი სიმონიძე

მელბურნის უნივერსიტეტი (ავსტრალია),  
ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეც-  
ნიერების სკოლა (დიდი ბრიტანეთი)

#### ერა სირაძე

(თსუ)

#### ირინე ბუციშვილი

(თსუ)

#### ლაური ჰუთიშვილი

თურქეთის უნივერსიტეტი (ფინეთი)

## BOARD OF EDITORS

### Editor in Chief

LEVAN ALEXIDZE

Iv. Javakhishvili Tbilisi State University  
(TSU)

### Executive Editor

KETEVAN KHUTSISHVILI

(TSU)

### Members of the Board:

#### RALUKA BESTELIU

Bucarest and N. Titulescu Universities  
(Romania)

#### IRAKLI BURDULI

(TSU)

#### LAURI HANNIKAINEN

University of Turku (Finland)

#### KONSTANTINE KORKELIA

(TSU)

#### VIGEN KOCHARYAN

Yerevan State University (Armenia)

#### IRINE KURDADZE

(TSU)

#### RUSTAM MAMEDOV

Baku State University (Azerbaijan)

#### DAVID PATARIA

(TSU)

#### GERRY SIMPSON

Melbourne University (Australia),  
London School of Economics and  
Political Science (UK)

#### EKA SIRADZE

(TSU)

## სარჩევი CONTENTS

|   |           |
|---|-----------|
| <b>დავით ჯაიანი, საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის თანამედროვე<br/>კონცეფცია და საფუძვლები</b> .....   | 5         |
| <b>Davit Jaiani, Modern Concept and Grounds for Fragmentation of International Law</b> .....  | 20        |
| <b>მარიამ კევლიშვილი, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული<br/>კომისიის (ECRI) როლი, რუსეთის ფედერაციიდან ქართველი მიგრანტების<br/>მასობრივი დეპორტაციის ფაქტთან დაკავშირებით საერთაშორისო ნეგატიური<br/>დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში</b> ..... | 32        |
| <b>Mariam Kvelishvili, The Role of the European Commission against Racism and Intolerance<br/>(ECRI) in Forming International Negative Stance towards the Fact of Massive Deportation<br/>of Georgian Migrants from Russian Federation</b> .....              | 44        |
| <b>შალვა კვინიხიძე, მირანდა ხაბაზი, პოლიციის ატაშეების საერთაშორისო<br/>თანამშრომლობა და საქართველო</b> .....   | 54        |
| <b>Shalva Kvinkhidze, Miranda Khabazi, Importance of International Police Attaché<br/>Cooperation and Case of Georgia</b> .....   | 60        |
| <b>ბექა ძამაშვილი, რეგიონალურ დონეზე არსებული სპეციალური ანტიდისკრიმინაციული<br/>აქტების დატვირთვა დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის ფონზე</b> .....  | 65        |
| <b>Beka Dzamashvili, The Role of Special Regional Antidiscrimination Acts in Light<br/>of General Prohibition of Discrimination</b> .....   | 77        |
| <b>ნინო ბერიშვილი, არგაძევების პრინციპის ექსტრატერიტორიული გამოყენება –<br/>საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების შედარება ლტოლვილთა<br/>საერთაშორისო სამართალთან</b> .....   | 78        |
| <b>Nino Berishvili, Extra-Territorial Application of the Principle of Non-Refoulement –<br/>Comparing the Norms of the Law of the Sea with International Refugee Law</b> .....  | 84        |
| <b>ირინა აღაშვილი, განვითარებადი (მზარდი) ეკონომიკის მქონე ქვეყნების<br/>ანალიზი: უცხოური ინვესტიციების დაცვის სტანდარტები</b> .....  | 85        |
| <b>Irina Aghapishvili, Analysis of the Developing (Emerging) Economies: FDI Protection Standards ...</b>  | <b>96</b> |
| <b>დავით ჯანდიერი, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აქტივობა<br/>კედლების კანონიერების თაობაზე</b> .....  | 105       |
| <b>Davit Jandieri, Activity of the International Court of Justice Related to the Legality of Walls</b> .....  | 138       |

## დავით ჯაიანი

### საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის თანამედროვე კონცეფცია და საფუძვლები

*The Georgia v. Russia case is significant for another reason – it is an example of the contemporary phenomenon of the same or similar legal questions surfacing in diverse fora. This is a consequence of the dispersal of responsibility for interpreting international law – especially human rights law – among different judicial and quasi-judicial bodies.*

*[...] It has long been my view that the best way to avoid fragmentation of international law is for us all to keep ourselves well informed of each other's decisions, to have open channels of communication, and to build on the cordial relationships that already exist among the courts in The Hague, Strasbourg, Luxembourg, Arusha and so on.<sup>1</sup>*

მოსამართლე ჰიგინსის (ICJ მაშინდელი თავმჯდომარე) სიტყვა ადამიანის უფლ. ევროპული სასამართლოს იურიდიული წლის გახსნა.

#### I. შესავალი

1953 წლის ბრიტანული ბიულეტენისთვის მომზადებულ შრომაში კილფრედ ჯენერსი შენიშნავს, რომ „კონფლიქტი კანონშემოქმედებით ხელშეკრულებებს შორის [...] მიღებულ უნდა იქნას როგორც საერთაშორისო სამართლის გარდაუვალ ზრდასთან არსებული გარემოება“. შესაბამისად, ჯენერსი მოუწოდებს საერთაშორისო იურისტებს „ჩამოაყალიბონ პროცესები იმ შემთხვევისთვის, როცა ამგვარი კონფლიქტი წარმოიშობა“.<sup>2</sup> დირკ პულკოვსკი, აღნიშნავს, რომ – ჯენესის შორსმჭვრეტელი სტატიდან 5 ათ-ნლეულის შემდეგ, საერთაშორისო სამართალი კიდევ უფრო რადიკალური ფუნქციური დანაწილების პირასაა, რასაც მივყავართ კიდეც საერთაშორისო სამართლის სავარაუდო „ფრაგმენტაციამდე“.<sup>3</sup> მანვე გამოჰყო ფრაგმენტაციის სწავლებათა 4 ფართო კატეგორია.<sup>4</sup>

ჯენესისზემოთმოყვანილი სიტყვებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ჩვენ ვხვდებითამ საკითხებს, კერძოდ – საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციისაგან წარმომდგარი რისკები (გერპარდ ჰაფნერი) – გრძელვადიან სამუშაო პროგრამაში შესატან თემათა სიაში, რომელიც თან ერთვის საერთაშორისო სამართლის კომისიის 52-ე სესიის (1 მაისი

– 9 ივნისი და 10 ივლისი – 18 აგვისტო 2000 წ.) საქმიანობის ანგარიშს.<sup>5</sup> ამ დოკუმენტში, ჰაფნერი აღნიშნავდა, რომ –

„ბოლო პერიოდში, კერძოდ, ცივი ომის შემდგომ, საერთაშორისო სამართალი მომეტებული ფრაგმენტაციის ობიექტი შეიქნა ვიდრე მანამდე. ამ მოვლენის მთავარი გამომწვევი ფაქტორი კი საერთაშორისო რეგულაციების ზრდა. ასევე, ერთ-ერთი მიზეზია პოლიტიკური ფრაგმენტაციის ზრდა რეგიონულ და გლობალურ დამოუკიდებლობის ზრდასთან ერთად ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, გარემოს დაცვა, ენერგია, რესურსები, ჯანდაცვა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება. მაშასადამე, ადვილად შეიძლება იქნას მიჩნეული, რომ დღეისათვის საერთაშორისო სამართლის პომოგენური სისტემა აღარ არსებობს“.<sup>6</sup>

წინამდებარე ნაშრომი გაანალიზებს იმ ხანგრძლივი პროცესს, რაც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მკვლევართათვის ტერმინ საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის ქვეშ მოიაზრება. სტატია უპირველეს ყოვლისა გამოყოფს საფუძლებს, რომლებიც, როგორც განცალკევებულად, ასევე ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან ურთიერთკავშირში, გვაძლევს ეფექტს,

რომელსაც რიგი მეცნიერები სამართლის ეროვნიას ადარებენ. ნაშრომის მიზანია მკითხველი გაეცნოს ფრაგმენტაციის პროცესის მეცნიერულ კონცეფციას, როგორც სავარაუდო უარყოფით, ასევე დადებით მხარეებს, რათა უკეთესი წარმოდგენა გვქონდეს ფრაგმენტაციის, როგორც საერთაშორისო სამართლისათვის თანდაყოლილი, მისი განვითარებისათვის დამახასიათებელი პროცესის თეორიულ ბუნებასა და პრაქტიკულ ეფექტზე.

## II. საცუდვლები

ფრაგმენტაციის საკითხებზე სამართლებრივი დისკუსიის აღმოცენების უკეთ გააზრებისათვის, უპირველესად, უნდა დავაკვირდეთ საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციული ბუნებას, რომელიც ჰაფნერის აზრით, საერთაშორისო სამართალში სხვადასხვა შერისა და ქვეშრეის წარმოქმნის მიზეზია, ეს უკანასკნელი შესაძლოა მოვიდნენ ურთიერთკონფლიქტში. სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულ ფრაგმენტაციის მიზეზთაგან, შეჯამების სახით, შესაძლოა გამოიყოს შემდეგი გამოწვევები –

- (1) ცენტრალიზებული ორგანოების არარსებობა-საერთაშორისო სამართლის ბუნება, როგორ კოორდინაციის და არა დაქვემდებარების სამართლის; ასევე, ცენტრალიზებული ინსტიტუტების წაკლებობა, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჰამოგენურობასა და სამართლებრივ რეგულაციებთან შესაბამისობას.
- (2) სპეციალიზაცია-პრაუნიფიქრობს, რომ სპეციალიზაციის პროცესიდან ამომავალი ფრაგმენტაცია საერთაშორისო სამართლის მთლიანობისყველაზე დიდი საფრთხეა;<sup>7</sup> ამგვარი განვითარება მიგვიყანს „თემატურ ავტონომიამდე“ (topic autonomy)-უცნაური შედეგებით (გარემოს დამცველები უგულებელყოფენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ადამიანის უფლებების დამცვლები კი არ იცნობენ უცხოელთა მდგომარეობის მარეგულირებელ ხელშეკრულებებს და ა.შ.). შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ერთიანობის ორი ძირითადი საფრთხე ამოდის ზედაპირზე: ასიმეტრიული სპეციალიზაციის ტიპი და პოლიტიკური დაყოფა ცალკეულ საკითხებზე.

- (3) სამართლებრივი ნორმების განსხვავებული სტრუქტურა – ეს ტენდენცია განპირობებულია სამართლებრივი ნორმების განსხვავებული სტრუქტურისთვის. არსებული საერთაშორისო სამართალი იცნობს სულ მცირე, სამი სახის განსხვავებულ სამართლებრივ სტრუქტურას:
  - 1) კლასიკური საერთაშორისო სამართალი მეტნილად შედგება სინალაგმატიკური ბუნების წაცვალგებითი ნორმებისაგან;<sup>8</sup>
  - 2) საერთაშორისო სამართალში ახალი განვითარებები, რომელიც ანესებს სახელმწიფოს მოვალეობებს ინდივიდების მიმართ, როგორც, მაგალითად, ადამიანის უფლებების დამცავი ნორმები;
- (4) პარალელური რეგულირება-საერთაშორისო სამართლის ერთიანობის კიდევ ერთი საფრთხეს წარმოდგენს უნივერსალურ ან რეგიონულ დონეზე ერთი და იმავე საკითხების პარარელური რეგულირება. ამის ერთ-ერთი მაგალითი არის საერთაშორისო წყლის დინებების არასანავიგაციო მიზნით გამოყენების სამართლის შესახებ კონვენცია, რომელიც ენინააღმდეგება ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენციას ტრანსსასაზღვრო წყლის დინებების და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ.<sup>9</sup>
- (5) კონკურენტული რეგულირება – ზოგადად, ეს სიტუაცია შეიძლება ასევე წარმოიშვას სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმის გართულებით, მოლაპარაკებათა სხვადასხვა ორგანოებში, რომლებიც სახელმწიფოთა ერთსა და იმავე ჯგუფს მიემართება. ამ შემთხვევის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ „შეჯიბრი“ კოსმოსში ცალკეული აქტივობის რეგულაციების თაობაზე კოსმოსის მშვიდობიანი გამყენების გაეროს კომიტეტსა და ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირს შორის (რომლებიც უკვე ცდილობენ ამ მიმართულებით მათი მიდგომების ჰარმონიზაციას).<sup>10</sup>
- (6) საერთაშორისო სამართლის მასშტაბების ზრდა-უფრო ზოგადი პერსპექტი-

ვიდან, საერთაშორისო სამართლის ამ-გვარი, ფრაგმენტაციული ბუნება, დუ-პუს და სხვა მეცნიერთა აზრით, გამო-წვეულია საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროს(*material scope*) გაფართოებით, მოთამაშების გამრავ-ლებითა და საერთაშორისო ვალდებულებათა ეფექტიანობის გაზრდის მცდ-ელობით, ცალკეული კონვენციური და ე.წ. გადატვირთული ზედამხედველობის მექანიზმების შექმნის გზით, კერძოდ ადამიანის უფლებების სფეროში, საერ-თაშორისო ეკონომიკურ სამართალში, ვაჭრობის და ასევე გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალში.<sup>11</sup>

- (7) მეორადი წესების განსხვავებული რეჟი-მები-გასულ ათწლეულებში მომხდარი განვითარებამ გვაჩვენა, რომ მხოლოდ არსებული პირველადი ნორმების სიმ-რავლე ავტომატურად და უცილობლივ არ აუმჯობესებს საერთაშორისო და რე-გიონულ თანამშრომლობას. მართლაც, პირველადი საერთაშორისო ნორმების ზრდამ პარალელურად გამოიწვია ამ ნო-რმების შესრულების პრობლემა. აქიდან გამომდინარე შესაძლო კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად სახელმწიფოები შეეცადნენ ეს ნორმები აღეჭურვათ სპე-ციალური მეორადი ნორმებით, რომელებ-საც მიენიჭებოდა უპირატესობა საერ-თაშორისო სამართლის ზოგად მეორად ნორმებთან შედარებით. ამ სპეციალ-ური ნორმების მიზანია უზრუნველყონ პირველადი ნორმების შესრულება, სათა-ნადო ადმინისტრირება და დარღვევებზე ადეკვატური რეაგირება.<sup>12</sup>

წინამდებარე თავის შეჯამებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული 7 პუნქტი, მართალია შედარებით განზოგადე-ბული ფორმით არის გადმოცემული, თუმცა თითოეულ მათგანს ძალუძს ბიძგი მისცეს სე-რიოზულ ფრაგმენტაციულ პროცესებს თა-ნამედროვე საერთაშორისო სამართლის უმე-ტეს დარგებში. განსაკუთრებული სირთუ-ლით გამოირჩევა ის შემთხვევები, როდესაც სამართლებრივ სცენაზე ფრაგმენტაციის ერთზე მეტი საფუძველი იყრის თავს. სამ-ნუხაროდ, ეს მხოლოდ თეორიული დაშვება არ არის და ამგვარი სცენარი თანამედროვე საერთაშორისო თანამეგობრობის პრაქტიკა-

შიც მოიპოვება, რის მაგალითებსაც ქვემოთ შევხვდებით.

### III. კონცეფცია

მართალია, არ არსებობს საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება, თუმცა საერთა-შორისო მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ფრაგ-მენტაცია ნარმოდება საერთაშორისო სა-მართლის მომეტებულად დანაწილებული დარგების განვითარებისაგან.<sup>13</sup> შესაბამისად, ცალკეული მოსაზრებით, ფრაგმენტაცია ტექნიკური პრობლემაა, რომელსაც კონცეპ-ტუალური ფესვები აქვს. მაგალითად, მარტი-ნონერს, რომ „ფრაგმენტაციაზე დებატების შესაძლებლობა, იმთავითვე იმის აღიარებაა, რომ არსებობს უთანებმოება, თუ რა ინტენ-სივობის დაძაბულობა არსებობს საერთა-შორისო სამართალში ერთობასა და მრავალ-ფეროვნებას და როგორ უნდა მოგვარდეს იგი“.<sup>14</sup> სხვები აღიარებენ, რომ ტექნიკური პრობლემა ნარმოიშვა პროცედურული საკი-თხებიდან. მარტი კოსკენიერი და ბრუნი სიმა, მაგალითად, მოიხსენიებენ ფრაგმენტა-ციას, როგორც ტექნიკური ექსპერტიზის ეროვნულიდან საერთაშორისო კონტექსტში გადმოტანის მრავალმხრივ აქტს.<sup>15</sup> სხვანი ფრაგმენტაციას აიგივებენ დაპირისპირებუ-ლი წესების და ინსტიტუტების პრაქტიკის ურთიერთქმედებასთან, რაც კულმინაციას ჰპოვებს ზოგადი საერთაშორისო სამართლის ეროვნიაში.<sup>16</sup>

საერთაშორისო სამართლის მეცნიერე-ბი ასევე ამტკიცებენ, რომ ფრაგმენტაცია დამახასიათებელია თანამედროვე საერთა-შორისო სამართლისათვის, რომელიც წარ-მოსდება საერთაშორისო პრაქტიკისაგან.<sup>17</sup> კერძოდ, 2006 წლის მოქსის სადგურის საქმე, მოიხსენიება ხოლმე ამ ფენომენის ცნობილ მაგალითად.<sup>18</sup> დავა ეხებოდა ბირთვული ენ-ერგიის ინსტალაციას სელაფილდში (გაერ-თიანებული სამეფო)<sup>19</sup> და მოიცავდა სამ სა-ფეხურს და სამ სხვადასხვა იურისდიქციას.<sup>20</sup>

კოსკენიერი და ნიკოლაოს ლავრანისი-მართებულად ამტკიცებენ, რომ ფრაგმენტა-ციის პრობლემის შეზღუდული პერსპექტივი-დან, ამ საქმეში ევროპის კავშირის სასამართ-ლოს გადაწყვეტილებამ აირიდა თავიდან ევროგაერთიანების სამართლის ფრაგმენტა-ცია, ისე რომ მხედველობაში არ მიიღო სხვა, დავისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო

რეგულაციები,<sup>21</sup> რითიც ხელი შეუწყო საერთაშორისო სამართლის სავარაუდო ფრაგმენტაციას.<sup>22</sup>

სხვა სასამართლო პრეცედენტებიდან მნიშვნელოვანია გამოიყოს ის შემთხვევები, როცა საერთაშორისო სამართლის ფუნქციური რეჟიმები მოქმედებენ როგორც ე.წ. ავტონომიური რეჟიმები. მაგალითად, კადის და ალ ბარაკას საქმეში, ECJ დაადგინა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დებულებათა დანერგვამ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ვერ დაარღვევს ცალკეულ ძირითად ადამიანის უფლებებს, რომელიც დაცულია ევრო-კავშირის სამართლით. მსგავსად ამისა, საქონლის ჰორმონის საქმეში, ვმოსააპელაციო ორგანომ გადაწყვიტა, რომ გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართლიდან აღმოცენებული გამაფრთხილებელი პრინციპი არ იყო მბოჭავი ძალის ვმო-სქოლგის ქვეშ მყოფი ხელშეკრულებებისათვის, მაშინ როცა ბიოტექნის (EC-Biotech) საქმეში, ვმო-მ დაადგინა, რომ ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, როგორიცაა ბიოუსაფრთხოების ოქმი, წარმოადგენენ არასავალდებულო, ინფორმატიულ სამართალს და უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ვმო-ს (WTO) შეთანხმებების განმარტებისას.<sup>23</sup>

მართალია, ფრაგმენტაციის ფენომენი-შეიძლება მოიხსენიებოდეს, როგორც საერთაშორისო სამართლის ფუნქციური რეჟიმების წარმოშობის წინაპირობა ან შედეგი, თუმცა არ არსებობს საბოლოო შეთანხმება თუ რომელი პერსპექტივა უფრო სწორია. მაგალითად, კოსკენიერმის მტკიცებით, ავტონომიური რეჟიმების სტრუქტურული ბუნების გათვალისწინებით, საერთაშორისო სასამართლოებისა და ტრიბუნალების მიერ საერთაშორისო სამართლის დებულებების საკუთარი პერსპექტივიდან და იურისდიკციული შეზღუდვებით განმარტების ტენდენცია ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლის განვითარების გაურკვეველ პროცესს.<sup>24</sup> წინამდებარე ნაშრომში ავტონომიური რეჟიმების თემა არ იქნება ფართოდ განხილული მისი მოცულობისა და თემატურობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო იურისტები ფრაგმენტაციის ფენომენის დაძლევის სხვადასხვა ტექნიკას მიმართავენ, არ არსებობს შეთანხმებული აზრი საერთაშორ-

ისო სამართლის ზოგად და სპეციალური წესებს შორის ურთიერთობის შესახებ. აღნიშნული ხელს უშლის საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული იერარქიის ჩამოყალიბებას, რაც გამოყენებული იქნებოდა როგორც ნორმატიული კონფლიქტების საერთაშორისო სამართალი. აქიდან გამომდინარე, ფრაგმენტაცია გამოიკვეთება როგორც საერთაშორისო სამართლის თანდაყოლილი მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს ფენომენს და უნდა იმართოს და არა პრობლემას, რომელიც უნდა მოგვარდეს.<sup>25</sup>

ფრაგმენტაციის კონცეპტუალური გაგებისათვის სიმა თავისი „პრაქტიკოსის პერსპექტივიდან“<sup>26</sup> უპირველესად ცდილობს გამოჰყოს უნივერსალურობის სამი დონე (კონცეფცია). თავიდან, იგი იწყებს საერთაშორისო სამართლის უნივერსალურობის „კლასიკური“ გაგებით, რომელიც -

„ნიშნავს რომ გლობალურ არენაზე არსებობს საერთაშორისო სამართალი, რომელიც მოქმედებს და ვრცელდება ყველა სახელმწიფოზე. ამგვარად გაგებული უნივერსალურობა, როგორც გლობალური მოქმედება და გამოყენება, გამორიცხავს რეგიონულ (ჩვეულებით) საერთაშორისო სამართალსან სახელშეკრულებო რეჟიმს, რომელიც ქმნის სამართლებრივ ქვე-სისტემას, [...]“. მაგრამ ყველა ეს კონკრეტული წესი „ჩანერგილია“, ფუნდამენტურ უნივერსალურ სხეულში, საერთაშორისო სამართლის არსში. ამ ჭრილში კი საერთაშორისო სამართალი ყოვლისმომცველია.<sup>27</sup>

შემდეგ იგი აღნერს ე.წ. მეორე დონის უნივერსალურობას –

„უნივერსალურობა – ფართო გაგებით – პასუხობს კითხვაზე – შეიძლება თუ არა საერთაშორისო სამართალი აღქმული იქნას ორგანიზებული მთელის ჩამოყალიბებელ ძალად, თანმიმდევრულ სამართლებრივ სისტემად, თუ ის რჩება [...] ნორმათა შემთხვევით ნაკრებად, ან ნორმათა ქსელად, მცირედი ურთიერთკავშირებით“.

მესამე დონისუნივერსალურობაკი –

„შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მიემართება, ნამდვილ ან მოჩვენებით, (ცვალებად) ბუნებას საერთაშორისო სამართლებრივი სისტემისა, პარალელურად საერთაშორ-

ისო სამართლებრივი აზროვნების „უნი-ვერსალიზმად“ წოდებული ტრადიციისა. ამ კუთხით, საერთაშორისო სამართლი-სადმი უნივერსალური მიდგომა გამოხატავს რწმენას, რომ შესაძლებელი, სასურველი და გადაუდებლად და სასწრაფოდ საჭიროა (და ზოგან უკვე პროცესიც კი დაიწყო) გლობალური მასშტაბის საჯარო წესრიგის ჩამოყალიბება, საერთო სამართლებრივი წესრიგისა მთლიანი კაცობრიობისათვის.<sup>28</sup>

ამგვარად გაგებული უნივერსალურობა არსებითად სცდება „თანამშრომლობის საერთაშორისო სამართლის სხეულის დამატებით ფენის დეფინიციას, როგორც მას უნიდებდა ვოლფგანგ ფრიდმანი მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.<sup>29</sup> კონცეფცია მოიცავს საერთაშორისო სამართლის გაფართოებას სახელმწიფოთაშორის სფეროს მიღმა, კერძოდ ინდივიდებისათვის საერთაშორისო უფლებაუნარიანობის მინიჭებით და ნორმათა იერარქიის დადგენით, ფასეულობებზე ორიენტირებულ მიდგომას, საერთაშორისო სამართლის „ვერტიკალიზაციას“, საბოლოოდ კი საერთაშორისო თანამეგობრობის როგორც თანამეგობრობის სამართლებრივი ჩამოყალიბებას.<sup>30</sup>

მართლაც, საერთაშორისო სამართალი უდავოდ გადავიდა იმ საფეხურზე, სადაც იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ სახელმწიფოთა შორის ურთიერთვალდებულებებითა და უფლებებით, არამედ მოიცავს საერთაშორისო თანამეგობრობის, როგორც მთლიანობის, საერთო ინტერესებს, მათ შორის, სახელმწიფოსთან ერთად ადამინების ინტერესებსაც. ამგვარი მოქმედებებიდან გამომდინარე იგი უფრო და უფრო მეტ იმგვარ თვისებას ამჟღავნებს, რომელიც არ ჯდება ტრადიციული სამართლის „ცივილისტურ“, ორმხრივ სტრუქტურაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს გზა მიდის ნამდვილი საჯარო საერთაშორისო სამართლის ჩამოყალიბებამდე.<sup>31</sup>

შემდგომში სიმა უბრუნდებაუშუალოდ ფრაგმენტაციის საკითხს, რომლის

„განმარტებებიც ცალსახად ნეგატიურია: რაღაც იშლება, იყოფა, ან უარესი... საერთაშორისო სამართლებრივ ენაში ეს ტერმინი ცნობილი გახდა გამომდინარე შიშიდან, რომ საერთაშორისო სამართლმა შეიძლება დაკარგოს საყოველ-

თაო გამოყენება, ასევე ერთიანობა და თანმიმდებრულობა მისი დაქვემდებარებული საკითხების გადაფრთხოებისა და დივერსიფიცირების, ასევე ახალი სფეროების განვითარების შედეგად, რომლებიც საკუთარ გზას ჰქოვებენ და შესაბამისად სამართლებრივი უსაფრთხოება (legal security)ამით დაზიანდება<sup>32</sup>.

კერძოდ, ესარის მეტი კანონშემოქმედებითი ტიპის საერთაშორისო ხელშეკრულების გამოჩენა, რომელიც არეგულირებს მსგავს ან იდენტურ შემთხვევებს, განსხვავებულ, ხანდახან კი დაპირისპირებული გზებით და სავალდებულოა შესასრულებლად განსხვავებული, თუმცა ზოგჯერ ურთიერთდაკავშირებული ჯგუფის სახელმწიფოთათვის, რომლებსაც ანუხებს იგი.<sup>33</sup> მართლაც რომ „არ არსებობს ერთი საკანონმდებლო ნება საერთაშორისო სამართალში“.<sup>34</sup> ცისფერფარფლიანი თინუსის საქმეში საარბიტრაჟო ტრიბუნალმა ისაუბრა საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების „ზრდასა და აკუმულირებაზე“.<sup>35</sup> ტრიბუნალმა იგი საერთაშორისო სამართლისათვის მომგებიან პროცესად წარმოაჩინა, რასაც პრინციპში დავეთანხმებოდი, თუმცა, რადიკალური კუთხით თუ შევხედავთ, ჩნდება კითხვა – ხომ არ მიგვიყვანს ამგვარი განვითარებასაერთაშორისო სამართლის ზოგიერთი ნაწილის სხვებისაგან სრულ გათიშვამდე? ზოგადი საერთაშორისო სამართლის თალის გარეშე, რომელიც ფარავს და ინარჩუნებს ნაწილებს ერთობლიობაში. ამ კითხვით დაინტერესებული მკვლევარები მაღლევი გამოთქვამენ ეჭვებს, რომ „[ქ]ლიერი სახელმწიფოები მუშაობენ რომ შეინარჩუნონ და წაახალისონ კიდეც ფრაგმენტაცია, რადგან იგი აძლევს მათ საშუალებას, რომ დაიცვან მათი ბატონობა იმ ერაში, როდესაც იერარქია უფრო და უფრო ხშირად აღიმება არალეგიტიურად, ასევე შეძლებისდაგვარად გვერდი აუქციონ წესებს, ისე, რომ სერიოზული საფრთხე არ შეუქმნან მათივე შექმნილ სისტემას“.<sup>36</sup>

დასკვნის სახით, სიმა გვთავაზობს უფრო „ტექნიკურ“ ახსნასაც –

„საერთაშორისო სამართლის „ფრაგმენტაციად“ აღწერილი ფენომენი სხვა არაფერია, თუ არა მმართველობის ფუნქციულ განსხვავებათა გადაადგილების შედეგი ეროვნულიდან საერთაშორისო

არენაზე, რაც ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლი დღეს მომეტებულად ირეკლამის სამართლის დარგების განსხვავებებს, რომელიც ჩვენთვის ცნობილია შიდასახელმწიფოებრივი სფეროდან. შედეგად, საერთაშორისო სამართლმა განავითარა და კვლავ ავთარებს, საკუთარ მეტ-ნაკლებად სრულ მომწესრიგებელ რეჟიმებს, რომელიც შესაძლოა ერთხელაც ურთიერთობონაურენციაში აღმოჩნდნენ“.

ამგვარ „ოპტიმისტურ“ მიდგომას არ იზიარებს პროფ. კოსკენიუმი, რომელმაც საჯარო საერთაშორისო სამართლის ბეჭდს სტატია დაუთმო რამდენიმე წლით ადრესიმას შრომამდე, თანამედროვე სამართლის მიმოხილვაში.<sup>37</sup> ფრაგმენტაციისადმი მიძლვილ თავს იგი შემდეგი სიტყვებით იწყებს – „მაგრამ სამართალში მომხდარმა განვითარებებმა არ მიგვიყვანა ერთიანობამდე“. ამასთან, აღნიშვნის ღირსია, რომ ავტორი განიხილავს ფრაგმენტაციის ფენომენს ცალკე თავში და განასხვავებს მას ისეთი პროცესებისაგან, როგორიცაა, მაგალითად – დეფორმალიზაცია, სამართლებრივი პლურალიზმი და კონსტიტუციონალიზაცია.<sup>38</sup>

ფრაგმენტაციის შესაძლო მიზეზებზე საუბრისას შეიძლება დავისკვნათ, რომ

„რაც უფრო მეტად ეხება ახალი განვითარებები სამართალში საერთაშორისო-სამართლებრივ პრობლემებს, როგორიცაა ეკონომიკა, განვითარება, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, დამანაშავეობა, უშიშროება, მით უფრო დიდი გამოწვევის წინაშე დადგა ძველი პრინციპები და ინსტიტუტები. სპეციალიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, „ევროკავშირის სამართალი“, „ვაჭრობის სამართალი“, ადამიანის უფლებათა სამართალი“, „გარემოს დაცვის სამართალი“, „სისხლის სამართალი“, გახდა მიზეზი ჩამოყალიბებული სამართლებრივი იერარქიის ცვლილებებისა სტრუქტურული მიკერძოების (structural bias) სასარგებლოდ, შესაბამისი ფუნქციური კომპეტენციის (expertise) განხორციელებისას. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ხშირად მთავრობათაშორისი ორგანიზაციების მეშვეობით ორგანიზებული იყო, სამთავრობო დელეგაციებში

შედიოდნენ ტექნიკური ექპერტებისაგან (ეკონომიკა, გარემოს დაცვა, სამართლი), რამაც გამოიწვია ფუნქციური განსხვავებების ეროვნული დონიდან საერთაშორისო არენაზე გადატანა.<sup>39</sup>

„ეს არის ცვლილება, რომელზეც საერთაშორისო იურისტების რეაქცია იყო სპეკულაციები ისეთი „საფრთხეების“ თაობაზე, როგორიცაა – თანმიმდევრულობა, ფორუმშობინგი და რაც კიდევ უფრო საგულისხმოა, „ეფექტიანი კონტროლის დაკარგვა“. აქვეგვასენდებადიჩისაქმე, სადაც 1999 წელს ყოფილი იუგოსლავის ტრიბუნალმა (ICTY) შეცვალა „ეფექტიანი კონტროლის“ მანამდე არსებული საერთაშორისო სასამართლოსეული, ნიკარაგუას საქმის, 1986, სტანდარტი და შემოილო „საერთო კონტროლის“ წესი, რომელიც ბევრად უფრო ფართო სტანდარტს გვთავაზობს. კოსკენიუმისთვის აღნიშნული ცვლილება უფრო პრობლემის ნაწილია ვიდრე მისი გადაწყვეტისა, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის იურისტებისათვის ეს „დაუსჯელობის წინააღმდეგ“ პროცესიულ ბრძოლას წარმოადგენს, იმდენად რამდენადაც ძველ სამართალს კონსერვატიულ და სახელმწიფოზე ორიენტირებულად მიიჩნევდნენ.<sup>40</sup>

კოსკენიუმისმიიჩნევს რომსაერთაშორისო სისხლის სამართლის ან ადამიანის უფლებათა სამართლის (ან ნებისმიერი სხვა სპეციალური სამართლის) მსგავსის წარმოშობის აზრი არის, ზუსტად მოახდინოს ამ მიმართულებებით განსაზღვრული ახალი პრიორიტეტების ინსტიტუციონალიზაცია. მაშინ ვინ უნდა გადაწყვიტოს, თუ პოლიტიკური დაპირისპირება იურისდიქციათა კონფლიქტის ფორმას მიიღებს? ამ შემთხვევისთვის გვაქვს სხვა ცნობილი მაგალითები – ICJ, ბირთვული იარაღებისდა ვმო-ს<sup>41</sup> საქმეები. აქვე, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ რამდენიმე ხელმისაწვდომი სამართლებრივი რეჟიმიდან ერთ-ერთის არჩევაც მნიშვნელოვან პრობლემად არის მიჩნეული. ამ სიტუაციაში, კოსკენიუმისმივყართულფრო მნიშვნელოვან შეკითხვამდე თუ როგორ ესმის შესაბამის ინსტიტუტს მისი მისია, საკუთარი სტრუქტურული გავლენა.

ის რომვმო-სსაპელაციო ორგანო მიიჩნევს საქმინლის პრომონს, საჭრობის (და არა ჯანმრთელობის) საკითხად, გამომდინარეობს

იმ ფაქტიდან რომ ეს ორგანო დამფუძნებელი დოკუმენტებით არის დავალდებულებული ამგვარად მიუდგეს საქმეს. ანალოგიურად, თუ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო აღწერს საკონსულო დაცვას, როგორც ადამიანის უფლებას, ეს სრულად შეესაბამება იმ ინტერესების პერსპექტივას, რომლის დასაცავადაც შეიქმნა იგი.<sup>42</sup> თუმცა, ამგვარი პრიორიტეტები შეიძლება არ იყოს გამოკვეთილი, როდესაც ინსტიტუტს აქვს უფრო ზოგადი იურისდიქცია. მაგალითად, როდესაც 2004 წელს საერთაშორისო სასამართლომ გამოაქვეყნა დასკვნა კედლის საქმეზე,<sup>43</sup> მას შეეძლო აერჩია და გაეკეთებინა ეს თვითგამორკვევის სამართლის პერსპექტივიდან, ან ტერორიზმის ნინააღმდეგ ძალის გამოყენების, ან ადამიანის უფლებათა/პუმანიტარული სამართლის.<sup>44</sup> სასამართლოს დასკვნის აქცენტები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს სწორედ არჩეული ფოკუსის გამო.<sup>45</sup>

ზოგიერთ შემთხვევაში –

„უდავო იყო, რომ შემთხვევა შეიძლებოდა განხილულიყო როგორც „უშიშროების“ ასევე „ადამიანის უფლებების“ კუთხით. შესაბამისი ჩარჩოს არჩევამ განაპირობა საბოლოო გადაწყვეტილება, მაგრამ ჩარჩოს გადასაწყვეტად არ არსებულა არა-ნაირი მეტა-რეჟიმი, მითითება ან წესი. მოსარჩელის უფლებების სასამართლო-სეული გაგება, უშიშროების გამოწვევების ჭრილში, შეიძლება იყოს მისაღები ჩვენთვის ან არა, მაგრამ მისი გაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას გავნიხილავთ უსაფრთხოებისადმი სასამართლოს მიკერძოების ჭრილში“.<sup>46</sup>

სამართლებრივი ფრაგმენტაციის პრობლემატურობა უფრო ნათელი ხდება, როდესაც რამდენიმე ინსტიტუტი ცდილობს განსხვავებულად მოაგვაროს საკითხი და არ არსებობს მყარი კონსენსუსი ან განმარტებითი პრაქტიკა. სეფილდში MOX-ის ბირთვული ქარხნის მოქმედების გარემოზე შესაძლო შედეგების საკითხი, როგორც უკვე ვახსენეთ ზემოთ, სამი სხვადასხვა ინსტიტუციის წინაზე იყო წარდგენილი: გაეროს საზღვაო სამართლის კონვენციის (UNCLOS) საფუძველზე შემდგარი საარბიტრაჟო ტრიბუნალის, ასევე OSPAR კონვენციის არბიტრაჟის და ევროპული კავშირის სასამართლოს, ევროგაერთიანების და ევრატონის ხელშეკრულე-

ბების საფუძველზე. წესების სამი კომპლექსი – UNCLOS, OSPAR და ევროგაერთიანების სამართლი-დაინტერესდა ერთი და იმავე ფაქტების განხილვით. რომელი მათგანი უნდა იყოს გადამწყვეტი? რაში მდგომარეობს ძირითადი პრობლემა – საზღვაო სამართლში? ჩრდილოეთის ზღვის სავარაუდო დაბინძურებაში, თუ ევროგაერთიანების შიგნით არსებულ ურთიერთობებში? ამგვარი შეკითხვების დასმა უკვე მიგვანიშნებს თუ რამდენად რთულია მათზე პასუხების მოძიება. რა თქმა უნდა, საქმე ეხება თითოეულ ზემოთჩამოთვლილ საკითხს; და მაინც არჩევანი უნდა გაკეთდეს ინსტიტუტებს შემორის; და მისი მნიშვნელობა არც გამორჩენია, მაგალითად, UNCLOS-ის საარბიტრაჟო ტრიბუნალის:<sup>47</sup>

„...იმ შემთხვევაშიც კი, თუ OSPAR, ევროგაერთიანების და ევროატონის ხელშეკრულებები შეიცავს UNCLOS მსგავს ან იდენტურ მუხლს ან ვალდებულებას, ეს უკანასკნელიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები არსებობენ განცალკევებით UNCLOS დებულებათაგან.“<sup>48</sup>

მაშინაც კი, თუ ეს ინსტიტუტები ერთ-სადაიმავე წესებს გამოიყენებდნენ, ისინი მათ გამოიყენებდნენ სხვადასხვაგვარად გამომდინარე მათი „განსხვავებული მიზნები-დან და ობიექტიდან, მხარეთა შესაბამისი პრაქტიკიდან და *travaux préparatoires*.<sup>49</sup>

ზემოთმოცემული საქმეები და არა მხოლოდ, აძლევს ფრაგმენტაციის მკვლევარ მეცნიერებს მტკიცე საფუძველს დასკვნან, რომ „ყველაფერი დამოკიდებულია ინსტიტუციურ მიკერძოებაზე.“<sup>50</sup>

#### IV. ეფექტები

საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის უარყოფითი და დადებითი ეფექტების ერთ-ერთი პირველი, განზოგადებული სახის ჩამონათვალი შეგვიძლია მოვიპოვოთ გერპარდ ჰაფნერთან.<sup>51</sup>

ათწლეულის შემდეგ ჩვენ კვლავ შეგვიძლია დაწმუნებით დავაკვირდეთ, რომ საერთაშორისო სამართლის მიჩიგანის უურნალში გამოქვეყნებულ სიაში მოცემულ დებულებათა უმეტესობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, ხოლო წევატონი ეფექტების რაოდენობა არ შემცირებულა. ვერც იმას

ვიტყვით, რომ ახალი ხარვეზების გამოვლენის ალბათობა ნეიტრალიზებულია. ამ ყველაფერს მივყავართ დასკვნამდე, რომ ფრაგმენტაციის პროცესი, მეტ-ნაკლებად, კვლავ იგივე დონეზე მიმდინარეობს და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაკვირვებადი ეს პროცესი ახალ ეტაპზე არ გადასულა.

**A. საფრთხე საერთაშორისო სამართლის პირებულადი წესების საიმედოობისა და სანდოობისათვის**

რამდენადაც საქმე ეხება ხოლმე მატერიალურ სამართალს (პირებულადი სამართლის გაგებით), ჩვენს წინაშე არის სიტუაციები, როდესაც რამდენიმე რეჟიმი არის დაკავებული ერთადაიგივე საკითხით. ამ შემთხვევაში, ზოგადი ხასიათის სამართლებრივი რეჟიმები კონკურენციაში მოდიან უფრო სპეციალიზებული ბუნების მქონდე რეჟიმებთან, რაც დაპირისპირების გადასაჭრელად ითხოვს ისეთ წესებს როგორიცაა *lex specialis*. მსოფლიოს გარშემო ზრდადი სექციური დანაწილება და რეგიონალიზმი იწვევს ახალი რეგიონალური სამართლებრივი რეჟიმების შექმნას, რომელიც უფრო სპეციფიკურია, ვიდრე გლობალური რეჟიმი, გეოგრაფიულად ან სხვა ნიშნით და უფრო ზოგადია ვიდრე ეროვნული რეჟიმები. ამგვარი ახალი სამართლებრივი რეჟიმები ზრდის სამართლის გადაფარვის შესაძლებლობებს. ამგვარად, სექციური დანაწილება და რეგიონალიზმი საერთაშორისო თანამშრომლობის ძლევამოსილი შემადგენელია, თუმცა ეს აუცილებლად არ ნიშნავს, რომ ის საერთაშორისო სამართლის განვითარებისათვის უპირობო პოზიტიურ ეფექტით არის დაჯილდოებული.<sup>52</sup>

წინამდებარე ნაშრომში რამდენჯერმე უკვე ვნახეთ, რომ ერთ სიტუაციას შესაძლოა საერთაშორისო რეგულაციების რამდენიმე კომპლექტი მოერგოს. გამოსაყენებელი ნორმების ეს მრავალფეროვნება ითხოვს მყარ არგუმენტაციას იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მივმართოთ ამა თუ იმ კონკრეტულ სამართალს, ამასთან, მტკიცების პროცესმა შეიძლება დასაბამი დაუდოს კიდევ უფრო დიდ კონფლიქტს ვიდრე ის, რომლის მოგვარებასაც მხარეები ცდილობდნენ, რადგან ასე თუ ისე ორივე მხარე შექმნის მისთვის მისაღებ ინდივიდულაურ სამართლებრივ რეჟიმს. მეცნიერთა აზრით, მრავალფეროვან პირებულად ნორმებს შეუძლია დაარეგული-

როს სპეციფიკური პრობლემები უკეთ, ვიდრე გლობალურ, საყოველთაო რეჟიმებს, რაც მიგვიყანს წესრიგს დამორჩილებული სახელმწიფოთა რიცხვის ზრდასთან თუ, რა თქმა უნდა, მათ ექნებათ რწმენა, რომ ამგვარი სამართლებრივი მორჩილება მათ კონკრეტული შედეგების მიღწევაში დაეხმარება. ამასთან, მრავალმხრივობის ნებისმიერი პოზიტიური მხარის აღწერის მიუხედავად, ვერსად გავექცევით სახელმწიფოზე დაკისრებული ვალდებულებების ურთიერთდაპირისპირების გარდაუვალ რისკს.<sup>53</sup>

#### B. კანონურებულებები ნორმები

საერთაშორისო პროცედურული სამართლის სხვადასხვა რეჟიმის ფრაგმენტაცია, რომელთა მიზანია პირველადი საერთაშორისო სამართლის დაცვის უზრუნველყოფა, კიდევ უფრო თვალშისაცემია ვიდრე პირველადი საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაცია. საერთაშორისო სამართლის ფოკუსმა გადაინაცვლა ზოგადი ხასიათის მატერიალური სამართლის შემუშავებიდან, სპეციალური რეჟიმების და აღსრულების მეთოდების შექმნაზე. გამრავლდა დავის მოგვარების ინსტიტუტები.<sup>54</sup>

სამწუხაოდ, ძირითადი პრობლემები წარმოიშვება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს შეუძლია ერთი საკითხის გადაჭრის მიზნით მიმართოს აღსრულების განსხვავებულ მექანიზმებს (დაწყებული დავის მოგვარებიდან დამთავრებული შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმებით). თითოეული აღსრულების მექანიზმი თავს მოვალედ მიიჩნევს, რომ უპირველესად გამოიყენოს საკუთარი სტანდარტების სისტემა ან ქვესისტემა იმდენად, რამდენადაც ორგანოების უმეტესობას, კერძოდ, სახელშეკრულებო ინსტიტუტებს, შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ საკუთარი მატერიალური სამართალი იმ დავებისა და სიტუაციების მოსაგვარებლად, რომელიც მათ დაქვემდებარებაშია (გარდა, მაგალითად, საერაშორისო სასამართლოსი). ამასთან, სახელმწიფოები შესაძლოა ჩაერთონ ფორუმის არჩევაზე ვაჭრობაში და გამოიყენონ ის მექანიზმები, რომელიც ყველაზე უკეთ შეეფერება მათ ინტერესებს.<sup>55</sup>

უფრო მეტიც, ერთი ორგანოს მიერი მიღწეული შეთანხმება გადაჭრის პრობლემას მხოლოდ ამ სისტემის მიზნებისთვის და არა აუცილებლად სხვა ან საყოველთაო სისტემ-

ისთვის. შესაბამისად, ამ ფაქტს შეუძლია ხელი შეუშალოს ჰომოგენური საერთაშორისო სამართლისა და სისტემის ჩამოყალიბების ტენდენციას, კერძოდ კი, შექმნას საფრთხე დამატებითი გაურკვევლობისა, მოცემული საქმისათვის ახალი სტანდარტებისს შემოღებისა და გამოყენების გზით. სასამართლო აქტივობის ამგვარი ფრაგმენტული ბუნებას კიდევ უფრო ართულებს ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობა დავის მოგვარების ინსტიტუტებში და მათ შორის. ერთი მათგანისათვის რთულია გაეცნოს სხვა ორგანოების სასამართლო მსჯელობის დასაბუთებებს, მითუმეტეს თუ ეს საქმიანობა არ არის საჯარო განხილვაზე გამოტანილი.<sup>56</sup>

მაშასადამე, პატნერი სწორია, როდესაც შემდეგ შეჯამებას აკეთებს

„მეორადი ნორმების ახლანდელი გავრცელება არაერთი განხვავებული გამოსავლის გაჩენის რისკს ბადებს, რამაც შესაძლოა დააკინოს ამ ინსტიტუტებისა და ზოგადად საერთაშორისო სამართლის ძალაუფლება და სანდოობა (authority and credibility), რადგან კანონქვემდებარე ნორმების სისტემას გააჩნია საერთო არსი, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმატიული ბუნების განსაზღვრაში გვეხმარება, ამასთან სისტემის მრავალფეროვნება განაპირობებს, მომავალში შენარჩუნდება თუ გაუარესდება საერთაშორისო სამართლის და მთლიანად საერთაშორისო სისტემის დეზინტეგრირებული ბუნება“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სამართლის სამეცნიერო სკოლას ათწლეულის ბოლომდე მოუწევს შეთანხმებული პასუხი გასცეს კითხვას – ხომ არ იქნება უპრიანი, თუნდაც უკვე ნახსენები საერთაშორისო სამართლის ძალაუფლებისა და დამაჯერებლობლის შენარჩუნების და მომავალში შეუფერხებელი განვითარების მიზნით, ბოლო თეორიული ძაფებიც გაწყვიტოს მის წიაღში აღმოცენებულ სამართლის ისეთ დარგებთან, მაგალითად ევროკავშირის სამართლი, რომლებიც ზოგადი საერთაშორისო სამართლიდან განცალკევების შეუქცევად გზას ადგას.

### C. პოზიტიური შედევი – ინდივიდუალიზებული სამართალი (Tailored Laws)?

საერთაშორისო რეგულაციებისა და რეგულმების ზრდადი სპეციალიზაცია ემსახურე-

ბა საერთაშორისო სამართალშემოქმედებაში ჩართული სახელმწიფოების საჭიროებებსა და გულისტკივილს, ამით ისინი აღიქვამენ მათ ინდივიდუალურ პოზიციებს მეტად დაცულად ამგვარ სპეციალურ რეჟიმებში, ვიდრე გლობალურ სივრცეში. შესაძლებელია არსებობდეს მოლოდინი, რომ მსგავსი გარემოებების პირობებში სახელმწიფოები მეტად წახალისებული იქნებიან, რათა დაემორჩილონ ამ წესებსა და რეჟიმებს. სპეციალური რეგულაციები მართლაც გარკვეულ სიტუაციებში უკეთ მოემსახურება მათ სპეციალურ საჭიროებებს.<sup>57</sup>

გლობალურზე ოდნავ ვიწრო მიდგომა არის აუცილებელი, როდესაც სახელმწიფოებს აშკარად განსხვავებული რწმენა და პოზიცია აქვთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ძირითადი ღირებულებანი უნდა დაიცვას საერთაშორისო რეგულაციამ. ამგვარი განსხვავებული აღქმის ილუსტრაცია არ არის აუცილებელი იყოს ცივილიზაციათა შეჯახება, საკმარისი იქნება, მაგალითად ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებზე გაკაეთებული დათქმების მოყვანაც კი. კიდევ ერთი, უფრო თანამედროვე, მაგალითია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. უდავოდ, უფრო ადვილია ვიპოვოთ საერთო ნიადაგი ტერორიზმის რეგულირებისათვის, მაგალითად ტერორიზმის განსაზღვრების დასადგენად, რეგიონალ კონტექსტში, ვიდრე უნივერსალურად. ამგვარი სპეციალიზებული რეჟიმები შეიძლება საერთაშორისო სამართლის პროგრესული განვითარებისათვის კი იქნეს გამოყენებული და შემდგომში, გლობალური რეჟიმის პრეცედენტად იქნეს მოშველიებული.<sup>58</sup>

მიუხედავად იმისა, რომ რეგულაციებისა და სპეციალური რეჟიმების წარმოშობის ფონზე პრობლემების წარმოშობა გარდაუვალია, ასევე უდავოა ის ფაქტი, რომ ამ პროცესს თანმდევი პოზიტიური ეფექტებიც ახლავს, თუნდაც საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობის და ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილურობისა და განჭვრეტადობის ზრდის კუთხით.<sup>59</sup>

## V. დასკვნა

სტატია დავიწყეთ იმ საფუძვლების მოძიებით, რომლებზე დაყრდნობითაც ბიძგი მიეცა საერთაშორისო სამართლის მეცნი-

ერების მიერ საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციად წოდებული მოვლენების გამოკვლევას. წინამდებარე ნაშრომი განსაკუთრებულად არ გამოჰყოფს ამ ხანგრძლივი პროცესისაგან გამოწვეულ რომელიმე თეორიულ ან პრაქტიკულ სარგებელსა თუ დაბრკოლებას. საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის იდეას მიყყავართ ისეთ არსებით საკითხებთან, როგორიცაა საერთაშორისო სამართლის სისტემატური ხასიათი, იერარქიის ნაკლებობა, ცენტრალური ინსტიტუტების არარსებობა, პროფესიული სპეციალიზაციის პრობლემები და ბევრი სხვა, წლების მანძილზე დებატების საგნად ქცეული სადაცო პუნქტი.

დღეს უკვე, ჩვენს თაობის მკვლევარებს გვაქვს გაერთიანებული ერების საერთაშორისო სამართლის კომისიის მოხსენება, რომელიც მიგვითოთებს რომ პრობლემის ამოსავალი წერტილი საერთაშორისო სამართლის დივერსიფიკაცია და გაფართოებაა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ უნდა იყოს აღქმული ამ საკითხების შემსწავლელ მეცნიერთა მიერ, როგორც სამეცნიერო ჩიხი. მართალია, საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის გარშემო დისკუსია სულ რამდენიმე ათწლეულს ითვლის, მაგრამ მასში უკვე ჩართულია მრავალი განსხვავებული ჯგუფი და ინსტიტუტი, რაც მიგვაჩნია, რომ დისკუ-

სის წარმართვისა და ყველა პლუსის და მინუსის აწონ-დაწონვის საუკეთესო გზაა.

სტატიაში გაულერბულია საერთაშორისო სამართლის ფრაგმენტაციის ექსპერტების მართებული პოზიცია, რომ „ფრაგმენტებს“ შორის არსებული კონფლიქტის გადაჭრის ერთეული, უნიკალური გზის ძიება აზრს არის მოკლებული. ნაშრომი აღნერს იმ განსხვავებულ გამოწვევებს, რაც პირველადი და კანონქვემდებარე საერთაშორისო სამართლის წინაშე დგას, და რომ არაერთგვაროვანი, არაერთი გამოსავალი არის მოსაძებნი, იმდენად რამდენადაც, თვითონ საერთაშორისო სამართლის უნივერსალურობის კონცეფციაც არ არის და ვერ იქნება დანახული ერთნაირად თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტების მიმართ.

მიზანი, რომელიც გამოიკვეთა არის რთული და მნიშვნელოვანი – მომავალი სამართლებრივი კონფლიქტების თავიდან აცილებისათვის მუშა მექანიზმის მონახაზის შექმნა, რაც ფრაგმენტაციის საფუძვლების შესწავლის გარეშე მიუღწეველი იქნებოდა. გვსურს დარწმუნებული ვიყოთ, რომ წინამდებარე შრომა საერთაშორისო სამართლის ამ საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისთვის იქნება სტიმული ახალი, სამართლებრივი კითხვის ნიშნების დანახვისა და მეტი სამეცნიერო აღმოჩენის გასაკეთებლად.

<sup>1</sup> [nb.<www.echr.coe.int/Documents/Annual\\_report\\_2009\\_ENG.pdf>](http://www.echr.coe.int/Documents/Annual_report_2009_ENG.pdf)

<sup>2</sup> Jenks, W., 'Conflict of Law-Making Treaties', 30 BYIL (1953) 401, gv. 405.

<sup>3</sup> The paper by Dirk Pulkowski Narratives of Fragmentation International Law between Unity and Multiplicity, See <[www.esil-sedi.eu/sites/default/files/Pulkowski\\_0.PDF](http://www.esil-sedi.eu/sites/default/files/Pulkowski_0.PDF)>

<sup>4</sup> (1) ფრაგმენტაცია, როგორც ონტოლოგიური პრობლემა: არსებობს კი ისეთი მოვლენა როგორიცაა საერთაშორისო სამართლებრივი წესრიგი? რა სტრუქტურა აქვს მას? ზოგი იურისტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები აუცილებლად ირეკლავენ საერთაშორისო საზოგადოების დანაწილებას და განსხვავებებს. სხვების აზრით კი, პირიქით, ერთფეროვანი საერთაშორისო სამართლის ნარევს შეუძლია ამგვარი არაპროპორციულობის დაფარვა. (2) გვთავაზობენ ასევე მკაცრად ნორმაზე ორიენტირებულ დისკუსის. როგორიც არ უნდა იყოს საერთაშორისო სამართალი სოციოლოგიური ქრილიდან, იურისტების მოვალეობაა გამოავლინონ ურთიერთობა ინდივიდუალურ ნორმებს შორის. სოციოლოგიურმა ფაქტორებმა კი შეიძლება უჩუმრად შეაღწიონ „ობიექტის და მიზნის ნაწილში“, რომლის ფონზეც ნორმა უნდა იქნეს განმარტებული. (3) იურისტების მესამე კატეგორიისათვის, ამგვარი მიდგომა მეტად ოფიციალური და ფორმალისტურია. მათი აზრით, საერთაშორისო სამართლის განსხვავებული რეზიმების განცალკევების ან

ინტეგრაციის საკითხი არ შეიძლება დაყვანილ იქნას მხოლოდ ვენის კონვენციის მექანიზმის ლოგიკურ მოქმედებამდე. ამის ნაცვლად, სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებისას ნორმატიული კრიტერიუმიმები უნდა იქნას სახელმძღვანელოდ მიღებული, მაგალითად – გლობალური საჯარო წესრიგის (*ordre public global*) ჩამოყალიბება. (4) ბოლო ჯგუფისათვის მეტად მნიშვნელოვანია არა ურთიერთკავშირი განსხვავებულ რეჟიმებს შორის, არამედ ის, თუ როგორ ამტკიცებენ იურისტები მათ შორის კავშირის არსებობას. ხშირად, ამგვარი მიდგომის მიზანია (რომელსაც შეიძლება კრიტიკული მიდგომა ვუწოდოთ) გამოავლინოს სამართლებრივი მსჯელობის არადამაჯერებლობა ან ჩამოუყალიბებლობა.

<sup>5</sup> Report of the International Law Commission on the work of its fifty-second session (1 May – 9 June and 10 July – 18 August 2000), გვ.144.

<sup>6</sup> ფრაგმენტაციის რისკის საილუსტრაციო საქმეებად გ. ჰაფნერს მოჰყავს: გაეროს წესდება და სხვა ვალდებულებები საერთაშორისო სამართლის მიხედვით; ვაჭრობისა და გარემოს დაცვის საერთაშორისო რეგულაციები; იმუნიტეტი და ადამიანის უფლებები სამართლის ვალდებულებები; UNCLOS და მეთევზეობის ხელშეკრულებები; მაუწყებლობის საერთაშორისო რეგულაციები, გვ.145. პასუხისმგებლობის სამართლისა და ფრაგმენტაციის თანაფარდობის შესახებ ასევე იხ. – Boon, K. (2012), The Law of Responsibility: A Response to Fragmentation?, Global Business & Development Law Journal / Vol. 25.

<sup>7</sup> იგულისხმება – ადამიანის უფლებები, საზღვაო, განვითარებისა და გარემოს დაცვის სამართალი. Brownlie, I. (1987), “Problems concerning the unity of international law”, in Le droit international à l'heure de sa codification: études en l'honneur de Roberto Ago, vol. I (Università di Genova, Istituto di Diritto Internazionale e della Navigazione della Facoltà di Giurisprudenza) Milano, Giuffrè, gv.156.

<sup>8</sup> იგულისხმება – ნორმები, რომლებიც ქმნან სახელმწიფოთა შორის ორმხრივ ურთიერთობებს, რასაც მივყავართ საყოველთაო სამართლებრივი წესრიგის დაშლამდე ორმხრივ სამართლებრივ ურთიერთობებად.

<sup>9</sup> ორივე ამ შეთანხმებასთან ერთად უნდა განვიხილოთ სპეციფიკურ დინებებთან დაკავშირებული სხვა კონვენციები, რომლებიც ეხება რაინს ან დუნაის, მაგალითად. გამოსავალი კითხვისთვის რომელი მათგანია გამოსაყენებელი ამა თუ იმ შემთხვევაში ხშირად მოიპოვება ამავე ხელშეკრულების დებულებაში, რომელიც უპირატესობას ანიჭებს უფრო სპეციალიზებულ კონვენციას და lex specialis წესს. თუმცა, ეს სამართლებრივი ხერხები ყოველთვის ვერ წყვეტენ საკითხს, მაგალითად, მაშინ, როდესაც არასანაპირო სახელმწიფოები არიან ჩართული მასში. უფრო მეტიც, დებულებები, რომლებმაც ამ ხელშეკრულებათა უპირატესობის საკითხი უნდა მოაწესრიგონ ხშირად არასაკმარისად ნათელია.

<sup>10</sup> მსგავსი კონფლიქტი ნარმოიშვება ვაჭრობასთან დაკავშირებულ რეჟიმსა და გარემოს დაცვის შემთხვევაში. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, როდესაც გარემოსთან დაკავშირებით რამდენიმე საერთაშორისო ორგანო ცდოლობს სპეციალური რეჟიმის შექმნის წახალისებას. გვაქვს ასევე მაგალითები, როდესაც ერთსა და იმავე დარგში ნარმოიშვება დაპირისპირება, როგორიცაა გაეროს კონცენცია გაუდანობების წინააღმდეგ, გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილებაზე და ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ.

<sup>11</sup> საერთაშორისო სამართლის გაფართოების პროცესის პარალელური პროცესია სისტემის სუბიექტების და მათ შორის განსხვავებების მომრავლება. ძნელი სათქმელია, რომ სახელმწიფოები იყენებენ ზოგადად საერთაშორისო სამართალს, უფრო მეტად ისინი იყენებენ ცალკეულ წესებს მოცემულ საქმეში კონკრეტული საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტის ან ჯგუფის მიმართ. საერთაშორისო სამართლის ამგვარ დეზინტეგრაციას კიდევ უფრო ამძიმებს იმ სამართლებრივი და პოლიტიკური კულტურის მრავალფეროვნე-

ბა, რომელსაც სახელმწიფოები მისდევენ და საყოველთაოდ გაზიარებული ღირებულებების პლატფორმის შემცირება.

- <sup>12</sup> საერთაშორისო სასამართლოების მიერ ამ საკითხის განხილხისას, ისინი ფოკუსირებას ახდენენ ამგვარი მექანიზმების ან ქვესისტემების კანონქვემდებარე ნორმების უპირატესობაზე საერთაშორისო სამართლის ზოგადი კანონქვემდებარე ნორმების მიმართ. მართალია, პირველადი ნორმების კონფლიქტის მოგვარებისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ *lex specialis* და *lex posterior* ზოგადი ნორმები, მაგრამ ეს ხერხი ყოველთვის ეფექტური არ არის, როდესაც საქმე ქვესისტემებს ეხება. თითოეული ქვესისტემა ჩემულობს, რომ თვითონ არის *lex specialis* და იყენებს საკუთარ წესებს სხვა ქვესისტემის დამოუკიდებლად. პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ ორი ქვესისტემა გადამკვეთი კომპეტენციებით (*overlapping competencies*) ითხოვს ხოლმე წინააღმდეგობრივ მოქმებას. ამ შემთხვევაში შესაბამის სახელმწიფოს უწევს გადაწყვიტოს რომელ ქვესისტემას დაემორჩილოს და რომელი დაარღვიოს, რასაც მიყყავართ უკან პირველად დილემასთან, სადაც სახელმწიფოებს უწევთ აირჩიონ რომელ ნორმას შეასრულებენ.
- <sup>13</sup> Deplano,R. (შემდეგში – Deplano), Fragmentation and Constitutionalisation of International Law: A Theoretical Inquiry, European Journal of Legal Studies, Volume 6, Issue 1 (Spring/Summer 2013), გვ. 69.
- <sup>14</sup> Martineau, A-C., 'The Rhetoric of Fragmentation: Fear and Faith in International Law' (2009) 22(1) LJIL 1, გვ.27.
- <sup>15</sup> Koskenniemi, M. (2007), 'The Fate of Public International Law: Between Technique and Politics', 70 Modern L Rev 1, 4; Simma, B.(2009) 'Universality of International Law from the Perspective of a Practitioner', 20 EJIL გვ. 265, 270.
- <sup>16</sup> Singh, S.(2011)'The Potential of International Law: Fragmentation and Ethics' 24 LJIL გვ.23, 24-25.
- <sup>17</sup> ძებულებისტი და დაუნი, მაგალითად, ამტკიცებენ, რომ ფრაგმენტაცია შედგება „საერთაშორისო მომწესრიგებელი ინსტიტუტების მომეტებული ზრდისა-გან, რომელთაც გადამკვეთი იურისდიქციები და ბუნდოვანი საზღვრები აქვთ“. Eyal Benvenisti and George W Downs, 'The Empire's New Clothes: Political Economy and the Fragmentation of International Law' (2007) 60 Stanford L Rev 595, 596; Pierre-Marie Dupuy, 'The Danger of Fragmentation or Unification of the International Legal System and the International Court of Justice' (1998-99) 31 NYU J Intl L & Politics, გვ.791.
- <sup>18</sup> Case C-459/03 *Commission of the European Communities v Ireland* [2006] ECR I-4635. Judgments here
- <sup>19</sup> დავის ფაქტებსა და შინაარსთან დაკავშირებით, სხვებთან ერთად, იხ. – Robin Churchill and Joanne Scott, 'The Mox Plant Litigation: The First-Half Life' (2004) 53 ICLQ, გვ.643.
- <sup>20</sup> პირველ ეტაპზე, ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოს შორის მიმოწერის რამდენიმე რაუნდის შემდეგ, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა ირლანდიის შეშფოთება MOX სადგურის რადიოაქტიური ნარჩენების თაობაზე, ირლანდიაში შექმნა OSPAR კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევის თაობაზე. OSPAR საარბიტრაჟი ტრიბუნალი თავს კომპეტენციურად მიიჩნევდა მხოლოდ მისი დამფუძნებელი კონვენციის დებულებებთან მიმართებაში. დადგინდა, რომ გაერთიანებულ სამეფოს არ დაურღვევია შესაბამისი ინფორმაციის ირლანდიისთვის მიწოდების ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებული კონვენციის მე-9 მუხლით.

მეორე ეტაპზე, ირლანდია ამტკიცებდა რომ სადგურის მუშაობა აბინძურებდა წყალს რითაც დაირღვა გაეროს საზღვაო სამართლის კონვენცია – UNCLOS. მან წამოიწყო ამ კონვენციის 287-3 მუხლით გათვალისწინებული საჩივრის პროცედურა გაერთ. სამეფოს წინააღმდეგ, ითხოვდა რა სადგურის მუშაობის შეჩერებას, ან, სულ მცირე, დროებითი ზომების მიღებას. საზღვაო

სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალმა, კომპეტენტურმა განეხილა საქმე, საჭიროდ მიიჩნია გადაწყვეტილიყო ვის ჰქონდა განსაზღვრული იურისდიქტია დავის მოსაგვარებლად, მას თუ ევროპული კავშირის სასამართლო – ECJ, რითიც მხედვებლის მიიღო რა ორმხრივი პატივისცემა და ეტიკეტი ორ სასამართლო ინსტიტუციას შორის, შეაჩერა წარმოება ურთიერთსაპირისპირო გადაწყვეტილებების მიღების რისკის თავიდან ასაცილებლად. ამავდროულად, ევროკომისიამ დაიწყო დარღვევის პროცედურა ირლანდიის წინააღმდეგ ევროგაერთიანების ხელშეკრულების 292-ე და ევროატომის ხელშეკრულების 193-ე მუხლების დარღვევის გამო.

მესამე ეტაპზე, ECJ დაადგინა რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ჩამოყალიბებით გაერთიანებული სამეფოს მიერ UNCLOS დებულებათა სავარაუდო დარღვევისათვის, ირლანდიამ დაარღვია ევროპული გაერთიანების სამართალი. ევროსასამართლომ აღიარა, რომ ორივე – გაერთიანება და მისი წევრები, შეუერთდნენ UNCLOS როგორც შერეულ შეთანხმებას და რადგან ამგვარ შეთანხმებებს იგივე სტატუსი აქვთ გაერთიანების სამართალში, როგორც ცალკე გაერთიანების მიერ დადებულ შეთანხმებებს, ისინა წარმოადგენენ გაერთიანების სამართლის ნაწილს. შესაბამისად, ევროსასამართლომ დასკვნა, რომ მას ჰქონდა ექსკლუზიური იურისდიქტია 292-ე მუხლის მიხედვით და ირლანდიამ კი დაარღვია გაერთიანების კომპეტენტური ინსტიტუციის ინფორმირებისა და კონსულტაციის გავლის ვალდებულება სანამ იგი UNCLOS საარბიტრაჟო ტრიბუნალს ჩამოაყალიბებდა.

<sup>21</sup> Lavranos, N. ‘Freedom of Member States to Bring Disputes Before Another Court or Tribunal: Ireland Condemned for Bringing the MOX Plant Dispute Before an Arbitral Tribunal. Grand Chamber Decision of 30 May 2006, Case C-459/03, Commission v Ireland’ (2006) 2 Eur Const L Rev, 456, 465-466.

<sup>22</sup> Deplano, გვ.71.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე, გვ.72.

<sup>26</sup> Simma, B. ‘Universality of International Law from the perspective of a practitioner’, The European Journal of International Law Vol. 20 no. 2, გვ. 265.

<sup>27</sup> იქვე, გვ.267

<sup>28</sup> von Bogdandy and Delavalle, ‘Universalism and Particularism as Paradigms of International Law’, International Law and Justice Working Paper 2008/3, გვ.1.

<sup>29</sup> Friedmann, W. (1964), *The Changing Structure of International Law*.

<sup>30</sup> Mosler, ‘The International Society as a Legal Community’, 140 *Recueil des Cours* (1974 IV) 1; გვ.11-12.

<sup>31</sup> Simma, ‘From Bilateralism to Community Interest in International Law’, 250 *Recueil des Cours* (1994 VI), გვ.217, 231–234.

<sup>32</sup> Simma, გვ.270.

<sup>33</sup> Oellers-Frahm, (2001) ‘Multiplication of International Courts and Tribunals and Conflicting Jurisdictions –Problems and Possible Solutions’, 5 *Max Planck UN Ybk* 67, გვ. 71.

<sup>34</sup> ILC, Fragmentation of International Law: Difficulties arising from the Diversification and Expansion of International Law, Report of the Study Group of the International Law Commission, 13 Apr. 2006, A/CN.4/L.682, პარ. 34 (ზემდეგში – ILC Report)

<sup>35</sup> Southern Bluefin Tuna case (Australia and New Zealand v. Japan), Award of 14 Aug. 2001 (Jurisdiction and Admissibility), 23 UNRIAA (2004) 40, პარ. 52.

<sup>36</sup> Benvenisti and Downs, (2007) ‘The Empire’s New Clothes: Political Economy and the Fragmentation of International Law’, 60 *Stanford L Rev.*, გვ.595.

<sup>37</sup> Koskenniemi, M. (2007), The Fate of Public International Law: Between Techniques and Politics, the Modern Review of Law, Vol. 70, N1, გვ.1.

<sup>38</sup> იქვე.

<sup>39</sup> იქვე. გვ.4.

<sup>40</sup> პოზიციათა დისკუსიისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის იხ. Koskenniemi and Leino, 'Fragmentation of International Law? Postmodern Anxieties' (2002) LJIL 15, გვ. 553; Fischer-Lescano and Teubner, 'Regime-Collisions: The Vain Search for Legal Unity in the Fragmentation of Global Law' (2004) Mich JIL 25, გვ. 999; Fischer-Lescano and Teubner, (2006), Regime-Kollisionen. Zur Fragmentierung des globalen Rechts.

- <sup>52</sup> Martti Koskenniemi, The Fate of Public International Law: Between Techniques and Politics, the Modern Review of Law, Vol. 70, N1, Jan. 2007, p. 6
- <sup>53</sup> Gerhard Hafner, 25 Mich. J. Int'l L. 849 2003, p. 849, (hereinafter – Hafner)
- <sup>54</sup> See William Elliott Butler, Regional and Sectional Diversities in International Law, in International law: Teaching and Practice 46 (Bin Cheng ed., 1982).
- <sup>55</sup> Hafner, p. 856
- <sup>56</sup> See Jonathan I. Charney, The Impact on the International Legal System of the Growthof International Courts and Tribunals, 31 N.Y.U. J. INT'L. & POL. 697 (1999); Gerhard Hafner, Should One Fear the Proliferation of Mechanismsfor the Peaceful Settlement of Disputes?, in THE PEACEFUL SETTLEMENT OF DISPUTES BETWEEN STATES: UNIVERSAL AND EUROPEAN PERSPECTIVES 25 (Lucius Caflisch ed., 1998)
- <sup>57</sup> This term is used in the field of international private law. See-Pauwelyn, Joost and Salles, Luiz Eduardo, Forum Shopping Before International Tribunals: (Real) Concerns, (Im)Possible Solutions (2009). Cornell International Law Journal, Vol. 42, 2009. Available at SSRN;Also – Marc L. Busch, Overlapping Institutions, Forum Shopping, and Dispute Settlement in International Trade, International Organization 61, 2007, pp. 735–61, [here](#); L. Specker, Remedying the Normative Impacts Forum Shopping in International Human Rights Tribunals, THE NEW ZEALAND POSTGRADUATE LAW E-JOURNAL (NZPGLeJ), Issue 2, 2005, p. 2, [here](#); Christopher A. Whytock, The Evolving FORUM SHOPPING System, CORNELL Law Review, Vol. 96, p. 481, [here](#).Classical cases of such forum shopping include the *Matthews* case (*Matthews v. United Kingdom*, 28 Eur. Ct. H.R. 361, para. 34 (1999) and *Richard Waite and Terry Kennedy* case (*Waite v. Germany*, 6 Eur. Ct. H.R. 499, para. 73 (1999) before the ECtHR.
- <sup>58</sup> Hafner, p. 858
- <sup>59</sup> *Ibid.* p. 859
- <sup>60</sup> *Ibid.*
- <sup>61</sup> *Ibid.* p. 860

## მარიამ კევლიშვილი

### რასიზმისა და შეუცხარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI)<sup>1</sup> როლი, რუსეთის ფედერაციისა და ერთველი მიზანთვის გასობრივი დაკონტაციის ფართან დაკავშირებით საერთაშორისო ნებათიში დამოკიდებულების ჩამოყალიბები

2006 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ გადაწყვიტა „დაესაჯა“ საქართველო რუსეთის ფედერაციის ჯაშუშთა ჯგუფის დაკავების გამო (რომლებიც მოვინანებით გადაეცა მოსკოვს), და მოეხდინა მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების (როგორც ლეგალურად, ასევე არალეგალურად, როგორც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე, ასევე მოქალაქეობის არ მქონე) ბარბაროსული საშუალებების გამოყენებით გამოძევება.

სტატიაში განხილულია ამ მოვლენებზე საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია, კერძოდ ევროპის საბჭოს მონიტორინგის სისტემაში არსებული ერთ-ერთი წამყვანი ორგანოს „რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის“ პოზიცია, და მისი როლი საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან რუსეთის პოლიტიკის დაგმობის საქმეში.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია (ეკრი) დააარსა ევროპის საბჭომ 1993 წელს. ეს არის, დამოუკიდებელი, ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, რომელიც სპეციალიზდება რასიზმისა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი შედგება დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი წევრებისაგან, რომლებიც ინიშნებიან მორალური ავტორიტეტისა და რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის საკითხებში გამოცდილების საფუძველზე. ეკრის სამუშაო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედია „მიდგომა ქვეყნების მიხედვით“, რითაც იგი აანალიზებს სიტუაციას ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ ქვეყანაში რასიზმისა და შეუწყნარებლობის თვალსაზრისით და წარმოადგენს თავის წი-

ნადადებებს გამოვლენილი პრობლემების დაძლევის მიზნით.

ეკრის მოხსენებები არ ეფუძნება დაკითხვებსა და მოწმეთა ჩვენებებს. ეს არის ანალიზი, დამყარებული სხვადასხვა წყაროთაგან მიღებულ უამრავ ინფორმაციაზე. დოკუმენტაციის შესწავლა ხორციელდება დიდი რაოდენობით ეროვნული და საერთაშორისო წერილობითი წყაროს საფუძველზე. ადგილზე ვიზიტი, დეტალური ინფორმაციის შეგროვების მიზნით, უშუალოდ დაკავშირებულ რგოლებთან (სამთავრობო თუ არასამთავრობო) შეხვედრის საშუალებას იძლევა.

ქვეყნებზე დასკვნები აუღერებს არსებულ პრობლემებს, და მთლიანობაში აღებული წარმოაჩენს ევროპაში არსებულ ტენდეციებს. ამ ტენდენციათა ერთობლიობა კი სახავს იმ სტრატეგიას, რომელიც კომისიამ უნდა განახორციელოს, რაც გამოიხატება ეკრის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციებში და მათ იმპლემენტაციაში. დღეისათვის მიღებულია 14 რეკომენდაცია და კიდევ 2 არის მომზადების პროცესში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტიურად გამოყენებული არის რეკომენდაცია 7 „რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ეროვნული კანონმდებლობა“, რომელიც აქტიურად გამოიყენება მონიტორინგის პროცესში, რადგანაც მასში ჩამოყალიბებულია ეკრის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც ის უყენებს შიდა სახელმწიფოებრივ სამართლს და მათ საერთაშორისო სამართლებრივ პოზიციას.

2006 წლის 27 სექტემბერს საქართველოს ორგანოებმა დააკავეს 4 რუსი ოფიცერი, ჯაშუშობის ბრალდებით. მეორე დღესვე რუსეთის ფედერაციამ გამოიწვია თავისი ელჩი, ევაკუაცია მოახდინა საელჩოს პერსონალისა, ჩაკეტა რუსეთ-საქართველოს საზღვარი და შეაჩერა ყველა სახის ვიზების გაცემა საქართველოს მოქალაქეებზე. მიუხედავად

იმისა, რომ 2 ოქტომბერს საქართველომ გადასცა რუსეთის ფედერაციას დაკავებული ოფიცირები, რუსეთის დეფერაციამ მაინც დაიწყო ეკონომიკური სანქციების გამოყენება, შეწყდა საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლა საქართველოსთან, ამავდროულად გამოაცხადა რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ყველა ეთნიკურად ქართველი „არალეგალ იმიგრანტად“, მათ შორის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე პირები რომლებიც კრიმინალებს მიაკუთვნა და გასცა ბრძანება, ამ პირების წინააღმდეგ გარკვეული ზომების მიღების შესახებ.

მოსკოვის პოლიციამ დაიწყო ეთნიკურ ქართველთა „დოკუმენტების შემოწმება“. ძირითადი მიზანი შეტევისა გახდა ადგილები, სადაც ქართველები იკრიბებოდნენ, ისეთი როგორიცაა შესასვლელი საქართველოს საელჩოში და მოსკოვში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში. მოსკოვის რამდენიმე რაიონში პოლიციამ სკოლის დირექტორებისგან მოითხოვა სია ყველა ეთნიკურად ქართველი ბავშვისა და მათი მშობლებისა. დაიწყო თვითნებური ათასობით ეთნიკურად ქართველების დაკავება, მათ შორის, ვინც რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იყო.

8 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო დაკავებული პირების გაძევება და არც კი მოერიდა, რომ ეს გაძევება ხდებოდა სატვირთო თვითმფრინავებით, მათ შორის ნახირის გადამზიდველით.

ამგვარად, 2380 ეთნიკურად ქართველი იყო დეპორტირებული, ხოლო 2000 დატოვა ქვეყანა საკუთარი ხარჯებით, მას შემდეგ რაც მიიღო შეტყობინება მათი დაუყონებლივი გაძევების შესახებ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არც ერთ „დამნაშავეს“ არ მიეცა უფლება, გაესაჩივრებინა რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყენებული ბარბაროსული ზომები და იძულებული იყვნენ, რამდენიმე თვის განმავლობაში აუტანელ პირობებში ყოფილიყვნენ ჩაკეტილ ოთახებში, რასაც სამი ადამიანის გარდაცვალებაც კი მოჰყვა.

დადგა საკითხი, როგორ უნდა ემოქმედა ეკრის ამ სიტუაციაში, როდესაც რუსეთის ფედერაციის ორგანოების მართლსაწინააღმდეგო ქმედების მსხვერპლი ეთნიკურად ქართველები იყვნენ, რომელთა უმრავლესობა მიგრანტი იყო.

მოუხედავად ევროპის საბჭოში ჩამოყალიბებული „ცხელ კვალზე რეაგირების“ მიმართ უარყოფითი პოზიციისა, ეკრიმ შესაძლებლად მიიჩნია გამოხმაურებოდა იმ ბარბაროსულ მოქმედებებს, რომელსაც ჰქონდა ადგილი რუსეთის ფედერაციაში.

2006 წლის 15 დეკემბერს ეკრის 41-ე პლენარულ სხდომაზე მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს ისტორიაში პირველი „განცხადება“, რომელიც ადანაშაულებდა რუსეთის ფედერაციას ეთნიკურ ქართველთა მასობრივ დეპორტაციაში, რაც უხეშად არღვევდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას.

იმის გამო. რომ ეს განცხადება ნაკლებად არის ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სრულად მოვიყვანოთ ამ განცხადების ტექსტი:

„ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ევროპული კომისიის 46 წვერ-ქვეყანაში რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ნინააღმდეგ მინიჭებული მანდატით, გამოხატავს ღრმა შემფოთებას უკანასკნელ მოვლენებზე, რომლებმაც ასახვა ჰპოვა ეთნიკურად ქართველ რუსეთის მოქალაქეებზე და რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე.“

ეს მოვლენები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში დანაშაულის დონისა და არალეგალური მიგრაციის შემცირების საბაბით ანხორციელებდნენ, შეიცავდა ისეთ ქმედებებს, როგორიცაა დაკავება, დეპორტაცია, ზოგიერთ შემთხვევაში ფატალური შედეგებით და ძალადობის განსაკუთრებული შემთხვევებით. ეკრი ამ მოვლენების გამო, გამოხატავს ღრმა სინანსულს იმ ზომების გამო, რომელსაც ანხორციელებს ზოგიერთი საჯარო ორგანო სპეციალურად გარკვეული ეთნიკური ჯგუფის მიმართ.

ეყრდნობა რა რეკომენდაციებს, რომლებსაც შეიცავს რუსეთის ფედერაციის შესახებ მესამე მოხსენება, გამოქვეყნებული 2006 წლის 16 მაისს, ეკრი ხაზს უსვამს აუცილებლობას, რათა რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებმა საქმით დაამტ-

კიცონ, რომ ეთნიკური ქართველების, ისევე როგორც ყველა სხვა უმციო-რესობათა ჯგუფის მიმართ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ევროპის საბჭოს სტანდარტებში ასახული კანონის უზენაესობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპები მეაცრად დაცულია<sup>1</sup>.

ყურადღებას იპყობს განცხადების მრისხანე ტონი და კრიტიკის მაღალი ხარისხი – კომისია დეტალურად აღწერს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების სამართალდამცავი ორგანოების (მილიცია, პროკურატურა, სასამართლო) მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს განცხადება ასევე გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს ვებგვერდზეც<sup>2</sup> 2006 წლის 18 დეკემბერს, რაც იმ დროისათვის და შემდგომაც უნიკალური მოვლენა იყო. მსგავსი რეაქცია ევროპის საბჭოს მხრიდან, არ მოჰყოლია ეკრის არც ერთ განცხადებასა თუ დეკლარაციას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შევჩერდეთ ეკრის ე.წ. „ცხელ კვალზე“, ანუ „სწრაფი რეაგირების“ მოქმედებაზე, ანუ ქვეყანაში აღმოცენებულ ამა თუ იმ მოვლენაზე, რომლებიც უხეშად არღვევდა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას და ევროპის საბჭოს სწრაფ რეაგირებას მოითხოვდა. მაგრამ ეს ფუნქცია არ ყოფილა განერილი ეკრის კომპეტენციაში და შემოღებულ იქნა ეკრის პლენარული სხდომების გადაწყვეტლებით. ეს აქცია გამოიხატებოდა ეკრის მიერ მიღებული დეკლარაციებისა და განცხადების ფორმით.

საკმარისია, გადავხედოთ ამ სახის გადაწყვეტილებათა სიას, რომ ნათელი გახდეს რა სახის „სწრაფ რეაგირებასთან“ გვაქვს საქმე.

პირველი ასეთი დოკუმენტი გაჩნდა 1999 წელს<sup>3</sup>, როდესაც მთელი მსოფლიო შესფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ სერბეთის ერთ-ერთ პროვინციაში – კოსოვოში ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაინწყო ავტონომიის აღდგენის მომთხოვნი ადამიანების (კოსოვარების) ფიზიკური განადგურება, რაც ეთნიკურ წმენდაში გადაიზარდა.<sup>4</sup>

დეკლარაცია გამოხატავს ეკრის შეშფოთებას (profound distress) მიმდინარე დრამატული მოვლენების შესახებ კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით, მაგრამ არსად არის

მოხსენიებული სერბეთი, ანუ ქვეყანა, რომელსაც ბრალი ედებოდა ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულში.

ამის შემდეგ, 2005 წლის 17 მარტს ეკრიმ მიიღო რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დეკლარაცია<sup>5</sup>. დეკლარაცია გმობდა პოლიტიკურ განცხადებებსა და გამოსვლებში რასისტული, ანტისემიტური და ქსენოფობიური ელემენტების გამოვლინების ფაქტებს და აყალიბებდა ზოგად პოზიციებს, აღნუსხავდა მათ და იძლეოდა მათ ინტერპრეტაციას.

მაგრამ ორივე დოკუმენტი მიზნად ისახავდა ევროპის საბჭოს ყოველი წევრისადმი აღნიშნული პრობლემის გაცნობიერებას და ამ გამოწვევებისადმი ბრძოლისათვის დარაზმას.

აღსანიშნავია, კიდევ ერთი განცხადება, რომელიც 2015 წლის ივნისში იქნა მიღებული<sup>6</sup>, ის ასევე ზოგად ხასიათს ატარებს, მაგრამ ჩვენ კვლევასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მხედველობაში გვაქვს 2015 წლის 19 ივნისის განცხადება „თანამედროვე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მიმდინარე კრიზისის შესახებ“, რომელიც მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს დაირაზმონ და ერთობლივად შეუწყონ ხელი „მასობრივი მიგრაციით“ გამოწვეული ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტას.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, 1993 წლიდან 2006 წლამდე ეკრი თავს იკავებდა კონკრეტულ სახელმწიფოში რაიმე მწვავე მოვლენაზე რეაგირებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენები ზუსტად ჯდებოდა ეკრის კომპეტენციის ჩარჩოში.

რასაკვირველია, პირველივე მომდევნო განრიგით გათვალისწინებული, მონიტორინგის შეჯამების შემცველ მოხსენებაში ეს მოვლენები აისახებოდა, რასაც ეკრის კრიტიკული კომენტარები და რეკომენდაციები მოჰყვებოდა. ეს ხდებოდა არსებული მოვლენების მეორე, მესამე და ზოგჯერ, მეოთხე წელს, ანუ მაშინ არსებული განრიგის მიხედვით ეკრის უნდა განხილა კონკრეტული ქვეყნის შემოწმების შედეგები.

მაგრამ ასეთი იყო ევროპის საბჭოს პოლიტიკა, რაც ევროპის საბჭოს მთავარი ორგანოების და სხვა, განსაკუთრებით, მონიტორინგის სისტემაში შემავალი ორგანოების საქმიანობაშიც აისახებოდა.

პირველად, როდესაც ეს წესი დარღვეული იქნა იყო 2006 წელი, და ისიც კრიტიკის ობიექტი ერთ-ერთი ზესახელმწიფო (რუსეთის ფედერაცია) გახდა, რამაც ევროპის საბჭოს პრაქტიკა ძირფესვიანად შეცვალა და აიძულა უფრო მოქნილ და ქმედით საერთაშორისო ორგანიზაციად ქცეულიყო. როგორც ცნობილია, 2006 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებამ გადაწყვიტა „დაესაჯა“ საქართველო რუსეთის ფედერაციის ჯაშუშთა ჯგუფის დაკავების გამო (რომლებიც მოგვიანებით გადაეცა მოსკოვს), და მოეხდინა მოსკოვსა და პეტერბურგში მცხოვრები ეთნიკურად ქართველების (როგორც ლეგალურად, ასევე არალეგალურად, როგორც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე, ასევე მოქალაქეობის არ მქონე) ბარბაროსული საშუალებების გამოყენებით გამოძევება.

ქართველთა რუსეთის ფედერაციიდან გაძევების შემდეგ, ეკრიმ გააგრძელა „სწრაფი რეაგირების“ პოლიტიკა. როგორც სტატიისტიკა გვიჩვენებს, ამ გადაწყვეტილებებმა შემდეგ ჩვეულებრივი ხასიათის რეაგირების სახე მიიღო: 2008 წლის 20 ივნისი<sup>8</sup> (იტალიაში ბოშებისა და იმიგრანტების შესახებ), 2009 წლის 1 დეკემბერი<sup>9</sup> (შვეიცარიაში მინარეთების მშენებლობის აკრძალვის შესახებ), 2010 წლის 24 აგვისტო<sup>10</sup> (საფრანგეთში ბოშა მიგრანტების შესახებ), 2012 წლის 7 ივნისი<sup>11</sup> (სომხეთში ჰომოფობის გამოვლინების შესახებ), 2012 წლის 4 სექტემბერი<sup>12</sup> (აზერბაიჯანში სიძულვილის ქადაგების შესახებ), 2012 წლის 10 დეკემბერი<sup>13</sup> (საბერძნეთში რასისტული და ქსენოფობიური პოლიტიკური ქმედებების შესახებ).

ყველა ეს განცხადება არ გაცილებია ეკრის ვებ-გვერდზე დადებულ ინფორმაციას. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არ იყო საჭირო „დაწვრილმანება“ და კონკრეტული ადამიანის თუ კონცეფციურ პრობლემასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებების გაკეთება<sup>14</sup>.

ამ კონტექსტში საინტერესოა რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის (CERD)<sup>15</sup> რეაქცია, რომელსაც ასევე ევალებოდა მონიტორინგი რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის მონაწილე ქვეყნებში რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლა.

CERD-ის 2008 წლის 20 აგვისტოს დოკუმენტში<sup>16</sup>, რომელიც რუსეთის ფედერაციის მორიგი მოხსენების განხილვას ეძღვნება<sup>17</sup>, ვკითხულობთ:

„13. რუსეთის დელეგაციასთან გამართული დიალოგის გათვალისწინებით, კომიტეტი უთითებს 2006 წელს ქართული ბიზნესების ძიების, ქართველი სტუდენტების სიების დასადგენად საპოლიციო მოთხოვნების, პიროვნებათა გადამოწმების, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურების, არაადამიანური მოპყობის პირობებში პიროვნებათა დაკავების, გამარტივებული პროცედურებით დეპორტაციის და საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნიკური ქართველების ნინაღმდევ გამოყენებული სხვა რეპრესიული დონისძიებების შესახებ ანგარიშებს.“

კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ მონაწილე სახელმწიფომ მიმართოს დამოუკიდებელ ორგანოს, რათა ამ უკანასკნელმა დეტალურად გამოიძიოს ყველა ის სამართალდარღვევა, რაც დაფიქსირდა პოლიციის მხრიდან საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნიკურად ქართველების ნინაღმდევ, 2006 წელს გამოყენებული უკანონო ქმედებების საფუძველზე და მიიღოს პრევენციული დონისძიებები, მსგავსი აქტების სამომავლოდ თავიდან აცილებისათვისნ.<sup>18</sup>

რუსეთის ფედერაციის მოხსენებაში, რომელიც მან ნარადგინა კონვენციის მე-9 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად და დათარიღებულია 2012 წლის 9 ივნისით მე-13 პარაგრაფის პასუხად რუსეთის ფედერაცია უარყოფს ყველა ბრალდებას:

„415. 2006 წელს რუსეთის ფედერაციაში საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნიკურად ქართველების ნინაღმდევ დაფიქსირებული ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ ანგარიშები, 2007 და 2008 წლებში შესწავლილ იქნა პროკურატურის მიერ საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან, ადამიანის უფლებათა უკროპულ სასამართლოში შეტანილი განაცხადის კონტექსტში.“

416. გამოიძიების ფარგლებში არ აღმოჩენილა არანაირი მტკიცებულება

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურების, არაადამიანური მოპყრობის პირობებში პიროვნებათა დაკავების, გამარტივებული პროცედურებით დეპორტაციის და სხვა რეპრესიული ღონისძიებების შესახებ.

417. გამოვლინდა, რომ გამოძიება იმის თაობაზე იმყოფებოდება თუ არა საქართველოს მოქალაქეები რუსეთის ფედერაციაში დროებითი და მუდმივი ბინადრობის რეგულაციების დაცვით, ნარმოებულ იქნა შინაგან საქმეთა და მიგრაციის ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, მათზე დელეგირებული კომპეტენციის ფარგლებში. გამოძიების საფუძველზე შეკრებილი მასალები, მიგრაციის კანონმდებლობის დამრღვევი პირების მიმართ ადმინისტრაციული დევნის დასაწყებად, გადაცემულ იქნა სასამართლოებისათვის, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. საქმეების უმრავლესობაში, ადმინისტრაციული პროცესის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქეების დეპორტაციასთან დაკავშირებით გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებები სრულ შესაბამისობაში იყო კანონთან.

418. პროკურატურის ორგანოებმა მიმართეს სააპელაციო ინსტანციას, მათ შორის საქართველოს მოქალაქეების მიმართ, გამოტანილი იმ სასამართლო გადაწყვეტილებების გასასაჩივრებლად, რომლებშიც სასამართლოს მხრიდან დაფიქსირდა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დარღვევა. სააპელაციო ინსტანციამ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული სამართალნარმოების შესახებ.

419. საქართველოს მოქალაქეების დაკავება და შემდგომში დეპორტაცია რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა. საქართველოს მოქალაქეების ასევე მათი წარმომადგენლების მხრიდან არ დაფიქსირდა საჩივარი დაკავების ადგილას უკანონო ქმედებებისა ან არასათანადო დაკავების პირობების შესახებ.<sup>19</sup>

ამ მიმოწერიდან ჩანს ხასიათი და სტილი CERD-ის და კონკრეტული სახელმწიფოს

შორის კომუნიკაციის, რომელიც პრაქტიკულად აზრთა მშვიდ ურთიერთგაცვლით შემოიფარგლება და ყოველგვარ რეალურ შედეგს მოკლებულია, ანუ სახელმწიფოს მიერ თუნდაც აშკარა აბსურდულ პასუხით დაკმაყოფილება, ყოველ შემთხვევაში დღემდე (3 წლის შემდეგაც) სერდის პასუხი არ იძებნება.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სერდის მოხსენებები ნაკლებად პოპულარიზირებულია, პრაქტიკულად ეს ბარბაროსული ქმედებები, რომელიც ცნობილი იყო მედია საშუალებებისათვის „ჰაერში ჩამოეკიდა“ CERD-ის სათანადო რეაქციის არ არსებობის გამო.

თუ შევადარებთ ეკრისა და სერდის პოზიციებს ერთი და იგივე მოვლენის მიმართ, აშკარად დავინახავთ ეკრის პრინციპულ პოზიციას ზესახელმწიფოს საქციელის მიმართ, მაშინ როდესაც სერდი აშკარად ცდილობს ჩანაცვლოს მოსკოვის ბარბაროსული ქმედებების კრიტიკას მოკრძალებული რჩევის ტონით, ისიც მოვლენებიდან რამდენიმე წლის შემდეგ.

2007 წლის 23 მარტს საქართველომ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თხოვნით, მიეღო წარმოებაში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და თვით რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციისა და სხვა შიდა საკანონმდებლო აქტების დარღვევა და დაეკისრა რუსეთის ფედერაციისთვის დაზარალებული პირებისათვის კომპენსაციის გადახდა<sup>20</sup>.

სასამართლომ მიიღო საქმე Georgia vs Russia განსახილველად, ხოლო ამომწურავი განხილვის შემდეგ, რომელიც თითქმის 10 წელს გაგრძელდა, მიიღო განჩინება, რომლითაც სცნო საქართველოს საჩივარი დასაბუთებულად და უარყო რუსეთის ფედერაციის მცდელობა „ჩაეყარა ყველა ქართველი არალეგალური მიგრანტების კალათაში, რომლის წინააღმდეგ ნებისმიერი იძულებითი ზომები მისაღები იყო“.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პირველად ეკრის ისტორიაში, სწორედ მისი განცხადება დაედო ერთ-ერთ საფუძვლად სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც საქართველომ წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.<sup>21</sup>

ამგვარად, ეკრის მიერ „სწრაფი რეაგირების“ კვალობაზე მიღებული განცხადება არ დარჩენილა ფარატინა ქაღალდად, მიუხედავად დამნაშავე სახელმწიფოს მიერ ყველა სახის მცდელობისა არ დაეშვა ჯერ საქმის განხილვის დაწყება, და მას შემდეგ რაც პირველ მიზანს ვერ მიაღწია – მისი სახელისუფლებო ორგანოების წარმოამდგენელთა ქმედებები მართლზომიერ ქმედებად წარმოჩენა.

2015 წლის 2 ივლისს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციიდან კოლექტიურად გამოძევებული ქართველების დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს პოზიციის ამსახველი დოკუმენტი წარადგინა და კომპენსაცია მოითხოვა.

მითითებული დოკუმენტი ეფუძნება 2014 წლის 3 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – „საქართველო რუსეთის ნინააღმდეგ“ – გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლითაც ქართველების უფლებების დარღვევების არაერთი ფაქტი დადგინდა.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციაში ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულ პრაქტიკას, რის შედეგადაც რუსეთის ფედერაციიდან გამოაძევეს 4,634 ქართველი, რითაც მათ მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეოთხე ოქმის მე-4 მუხლი. სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ 2,380 ქართველი იყო უკანონოდ დაკავებული რუსეთის ფედერაციაში და გამოძევებული ევროპული კონვენციის მე-3 და მე-5(1), (4) მუხლების დარღვევით, ხოლო დაკავებულებიდან სამი ქართველი დაიღუპა პატიმრობისას. სასამართლომ, ასევე, მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევის მსხვერპლთათვის არ იყო ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა მე-3, მე-5 (1), (4) მუხლებთან და მეოთხე ოქმის მე-4 მუხლთან ერთობლიობაში.

აღნიშნული დარღვევების დადგენით რუსეთის ფედერაციას წარმოეშვა სამართლებრივი ვალდებულება, საქართველოს გადახადოს კომპენსაცია ზემოაღნიშნული უფლებების დარღვევისთვის.

კომპენსაციის ოდენობაზე შესათანხმებად საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროებს 12-თვიანი ვადა მიეცათ, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს დაევალათ წერილობითი მოსაზრებების წარდგენა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2014 წლის 3 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და, როგორც შუამავალს, სთხოვა დახმარება რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროსთან სასამართლოს შენობაში მოლაპარაკებების წარმოებაში. პასუხად, საქართველოს მთავრობას ეცნობა, რომ მოლაპარაკებების პროცესში სასამართლოს ჩართულობა მიზანშეწონილი იქნებოდა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მხარეები სასამართლოს წინაშე წარადგენდნენ პოზიციებს კომპენსაციის შესახებ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გვერდის ავლით არავითარი დოკუმენტაცია ან პოზიცია არ შემოსულა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს ინსტრუქციის შესაბამისად და რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროსთან მოლაპარაკებების შეუძლებლობის გამო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარადგინა წერილობითი მოსაზრებები კომპენსაციის მოთხოვნის თაობაზე.

განცდილი მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით საქართველო რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებისაგან 70,320,000 ევროს ითხოვს. ეს ოდენობა ეფუძნება მსგავს საქმეებზე იგივე სასამართლოს მიერ გამოტანილ პროცედურულ გადაწყვეტილებებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლო იმსჯელებს და განსაზღვრავს შემდგომ პროცედურასა და მხარეების მიერ გადასაზღვრებლივ ნაბიჯებს. ევროპული სასამართლოს მეშვეობით უნდა მიიღოს საქართველომ რუსეთის ფედერაციის პოზიციაც, რომელიც მას სასამართლოსთვის უნდა წარედგინა, ასევე, 12 თვის ვადაში.

ამგვარად, აღნიშნულ საქმეში იკვეთება, რომ:

- ეკრის 2006 წლის 15 დეკემბრის განცხადების<sup>22</sup> უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ღირებულება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს იყო პირველი ასეთი მკაფიო ტონის კრიტიკა რუსეთის ფედერაციის მართვის პოლიტიკის მიმართ და იმ ფაქტისა, რომ ეს განცხადება იმ დროისთვის პირველი პრეცედენტი იყო ევროპის საბჭოს ორგანოთა საქმიანობაში, რასაც მონმობს ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე ამ განცხადების ტექსტის ოფიციალური გამოქვეყნება<sup>23</sup>.
- მიხედვად იმისა, რომ ეს განცხადება იმ თავითვე დაიდო ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე, „რატომდაც“ ის არ ფიგურირებს საქართველოს მიერ 2007 წლის 23 მარტის საჩივარში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართ.
- ის არ ფიგურირებს, არც ამ სასამართლოში საქართველოს წევრი-მოსამართლის განსხვავებულ მოსაზრებაში (*dissenting opinion*), თუმცა აღსანიშნავია, რომ ის წარმოდგენილია თვით სასამართლოს მიერ მოძიებულ დოკუმენტებში.<sup>24</sup>  
მოსალოდნელი იყო, რომ ეკრი თავის მოხსენებაში რუსეთის ფედერაციის შესახებ<sup>25</sup> სპეციალურად მოიხსენიებდა 2006 წლის შემოდგომის ამბებს, რომელზეც კომისიამ გამოიჩინა დიდი პრინციპულობა და დაარწმუნა საერთაშორისო საზოგადოება, რომ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს რომელი სახელმწიფო ჩადის დანაშაულს, მიგრაციის არასწორ მართვაში, ადამიანის უფლებების დაცვა უპირობო მოთხოვნაა ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ.

მიუხედავად, თავის დროზე, ეკრის მიერ გამოვლენილი არნახული პრინციპულობისა, რუსეთის ფედერაციის მიერ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის მიმართ არაადამიანური მოპრყობის თაობაზე, რატომდაც ეს პოლიტიკა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მოგვიანებით, რადიკალურად შეიცვალა. გაუგებარია, ეს ცვლილება დაუ-

დევრობის შედეგია, თუ – გამიზნულად, არსებული საკითხის მიჩრუმათების მცდელობაა.

ჩნდება არა ერთი კითხვის ნიშანი:

- რატომ არაფერი იყო ნახსენები, 2008 წლის 23 სექტემბერს რუსეთის ფედერაციაში ჩატარებულ მრგვალი მაგიდის მსვლელობისა და შემდგომი მედია გამოხმაურებისას?
- რატომ არაფერია ნახსენები, ეკრის მეოთხე ციკლის მოხსენებაში რუსეთის ფედერაციის მონიტორინგის შესახებ, რომელიც იყო ამ მოვლენების შემდგომ?

უფრო მეტიც, ასევე გაუგებარია და არ იძენებნება ლოგიკური ახსნა იმ ფაქტთან დაკავშირებით, თუ რატომ არსად არის ოფიციალურად მითითებული ეკრის ვებ-გვერდზე, რუსეთის ფედერაციაში აღნიშნული მრგვალი მაგიდის ჩატარების შესახებ.

თუმცა ასევე კითხვებს ბადებს საქართველოს მხარეც ამ ფაქტთან დაკავშირებით:

- რატომ არ იყო მითითებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ საჩივარში აღნიშნული განცხადება?
- რატომ არ იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამრთლოს ქართველი მოსამართლის განსხვავებულ მოსაზრებაში ნახსენები იგივე განცხადება?

ერთადერთი შემთხვევა როდესაც ამ განცხადებამ დაიკავა სათანადო ადგილი, ეს იყო, თვით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, სადაც ეს მოვლენა სასამართლოს რუსეთის ფედერაციისადმი გამამტყუნებელი განჩინების ერთ-ერთი საფუძველი გახდა.

მიგვაჩინა, რომ განხილულ საკითხში საქართველოს უნდა გამოეჩინა მეტი ყურადღება სასამართლოში წარდგენისას სარჩელის დასაბუთებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების შეგროვებისას, ხოლო ეკრიც უნდა ყოფილიყო უფრო თანამიმდევრული ესოდენ დიდი რეზონანსული პოზიციის იმპლემენტაციის ბოლომდე მიყვანის საქმეში.

<sup>1</sup> Statement of the European Commission against Racism and Intolerance on recent events affecting persons of Georgian origin in the Russian Federation, adopted on 15 December 2006 at ECRI's 41st plenary meeting <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1074551&Site=COE>

<sup>2</sup> Statement of the European Commission against Racism and Intolerance on recent events affecting persons of Georgian origin in the Russian Federation, ad-

*opted on 15 December 2006 at ECRI's 41st plenary meeting <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1074551&Site=COE>*

- <sup>3</sup> KOSOVO Declaration adopted by the European Commission against Racism and Intolerance (ECRI) at its 19th plenary meeting (Strasbourg, 15-18 June 1999) [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/archives/ECRIs\\_work/Kosovo\\_Declaration/Kosovo\\_Declaration\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/archives/ECRIs_work/Kosovo_Declaration/Kosovo_Declaration_en.asp)
- <sup>4</sup> ეკრი ერთსულოვანად გამოხატავს თავის ღრმა მწუხარებას ბოლო დროს კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებულ დრამატულ მოვლენებზე.

ეკრი წეს, რომ ასობით ათასი კოსოვარი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლები. ის მკაცრად გმობს ნებისმიერი ფორმით გამოხატულ ეთნიკური წმენდას და იმედოვნებს, რომ პასუხისმგებელი პირები წარსდგებიან ჰაგაში სისხლის სამართლის საერთაშორისო, ყოფილი იუგოსლავის, ტრიბუნალის წინაშე. ეკრი მოუწოდებს ყველა ქვეყანას და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს, ხელი შეუწყონ დევნილთა დაბრუნებას საკუთარ სახლებში, კრიზისის შედეგად დაზარალებული ქვეყნების რეკონსტრუქციისა და რეგიონში ხელახლა დემოკრატიული უსაფრთხოების დამყარებისაკენ.

ეკრის სსურს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს ევროპის საბჭოს რეგიონში უფრო ფართო ძალისხმევის განხორციელებას, განსაკუთრებით, მისი მონაწილეობით „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში სტაბილურობის პროგრამის“ ფარგლებში. ეკრიმ ბიუროს დაავალა მოამზადოს კონკრეტული წინადადებები, როგორიცაა ეკრის CBC-group-ის გრაფიკის (განრიგის) შესაბამისი განახლება, მისი გათვალისწინებით, რომ დაინტერესებულ სახელმწიფოთა შესახებ ეკრის მოხსენებები განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს ეკრის კომპეტენციის სფეროს ფარგლებში, რომელიც გამომდინარეობს კრიზისული სიტუაციიდან, რომლის წინაშეც იმყოფება რეგიონი, სპეციალიზირებული ეროვნული უწყებების გაძლიერებით რასიზმისა და შეუწყნარებლობასთან საპრძოლველად.

ეკრი გამოხატავს მზადყოფნას, მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ შესაბამის ლონისძიებაში, რომელიც მოითხოვს მის კონტრიბუციას, იმ მიზნით, რომ ალდგეს ნდობის ატმოსფერო და ხელი შეუწყოს იმ რწმენას, რომ „მრავალულტურულ და მრავალეთნიკურ საზოგადოებაში ერთად ცხოვრება, არამარტო შესაძლებელია, არამედ – ამდიდრებს (enriching).“

- <sup>5</sup> ECRI Declaration on the use of racist, antisemitic and xenophobic elements in political discourse, adopted on 17 March 2005, – [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/14-Public\\_Presentation\\_Paris\\_2005/Presentation2005\\_Paris\\_Declaration\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/14-Public_Presentation_Paris_2005/Presentation2005_Paris_Declaration_en.asp)
- <sup>6</sup> Statement by the Council of Europe Anti-Racism Commission on the current humanitarian crisis in the Mediterranean – [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/195-19\\_06\\_2015\\_StatementMediterranean\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/195-19_06_2015_StatementMediterranean_en.asp)
- <sup>7</sup> ევროპის კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) გამოხატავს ღრმა შეშფოთებას ხმელთაშუა ზღვის რეგიონში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის გამო, რომელიც უკვე ამდენი ადამიანის სიცოცხლის ფასი დირს.

მრავალი ათასი ბავშვი, ქალი და მამაკაცი, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ადამიანით მოვაჭრების მიერ არიან ექსპლოატირებულები და ცდილობენ გაქცევას სხვადასხვა ტრაგიკული სიტუაციებიდან მათ სამშობლოში. ამ სიტუაციამ გააღვივა ქსენოფობიური დამოკიდებულება მთელ რიგ ევროპის სახელმწიფოებსა და საზოგადოებებში. აქამდე ამ მიგრანტების დიდი უმრავლესობა სტუმრობდა სამხრეთ ევროპის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას.

ყველა პირის ღირსება არის ფუნდამენტური ღირებულება, რომელიც გათვალისწინებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით. მიგრაცია ყველა ჩვენი ქვეყნის საერთო გამოცდილების ნაწილია და ჩვენ ევროპულ ღირებულებებზე უკვე დიდი გავლენა მოახდინა მან.

შესაბამისად, ეკრი მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, რომ სოლიდარობა გამოიუცხადოს ამ ძალზედ დაუცველ პირებს და გადაუდებელი მდგომარეობის გათვალისწინებით, დაბინაოს (უზრუნველყოს საცხოვრებლით) სათანადო რაოდენობა თავის ტერიტორიაზე. ეს საერთო პასუხისმგებლობა არა მხოლოდ დაქმარება სასოწარკვეთილ მდგომარეობაში მყოფ პირებს, არამედ განამტკიცებს ევროპის ქვეყნებს შორის კავშირს.

- <sup>8</sup> Statement of the European Commission against Racism and Intolerance on recent events affecting Roma and immigrants in Italy, adopted on 20 June 2008 at ECRI's 46th plenary meeting [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/53-20\\_06\\_2008\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/53-20_06_2008_en.asp) –

ეკრი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას იტალიაში განვითარებული მოვლენების გამო ბოშებისა და სხვა იმიგრანტების მიმართ.

ბოშებისა და იმიგრანტების წინააღმდეგ დაფიქსირებულია რასისტული და ძალადობრივი თავდასხმები. ამ კონტექსტში ეკრი გამოხატავს სინანულს იმ რასისტული და ქსენოფობიური დისკურსისათვის რასაც მიმართავენ იტალიელი პოლიტიკოსები, როგორც უმაღლეს დონეზე ასევე მედიასთან საუბრისას. ისიც საყურადღებოა, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში იტალიელი თანამდებობის პირების მხრიდან დაფიქსირებული მიდგომა კითხვის ქვეშ აყენებს ქვეყნის მიერ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფილ ადამიანის უფლებათა სტანდარტებს. ეკრი აღნიშნავს, რომ ამ მოვლენებმა გავლენა იქონიეს რუმინული და სხვა ქვეყნების წარმომავლობის მქონე ბოშებზე, ისევე, როგორც იტალიის მოქალაქეობის მქონე ბოშებზე, რუმინეთის მოქალაქეებსა და იმიგრანტებზე, რომლებსაც აქვთ ან არ აქვთ ლეგალური სტატუსი იტალიაში.

2006 წლის 16 მაისის რეკომენდაციებთან ბმაში, ეკრი მოუწოდებს იტალიის მთავრობას, გამოიყენოს ეფექტური მექანიზმები რასიზმისა და ქსენოფობიის, მათ შორის, სიძულვილის ენის წინააღმდეგ, იტალიის საზოგადოებაში აღნიშნული ფენომენის დამკვიდრების პრევენციისათვის. იტალიის მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ყველას, მათ შორის, ბოშებისა და იმიგრანტების უფლებათა დაცვა. ეკრი მოუწოდებს იტალიის მთავრობას რომ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი გამოყენებულ იქნას ბოშებისა და იმიგრანტების მიმართ.

- <sup>9</sup> Statement by the European Commission against Racism and Intolerance on the ban of the construction of minarets in Switzerland, 1 December 2009 – [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/35-Declaration\\_minarets/Declaration\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/35-Declaration_minarets/Declaration_en.asp) – რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია გამოთქვამს ღრმა მწუხარებას შვეიცარიის სახალხო ინიციატივის მიმართ, რომლის შესაბამისადაც შვეიცარიის კონსტიტუციას ემატება მინარეთების მშენებლობის ამკრძალველი მუხლი.

2009 წლის 15 სექტემბრის ანგარიშში ეკრიმ ცალსახად გამოხატა სინანული, რომ ინიციატივა, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებს, შესაძლოა, გატანილ იქნას კენჭისყრაზე. ეკრი იმედს იტოვებდა, რომ აღნიშნული ინიციატივა მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა.

ძნელად აღსაქმელია კავშირი მინარეთების მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული ინიციატივისათვის გამართული კენჭისყრის 57.5 %-იან შედეგსა და ქვეყნის მიერ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს შორის. კენჭისყრის აღნიშნული შედეგი გამოიწვევს დისკრიმინაციას მუსლიმების წინააღმდეგ და დაარღვევს მათი რელიგიის თავისუფლებას. როგორც ეკრიმ აღნიშნა თავის ანგარიშში ეს ქმნის შემდგომი სტიგმატიზაციის რისკს და რასისტულ ცრუნმენას მუსლიმი საზოგადოებისადმი.

ეკრი მოუწოდებს შვეიცარიის შესაბამის სტრუქტურებს ზედმინევნით შეისწავლონ აღნიშნული კენჭისყრის შედეგები და გააკეთონ ყველაფერი

შესაძლებლობის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან თავსებადი გამოსავლის საპოვნელად. ამასთანავე ეკრი ხაზს უვამს შვეიცარიის სახელმწიფო უწყებების მხრიდან მუსლიმთა წარმომადგენლებთან დიალოგის დაწყების დაუყოვნებელ აუცილებლობას“.

- <sup>10</sup> Statement by the European Commission against Racism and Intolerance on the situation of Roma migrants in France, Strasbourg, 24.08.2010 [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/70-24\\_08\\_2010\\_Roma\\_Migrants\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/70-24_08_2010_Roma_Migrants_en.asp) –

სტრასბურგი 24.08.2010 – რასიზმისა და შეუწყნარებლობის ნინააღმდეგ ევროპული კომისია ღრმად არის შეშფოთებული საფრანგეთში ბოშა მიგრანტთა მიმართ გამოყენებული მოპყრობის გამო.

2010 წლის ივნისში გამოქვეყნებულ ანგარიშში ეკრიმ მოუწოდა საფრანგეთის შესაბამის უწყებებს საფრანგეთის საზოგადოების უმრავლესობაში ბოშების მიმართ დამკვიდრებული რასისტული და მტრული დამოკიდებულების ნინააღმდეგ საბრძოლველად.

ჯერ კიდევ 2005 წელს ეკრიმ გამოაქვეყნა რეკომენდაცია, რომ საფრანგეთის მხრიდან უზრუნველყოფილყო ბოშა მიგრანტებისათვის სათანადო საცხოვრებლის, ჯანმრთელობისა და განათლების სოციალური უფლებები. 2010 წლის მდგომარეობით, ბევრი ასეთი პირი ჯერ კიდევ ცხოვრობს გაუსაძლის პირობებში, სახელდახელო კარვებში. პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება მტკიცებას იმისთაობაზე რომ მიუხედავად საფრანგეთში ბოშების მიმართ დამკვიდრებული ადამიანის უფლებათა სტანდარტების არსებობისა, მათ მაინც უჩინდებათ ქვეყნის დატოვების სურვილი, არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებელ პასუხად.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა შესაძლოა მიმართოს იმიგრაციის კონტროლს, საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობაში, ეკრის სურს ხაზი გაუსვას, რომ ევროკავშირის მოქალაქეებს აქვთ უფლება, როგორც იმყოფებოდნენ დროის გარკვეული პერიოდით, ასევე, დაბრუნდნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე. მოცემულ შემთხვევაში საფრანგეთმა უნდა მოიძიოს შესაბამისი გამოსავალი პარტნიორ სახელმწიფოებთან და ინსტიტუტებთან თანამშრომლობის პირობებში.

ეკრის საერთო ხედვის შესაბამისად, ევროპულმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ ეფექტური მექანიზმები ბოშების მიმართ აგრესიის, როგორც რასიზმის სფერიფიური გამოვლინების ნინააღმდეგ საბრძოლველად. ეთნიკურ ნიადაგზე დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სამთავრობო პოლიტიკა და საკანონმდებლო წინადადებები მიუღებელია და არღვევს ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ ვალდებულებებს.

- <sup>11</sup> Statement by the European Commission against Racism and Intolerance about recent events in Armenia, involving leading political figures openly condoning homophobic violence, Strasbourg, 7.6.2012 [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/116-07\\_06\\_2012\\_Armenia\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/116-07_06_2012_Armenia_en.asp) -

სტრასბურგი 7.6.2012 – რასიზმისა და შეუწყნარებლობის ნინააღმდეგ ევროპული კომისია გამოხატავს შეშფოთებას სომხეთში მიმდინარე მოვლენების – წამყვანი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან პომოვობიური ძალადობის აშკარა წახალისების მიმართ.

კლუბისათვის ცეცხლისნაკიდების ფაქტი მაღალი თანამდებობის პირის მიერ იქნა შეფასებული, როგორც სწორი და გამართლებული ფორმა პომოსექსუალების ნინააღმდეგ ბრძოლის სანარმოებლად. პოლიციის მიერ დაკავებულ თავდასხმაში მონაწილე ერთ-ერთ პირს ხელი დააფარა პარლამენტის ორმა წევრმა, რომლებიც, როგორც გამოვლინდა, თავად უწყობდნენ ხელს აღნიშნული არამრთლზომიერი ქმედებების განხორციელებას.

ეკრი ყურადღებას ამახვილებს იმ დამანგრეველ შედეგებზე, რაც შესაძლოა გამოიწვიოს აღნიშნულმა განცხადებებმა და სიძულვილის სხვადასხვა

გამოვლინებებმა მშვიდობიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, რის დამკვიდრებასაც ეკრი ყოველთვის ცდილობდა სომხეთსა და ევროსაბჭოს ყველა სხვა წევრ-სახელმწიფოში.

ეკრის მიაჩნია, რომ მსგავსი შემთხვევები ხელს უწყობს დაუსჯელობის საშიში სინდრომის ჩამოყალიბებას და საფუძვლიან საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებათა პატივისცემას. შესაბამისად, ეკრი მოუწოდებს სომხეთის უწყებებს, გამოიძიონ დანაშაულები იმ მიზნით, რათა, სხვათა შორის, დადგინდეს ჩადენილი სამართალდარღვევების მოტივი. ეკრი, ასევე, მოუწოდებს სომხეთის პოლიტიკურ პარტიებს გაემიჯნონ გამოხატვის მსგავს ფორმებს, რომლებიც ცალსახად შეუსაბამოა ეკრის მიერ დამკვიდრებულ ღირებულებებთან.

- <sup>12</sup> Statement by the European Commission against Racism and Intolerance concerning the pardoning in Azerbaijan of a person convicted of hate crime, Strasbourg, 4.9.2012 [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/117-04\\_09\\_2012\\_Azerbaijan\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/117-04_09_2012_Azerbaijan_en.asp) –

სტრასბურგი 4.9.2012 –

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისია შეშფოთებულია რამილ საფაროვის შენყალებისა და გათავისუფლების გამო, უნგრეთიდან აზერბაიჯანში მისი გადაყვანის შემდეგ, 2004 წელს სომხეთის სამხედრო ოფიცირის მკვლევლობისათვის სამუდამო პატიმრობის მოსახდელად.

ეკრის ყოველთვის მიჩნდა და მიაჩნია, რომ სიძულვილზე დაფუძნებული დანაშაული სათანადოდ უნდა იქნას დასჯილი. შემასფოთებელია, ის გარემოება, რომ საფაროვის მსგავსი შემთხვევები ხელს უწყობს რასისტულ ნიადაგზე განხორციელებული სერიოზული დანაშაულების ჩამდენთა შორის დაუსჯელობის სინდრომის დამკვიდრების საფრთხის შემცველი ტენდენციის განვითარებას. აღნიშნული ხელს უშლის რასისტულ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც, სამწუხაროდ, მრავალ ევროპულ სახელმწიფოში ფიქ-სირდება.

ეკრი, ასევე, ინტერესდება იმ გავლენით რაც რამილ საფაროვის შენყალებამ და გათავისუფლებამ შეიძლება შექმნას აზერბაიჯანში მცხოვრები სომები მოსახლეობის მიმართ. ეკრიმ არაერთხელ გაუსვა ხაზი იმ კავშირს, რაც არსებობს პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან მთიანი-ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებულ მყაცრ განცხადებებსა და იმ დისკრიმინაციულ მოპყრობას შორის, რასაც აზერბაიჯანში მცხოვრები სომხები განიცდიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეკრის მიაჩნია, რომ დღეს, როგორც არასდროს, აზერბაიჯანმა უნდა გადადგას ის ნაბიჯები, რაც ხელს შეუწობს სომხების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ეკრი მოუწოდებს აზერბაიჯანის უწყებებს, ეკრის მიერ დამკვიდრებული ღირებულებების პატივისცემისა და საფაროვის საქმით გამოწვეული სიტუაციის დასაკმაპენსირებლად, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისაკენ.

- <sup>13</sup> Statement by the European Commission against Racism and Intolerance concerning racist and xenophobic political activities in Greece, Strasbourg, 10.12.2012 [http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/126-10\\_12\\_2012\\_Greece\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Library/PressReleases/126-10_12_2012_Greece_en.asp) –

სტრასბურგი 10.12.2012 – ეკრი გამოთქვამს ღრმა მწუხარებას ნეო-ნაცისტური, რასისტული და ქსენოფობიური პოლიტიკური პარტიის (ოქროსფერი განთიადი) მიმართ, რომელიც მოღვაწეობს საბერძნეთის პარლამენტში.

ეს პარტია ღიად იყენებს ნაციონალისტურ და ანტი-იმიგრაციულ რიტორიკას, დაფუძნებულს ბერძნული საზოგადოების მოწყვლადობის მტკიცებაზე, ქყვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში.

ოქროსფერი განთიადის წევრები პოლიციასთან თანამშრომლობით სისტემატურად მიმართავდნენ ძალადობასა და სიძულვილზე დაფუძნებულ

დანაშაულებს იმიგრანტების, პოლიტიკური ოპონენტების, ეთნიკური უმცირესობებისა და მათ წინააღმდეგ, ვინც გამოთქვამდა შეშფოთებას აღნიშნული სიტუაციის გამო.

ეკრი მოუწოდებს საპერძეოთის უწყებებს მკაფრი და ეფექტური ქმედებებს განსახორციელებისკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ოქროსფერი განთიადის მხრიდან განხორციელებულმა ქმედებებმა არ გამოიწვიონ თავისუფალი და დემოკრატიული პოლიტიკური წესრიგისა და ინდივიდთა უფლებების დარღვევა.

ეკრი აღიარებს, რომ ყველას უფლება თავისუფლად განევრიანდეს პოლიტიკურ პარტიებში შესაძლოა შეიზღუდოს, მამინ, როდესაც პოლიტიკური პარტიები ახდენენ ძალადობის გამოყენების პროცესში.

- <sup>14</sup> მაგალითად: Statement by the European Commission against Racism and Intolerance concerning the pardoning in Azerbaijan of a person convicted of hate crime, adopted 4 September 2012;
- Statement by the European Commission against Racism and Intolerance on the ban of the construction of minarets in Switzerland, adopted 1 December 2009

<sup>15</sup> შეიქმნა 1969 წელს და მასში მონაწილეობს 177 სახელმწიფო.

<sup>16</sup> CERD/C/RUS/CO/19 20 August 2008, CONSIDERATION OF REPORTS SUBMITTED BY STATES PARTIES UNDER ARTICLE 9 OF THE CONVENTION Concluding observations of the Committee on the Elimination of Racial Discrimination RUSSIAN FEDERATION

<sup>17</sup> CERD/C/431/Add.2 29 July 2002, REPORTS SUBMITTED BY STATES PARTIES UNDER ARTICLE 9 OF THE CONVENTION, Seventeenth periodic reports of States parties due in 2001, Addendum, Russian Federation

<sup>18</sup> CERD/C/RUS/CO/19, 20 August 2008, par 13

<sup>19</sup> CERD/C/RUS/20-22, 6 June 2012, Reports submitted by States parties under article 9 of the Convention , Twentieth to twenty-second periodic reports of States parties due in 2012, Russian Federation, par 13(415-419)

<sup>20</sup> ECtHR, CASE OF GEORGIA v. RUSSIA (I) (Application no. 13255/07)

<sup>21</sup> Ibid.

<sup>22</sup> Statement of the European Commission against Racism and Intolerance on recent events affecting persons of Georgian origin in the Russian Federation, adopted on 15 December 2006 at ECRI's 41st plenary meeting – <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1074551&Site=COE>

<sup>23</sup> ხელმისაწვდომია: <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1074551&Site=COE>

<sup>24</sup> ECtHR, CASE OF GEORGIA v. RUSSIA, Strasbourg, 3 July 2014, section -- The impugned events according to various international governmental and non-governmental organisations.

<sup>25</sup> ECRI report on the Russian Federation (fourth monitoring cycle), adopted on 20 June 2013

## **THE ROLE OF THE EUROPEAN COMMISSION AGAINST RACISM AND INTOLERANCE (ECRI)<sup>1</sup> IN FORMING INTERNATIONAL NEGATIVE STANCE TOWARDS THE FACT OF MASSIVE DEPORTATION OF GEORGIAN MIGRANTS FROM RUSSIAN FEDERATION**

In September, 2006 the authorities of Russian Federation decided to “punish” Georgia for detaining squad of Russian spies (later on transferred to Moscow), and to undertake expulsion of ethnic Georgians (legal and illegal residents as well as persons holding Russian citizenship and persons without citizenship) residing in Moscow and St. Petersburg employing barbarian means.

This Article discusses response on these events by international community, namely position of one of the leading monitoring organs under the Council of Europe *European Commission against Racism and Intolerance* and its role in condemning Russian policy by international community.

ECRI – European Commission against Racism and Intolerance was founded by the Council of Europe in 1993. This is independent human rights monitoring body specialized in issues concerning racism and intolerance. It consists of independent and impartial members, which are appointed based on moral authority and background experience in combating racism, xenophobia, anti-Semitism and intolerance. One of the basics of ECRI working agenda is *Country Monitoring Work*. In the framework of its country monitoring work, ECRI examines the situation concerning manifestations of racism and intolerance in each of the Council of Europe member states and submits own proposals how to deal with the problems identified.

ECRI reports are not based on interrogations and witness testimonies. Reports are produced through analyzing loads of information furnished from various sources. Documentation is studied through the lens of huge amount of national and international paper sources, while country visits give opportunity of gathering in-

formation on spot and meeting with related (governmental and non-governmental) stakeholders.

Country reports reflect problems at hand and as a whole illustrate trends currently existing in Europe. Unity of these trends shapes the strategy to be undertaken by the Commission through adopting and implementing general policy recommendations. Up until now total of fourteen recommendations have been issued and two more are under drafting process. Recommendation No.7 – *National Legislation against Racism and Racial Discrimination* – is the most significant and frequently referred, which is vigorously applied in monitoring process, as far as it outlines basic ECRI requirements for municipal law and positions these requirements on international legal level.

On 27 September, 2006 Georgian authorities detained four Russian military officers for charges of espionage. On the very second day, Russian Federation summoned its ambassador from Georgia, evacuated entire diplomatic staff, shut down Georgian-Russian border and suspended issuance of all types of visas for Georgian nationals. Notwithstanding the fact that Georgia transferred detained officers to Russian Federation on 2 October, the latter still initiated imposition of economic sanctions: all air, land and maritime traffic with Georgia had been halted. Furthermore Russian Federation declared all ethnic Georgians living in Russian Federation as “illegal immigrants” irrespective of their Russian citizenship; He affiliated such persons with criminals and ordered taking of special measures against them.

Moscow police instigated “check-up” of documents of ethnic Georgians. Places, where Georgians regularly used to gather, such as entrance to the Georgian Embassy and Georgian Orthodox Church in Moscow, became main tar-

gets of attack. In several districts of Moscow, the police requested list of ethnic Georgian pupils and their parents from the high school principals. Thousands of ethnic Georgians had been arbitrary detained, including those holding Russian citizenship.

On 8 October, Ministry of Interior commenced deportation of detained Georgians, even without hesitation, via cargo planes, including plane used for herd transportation.

Consequently, 2380 ethnic Georgians had been deported, while some 2000 left the country by own expences after receiving communication on their immediate eviction.

It should be noted, that none of the "guilty" persons were allowed to appeal the barbarian measures employed by Russian Federation and they were forcibly held in unbearable conditions in locked rooms throughout several months, which resulted in death of three persons.

The issue had been emerged as to how ECRI should have act in given circumstances, when ethnic Georgians, mostly migrants, became victims of unlawful acts committed by the organs of the Russian Federation.

Despite the well-established negative position towards "hot pursuit" principle within the Council of Europe, ECRI made it possible to respond immediately on barbaric actions taking place in the Russian Federation.

On 15 December, 2006, on its 41<sup>st</sup> Plenary Session, ECRI adopted "statement", which was first in the history of CoE to blame the Russian Federation in massive deportation of ethnic Georgians, which amounted to the grave breaches of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms.

Due to the lack of familiarity with this Statement in the Georgian public, it would be more appropriate to re-state its whole text:

*From the standpoint of its mandate to combat racism and racial discrimination in the 46 member States of the Council of Europe, the European Commission against Racism and Intolerance (ECRI) wishes to express its deep concern about recent events affecting Russian citizens of Georgian origin and Georgian citizens in the Russian Federation.*

*These events, which have in many cases occurred under the pretext of the need to clamp down on crime and illegal immigration, have included detentions, deportations, in some cases resulting in deaths, and reported cases of harassment. ECRI deeply regrets these measures, which have been directed by certain public authorities specifically at a particular ethnic group.*

*In keeping with the recommendations contained in its third report on the Russian Federation published on 16 May 2006, ECRI emphasises the need for the Russian authorities to ensure that, in respect of persons of Georgian origin as well as all other minority groups within the Russian Federation, the rule of law is maintained and the principle of non-discrimination as embodied in Council of Europe standards is strictly observed.<sup>2</sup>*

Particular attention should be drawn to the harsh tone of the Statement and higher degree of criticism – the Commission provides detailed description of unlawful acts by Russian law enforcement bodies (militia, prosecutor's office, and judiciary).

Notably, this Statement was published through the official web site of the Council of Europe<sup>3</sup> on 18 December, 2006 thus constituting unique occasion by that time and also subsequently as such reaction by the CoE had never been followed to any ECRI statements or declarations issued before.

It would be apposite to stick on so-called "Hot Pursuit" or "Urgent Response" actions by ECRI whereas some emerged circumstances gravely violating European Convention of Human Rights required prompt reaction by the CoE. However, this function had not been enshrined in ECRI competences and was adopted through the decisions of ECRI plenary sessions. Hot pursuit usually used to be manifested in the form of releasing declarations and statements.

- <sup>15</sup> საქართველოს გაფორმებული აქცეს ორმხრივი ხელშეკრულებები დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ან პილიციის თანამშრომლობის შესახებ სომხეთთან, ავსტრიასთან, აზერბაიჯანთან, ბელარუსთან, ბულგარეთთან, ეგვიპტესთან, ესტონეთთან, საფრანგეთთან, უნგრეთთან, იტალიასთან, ყაზახეთთან, ლატვიასთან, მალტასთან, მოლდოვასთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან, გაერთიანებულ სამეფოსა და უზბეკეთთან. დაწვრილებით იხილეთ შემდეგ ბმულზე: <http://police.ge/en/ministry/structure-and-offices/international-relations-department?sub=5013>
- <sup>16</sup> ახლად შექმნილი სამსახურის სტრუქტურას, ფუნქციებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს 2015 წლის 8 ივლისის საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“. კანონი იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2905260>, (ბოლოს ნანახია 2016 წლის 15 თებერვალს).
- <sup>17</sup> INTERPOL-ის კონსტიტუციის 32-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ ყველა წევრმა სახელმწიფომ შექმნას Interpol-ის ეროვნული ცენტრალური ბიურო. საქართველოს ეროვნული ცენტრალური ბიუროს შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე [http://police.ge/en/ministry/structure-and-offices/interpolis-erovnuli-tsentralko-saqartveloshi, \(\)](http://police.ge/en/ministry/structure-and-offices/interpolis-erovnuli-tsentralko-saqartveloshi, ())
- <sup>18</sup> 2015 წლის 11 თებერვლის შინაგან საქმეთა მინისტრის 103 ბრძანება, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“. იხ. ბმულზე: <http://police.ge/files/kriminaluri.pdf>, (ბოლოს ნანახია 2016 წლის 15 თებერვალს).
- <sup>19</sup> საქართველოს კანონი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“, იხ. ბმულზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594>, (ბოლოს ნანახია 2016 წლის 16 თებერვალს).
- <sup>20</sup> იხ. შენიშვნა 14.
- <sup>21</sup> სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 2001 წლის მეორე დამატებითი ოქმი, იხ. ბმულზე: <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008155e>, (ბოლოს ნანახია 2016 წლის 16 თებერვალს).
- <sup>22</sup> 2001 ევროპის საბჭოს კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ, იხ. ბმულზე: [http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014\\_2019/documents/libe/dv/7\\_conv\\_budapest/\\_7\\_conv\\_budapest\\_en.pdf](http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014_2019/documents/libe/dv/7_conv_budapest/_7_conv_budapest_en.pdf), (ბოლოს ნანახია 2016 წლის 16 თებერვალს).
- <sup>23</sup> „სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი, იხ. ბმულზე: <https://matsne.gov.ge/en/document/view/2048477>, (ბოლოს ნანახია 2016 წლის 16 თებერვალს).
- <sup>24</sup> *Id.* მუხლი 2.
- <sup>25</sup> *Id.* მუხლი 8.
- <sup>26</sup> *Id.* მუხლი 9.
- <sup>27</sup> „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის „ი“ პუნქტი და 32-3 მუხლი, იხ. ბმულზე: [http://oldmfa.itdc.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=44](http://oldmfa.itdc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=44), (ბოლოს ნანახია 2016 წლის 16 თებერვალს).

## **IMPORTANCE OF INTERNATIONAL POLICE ATTACHÉ COOPERATION AND CASE OF GEORGIA**

### **INTRODUCTION**

Recent decades are characterized with increased pace of globalization, including more intense migration of persons and accompanying technological developments. Such developments created a situation when crimes cannot be looked from the prism of one state as they spread across borders and increasingly have transnational character. In many cases legislations and interests of countries of origin, transit countries and/or destination countries overlap and impact combatting such crimes. The need of countries to coordinate their actions and share experience with a purpose to prevent crimes, created the necessity to strengthen further law enforcement cooperation<sup>1</sup>.

This Article focuses on the international law-enforcement cooperation, with special emphasis on police attaché cooperation, its legal basis and role in modern international relations. Georgia will be discussed as an example of state practice in this field.

### ***Importance of law enforcement cooperation***

The objective of the law enforcement cooperation is combating crime in all its forms and prevention of crimes based on past experience.

The need for and importance of law-enforcement cooperation is fully comprehended in modern society and is carried out on different levels of authority and in different forms.<sup>2</sup> Considering specific need, police cooperation can be carried out on the basis of reciprocity principle, bilateral treaties, police attaché cooperation, regional cooperation frameworks (GUAM Organization for Democracy and Economic Development, Organization of the Black Sea Economic Cooperation (BSEC), etc.) or through international organizations (International Criminal Police Organization (INTERPOL), European Police Office (EUROPOL)).

Effective law enforcement cooperation could be established through the following three necessary steps: identification of transnational problem (organized crime, drugs, terrorism, etc.), creation of legal basis for addressing these problems (treaties, memorandums of understanding,) and last, but not least, enforcement of the legal basis.<sup>3</sup>

Obligations of countries with regards to international police cooperation include operational cooperation to exchange criminal intelligence, assistance in gathering evidence and sometimes apprehension of suspected criminals. However, for the purposes of prevention of and response to specific crimes, it is also important to share knowledge and experience, establish direct contacts and nurture trust among law-enforcement agencies, which will facilitate future cooperation.

### ***Police Attaché Cooperation – role and status***

Police liaison officers or police attaché cooperation has proved to be most effective and time preserving channel of police cooperation, since it provides for direct, prompt and less bureaucratic communication between the parties. As regulated by bilateral agreements between respective parties on fight against crime/police cooperation, cooperation through police attachés may include: exchange of criminal intelligence information, best practices, statistics on crime and migration; coordination of joint measures, adoption and implementation of annual assistance/cooperation plans, trainings, study visits, etc.

Police or security attaché are in a position to represent state interests related to law enforcement to partner states. Depending on a government structure of a particular state, these terms may be interchangeable and differentiate between purely police functions and security/intelligence matters (functions of se-

curity forces: intelligence, counter-intelligence, counter-terrorism and etc.) or refer to both<sup>4</sup>.

Who is police attaché, what are their functions and what is the legal basis of their operation? These are the questions that do not have uniform answers as development of the concept of a police attaché has a long history of state practice and often regulated by bilateral treaties between states.

In most cases, police attachés are members of diplomatic missions of their sending states and are integrated with their embassies or general consulates.<sup>5</sup>

It is noteworthy that "attachés" are not considered to be career diplomats, rather they are appointed for the purpose of enhancing relations with host country in the specific field of their expertise.<sup>6</sup> Often attachés are not members of the sending country's diplomatic service or foreign ministry, and therefore are only "attached" to the diplomatic mission. Though Vienna Convention on Diplomatic Relations (hereinafter "the 1961 Convention") specifically mentions only military, naval and air attachés, it leaves up to sending state to appoint staff members of the mission:

*"Subject to the provisions of articles 5, 8, 9 and 11, the sending State may freely appoint the members of the staff of the mission. In the case of military, naval or air attachés, the receiving State may require their names to be submitted beforehand, for its approval".<sup>7</sup>*

This provision of the Convention only refers to a prior notification of the names of these attachés and the list is not exhaustive. Besides the police attaché, sending state may deploy cultural, commercial, agricultural, educational or any other attaché to strengthen ties in corresponding sphere depending on bilateral relations between two states and their mutual interests.<sup>8</sup>

Moreover, Vienna Convention on the Law of Treaties recognizes the importance of "any subsequent practice in the application of the treaty which establishes the agreement of the parties regarding its interpretation."<sup>9</sup>

With regards to the appointment procedures of police attachés the practice of the Kingdom of Belgium is very interesting; Belgium considers that Article 7 of the 1961

Convention also applies to the appointment of police attaches and established the same regulations of their appointments as for the military, naval or air attachés.<sup>10</sup>

Deployment of the police attachés to the diplomatic missions is or should be regulated by the national legislation of sending states<sup>11</sup>. Based on the state practice, this issue can be regulated by the relevant legal act<sup>12</sup> or by an agreement (MoU, cooperation agreement or in any other form) between Ministry of Interior and Ministry of Foreign Affairs of a sending state<sup>13</sup>.

### **Georgia's law enforcement cooperation**

Taking into account strategic geo-political location and lack of control over the third of the country's territories due to ongoing conflict and occupation, Georgia faces many complex challenges. In order to successfully address them and ensure the security in the country, the importance of international law-enforcement cooperation should not be underestimated.

Georgia's international treaties and national legislation comprehensively regulate law-enforcement cooperation. Up to recently, police cooperation with partner countries was mostly carried out on the basis of reciprocity principle and bilateral agreements<sup>14</sup> that provide appointment of police liaison officers. Besides sharing criminal intelligence information, international police cooperation provides opportunities for Georgia and its partner countries to share experience and knowledge and improve the capacities of law enforcement agencies. For example, in view of Georgia's success in combatting so called "thieves-in-law" phenomenon, Georgia's experience and methods are very valuable for EU Member States that are now facing the same problem.

As a result of reform carried out in August, 2015 police and security functions of the Ministry of Internal Affairs of Georgia (MIA) have been separated and new agency – State Security Service of Georgia assumed responsibility for state security related issues.<sup>15</sup> This article will focus of the international cooperation carried out by the Ministry of Internal Affairs of Georgia (MIA) for purely law-enforcement purposes. Besides bilateral agreements of cooperation, Georgia carries out international

police cooperation on the basis of reciprocity principle and within the frameworks of multilateral forums of cooperation. As a member of INTERPOL, National Central Bureau of INTERPOL under MIA is actively and efficiently coordinating cooperation between relevant national agencies, with National Central Bureaus in other countries and General Secretariat of the Organization.<sup>16</sup> MIA is also actively working to establish strategic and operational cooperation with Europol and it is expected that this attempt will succeed in the course of 2016.

For the purpose of facilitating active law-enforcement cooperation, including through Police Liaison Officers/Attachés, special division of International Police Cooperation was established in the Central Criminal Police Department of MIA.<sup>17</sup>

As for the legal basis, it is noteworthy that the Law of Georgia on "International Cooperation in Criminal Matters", elaborated by the Main Prosecutor's office of Georgia, only regulates issues of cooperation between judicial authorities (e.g. issues of extradition and mutual legal assistance). The mentioned Law introduced separation between international cooperation of law enforcement agencies and judicial authorities of Georgia.<sup>18</sup>

With the purpose of introducing uniform approach and regulations of police cooperation MIA initiated two important legal acts, namely:

In 2012 MIA started development of a draft Law of Georgia on International Law Enforcement Cooperation for the realization of efficient international cooperation in the field of prevention, detection, and suppression of crimes on the basis of international treaties, principle of reciprocity and ad hoc decisions made by the Minister or Deputy Minister. The Parliament of Georgia adopted the law in October 4, 2013.

The need to develop the Law of Georgia on International Law Enforcement Cooperation emerged due to international commitments concerning the cooperation envisaged by bilateral or multilateral treaties<sup>19</sup> of Georgia and need to incorporate them into the national legislation. This Law also aims at fully implementing the obligations regarding international law enforcement cooperation enshrined in the relevant bilateral and multilateral treaties of Georgia, especially Council of Europe Second Additional Protocol to the European Convention on Mutual Assistance in Criminal Matters<sup>20</sup> and international police cooperation envisaged by Article 35 of the Budapest Convention on Cybercrime<sup>21</sup>.

Based on the Law on International Law Enforcement Cooperation respective agencies of Georgia can realize international police cooperation with law enforcement agencies of other countries or respective institutions of international organizations on the basis of its provisions without the need to refer internationally binding cooperation.<sup>22</sup>

The new Law provides the definition of police/security attaché<sup>23</sup>, forum of liaison officers and/or police/security attachés<sup>24</sup> and their importance<sup>25</sup>.

Another important legislation regulating Georgia's international law-enforcement cooperation is the Law of Georgia on Diplomatic Service. In 2013, MIA elaborated amendments to the law, which introduced the position of police attaché/liaison officer in the diplomatic service. According to the amendments, police attaché/liaison officer will be a senior diplomatic agent, appointed by, and under the direct authority of MIA.<sup>26</sup> In case of mutual agreement of Georgia and receiving country, the regulatory framework is in place to enhance cooperation through police attaché/liaison officer appointed in the diplomatic missions.

---

\* The views expressed in this article do not represent the official position of the Government of Georgia, but are solely the views of the authors.

<sup>1</sup> Klosek, Jacqueline, *The Development of International Police Cooperation within the EU and Between the EU and Third Party States: A Discussion of the Legal Bases of Such Cooperation and the Problems and Promises Resulting Thereof*, American University International Law Review 14, no. 3 (1999): pp. 599-656; Deflem, Mathieu, *International Policing – The Role of the United States* Pp. 808-

812 in *The Encyclopedia of Criminology*, edited by Richard A. Wright and J. Mitchell Miller, 2005, New York: Routledge.

- 2 Per Gammelgard, *International Police Cooperation from Norwegian Perspective*, in Daniel J. Koenig, Dilip K. Das, *International Police Cooperation: A World Perspective*, 2001, p. 231.
- 3 United Nations, *Report of the Eleventh United Nations Congress on Crime Prevention and Criminal Justice*, April 2005, at [https://www.unodc.org/documents/congress//Documentation/11Congress/ACONF203\\_18\\_e\\_V0584409.pdf](https://www.unodc.org/documents/congress//Documentation/11Congress/ACONF203_18_e_V0584409.pdf) (last seen on February 15, 2016).
- 4 The use of different terminology is necessitated by the fact that in different countries security and police functions maybe divided between two different agencies or within the competence of single agency. For example: State of Israel – at <http://www.israelemb.org/washington/AboutTheEmbassy/Pages/Police-and-Security.aspx> (last seen on February 15, 2016); State of Qatar – at [http://www.qsus.org/011\\_Mission.html](http://www.qsus.org/011_Mission.html) (last seen on February 15, 2016); or Switzerland – at <https://www.fedpol.admin.ch/fedpol/en/home/polizei-zusammenarbeit/international/polizeiattaches.html>, (last seen on February 15, 2016).
- 5 For example: every police attaché deployed by Switzerland, at:<https://www.fedpol.admin.ch/fedpol/en/home/polizei-zusammenarbeit/international/polizeiattaches.html>, (last seen on February 15, 2016); or every police attaché accredited to or deployed by the Republic of Lithuania, at: <http://www.policija.lt/index.php?id=11588>, (last seen on February 15, 2016).
- 6 Charles Chatterjee, *International Law and Diplomacy*, 2010, p. 172 (hereinafter: Chatterjee, p.).
- 7 Vienna Convention on Diplomatic Relations, 1961, article 7, at: [http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/9\\_1\\_1961.pdf](http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/9_1_1961.pdf), (last seen on February 15, 2016)
- 8 Chatterjee, p. 172.
- 9 Vienna Convention on the Law of Treaties, 1969, Article 31, paragraph (3), sub-paragraph (b) at: [http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/9\\_1\\_1961.pdf](http://legal.un.org/ilc/texts/instruments/english/conventions/9_1_1961.pdf), (last seen on February 15, 2016)
- 10 See the official circular note on conditions for granting a privileged status to police liaison officers who are staff members of the diplomatic missions issued by the Federal Public Service Foreign Affairs on 15 May 2012, Foreign Trade and Development Cooperation, at: [http://diplomatie.belgium.be/en/binaries/Circulaire%20Officier%20de%20liaison%20EN\\_tcm312-150624.pdf](http://diplomatie.belgium.be/en/binaries/Circulaire%20Officier%20de%20liaison%20EN_tcm312-150624.pdf), (last seen on February 15, 2016).
- 11 Saša Đorđević, *Police Diplomacy Development: the Role of Liaison Officers*, in *Collection of Policy Papers on Police Reform in Serbia*, Number 5, July, 2011, p. 1; (hereinafter: Đorđević, p.).
- 12 In case of Georgia, Law of Georgia “on Diplomatic Service” regulates the deployment of police attaché to relevant embassy. At: [http://oldmfa.itdc.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=44](http://oldmfa.itdc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=44), (last seen on February 15, 2016).
- 13 For example, Kosovo’s Ministry of Foreign Affairs and Ministry of Internal Affairs concluded an agreement regulating deploying police attaches to Kosovo diplomatic mission see: <http://www.mfa-ks.net/?page=2,4,1437>, (last seen on February 15, 2016);
- 14 Georgia has bilateral agreements on cooperation in fight against crime and/or police cooperation with Armenia, Austria, Azerbaijan, Belarus, Bulgaria, Egypt, Estonia, France, Germany, Hungary, Italy, Israel, Kazakhstan, Latvia, Lithuania, Malta, Moldova, Poland, Romania, Turkey, Ukraine, UK and Uzbekistan. For details see: <http://police.ge/en/ministry/structure-and-offices/international-relations-department?sub=5013>, (last seen on February 15, 2016).

- <sup>15</sup> The structure, functions and responsibilities of the newly created agency is regulated by the July 8, 2015 Law of Georgia on 'State Security Service of Georgia', at <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2905260>, (last seen on February 15, 2016).
- <sup>16</sup> Establishment of National Central Bureaus in each member state of the Interpol is regulated by the Article 32 of the INTERPOL's Constitution; For more information on the National Central Bureau of INTERPOL in Georgia see Official website of Ministry of Internal Affairs of Georgia: <http://police.ge/en/ministry/structure-and-offices/interpolis-erovnuli-tsentralki-biuro-saqartveloshi>, (last seen on February 16, 2016).
- <sup>17</sup> February 11, 2015 Order 103 of the Minister of Internal Affairs of Georgia on 'approving the statute of the Central Criminal Police Department of the Ministry of Internal Affairs of Georgia', at: <http://police.ge/files/kriminaluri.pdf>, (last seen on February 16, 2016)
- <sup>18</sup> Law of Georgia on "International Cooperation in Criminal Matters", <https://matsne.gov.ge/ka/document/view/112594>, (last seen on February 16, 2016).
- <sup>19</sup> *Id.* footnote 14.
- <sup>20</sup> 2001 Council of Europe Second Additional Protocol to the European Convention on Mutual Assistance in Criminal Matters, at: <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168008155e>, (last seen on February 16, 2016).
- <sup>21</sup> 2001 Council of Europe Convention on Cybercrime, [http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014\\_2019/documents/libe/dv/7\\_conv\\_budapest/\\_7\\_conv\\_budapest\\_en.pdf](http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2014_2019/documents/libe/dv/7_conv_budapest/_7_conv_budapest_en.pdf), (last seen on February 16, 2016)
- <sup>22</sup> Article 4 of the Law of Georgia on International Law Enforcement Cooperation, at <https://matsne.gov.ge/en/document/view/2048477>, (last seen on February 16, 2016).
- <sup>23</sup> *Id.* Article 2.
- <sup>24</sup> *Id.* Article 8.
- <sup>25</sup> *Id.* Article 9.
- <sup>26</sup> Article 13 (i) and Article 32 of the Law of Georgia on Diplomatic Service. At: [http://oldmfa.itdc.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=44](http://oldmfa.itdc.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=44), (last seen on February 15, 2016).

## პეტა ძაბაშვილი

# რეგიონალურ დონეზე არსებული სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების დატვირთვა დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის ფონზე

## შესავალი

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამართლის უმთავრეს ქვაუთხედს და სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ აშშ-ის 1776 წლის დამოკიდებლობის დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა 1789 წლის ფრანგული დეკლარაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თანასწორობის უზრუნველყოფას.<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველივე მუხლი ადამიანთა თანასწორობას აღიარებს და მთლიანად დეკლარაცია ისეთი ტექსტით არის დაწერილი, რომ ნებისმიერი უფლებით სარგებლობა შეეძლოს ყველას დისკრიმინაციის გარეშე. საყოველთაო დეკლარაციის მსგავსად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, ერთი მხრივ, აღიარებს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას და კრძალავს დისკრიმინაციას,<sup>2</sup> ხოლო, მეორე მხრივ, თანასწორობა, როგორც პრინციპი, ასახულია არაერთ უფლებასთან მიმართებით.<sup>3</sup> ანალოგიური მიდგომა არის ჩამოყალიბებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტშიც.<sup>4</sup>

გაეროს პარალელურად თანასწორობის უფლება და პრინციპი წარმოადგენს აგრეთვე ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული<sup>5</sup> აქტების ქვაუთხედსაც. თუმცა როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ დონეზე შესამჩნევია აქტების უფლებათა დაცვის მიმართების უზრუნველყოფა ზოგადი რეგულაციების პარალელურად შეიქმნას სპეციალური აქტები. კერძოდ, ევროპის, ამერიკის და აფრიკის რეგიონებში, სადაც მოქმედებს ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული კონვენციები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ორგანოები, დამატებით მიღებულია სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტები.<sup>6</sup> იმის გათვალისწინებით, რომ თანასწორობის უფლება დაცვის მიმართების უზრუნველყოფა და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ორგანოები, დამატებით მიღებულია სპეცია-

ნებულური მოქმედებს რეგიონებშიც, ჩნდება ბუნებრივი კითხვები – არსებობს თუ არა ცალკეული ნიშნის მიხედვით სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების არსებობის საჭიროება რეგიონალურ დონეზე? რეგიონულ დონეზე მოქმედი სპეციალური აქტები იძლევა თუ არა თანასწორობის უფლების უზრუნველყოფის უფრო მეტ გარანტიას? რამდენად ეფექტურია მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია?

შესაბამისად, წინამდებარე სტატია მიზნად ისახავას რეგიონებში მოქმედი სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების ანალიზს აღნიშნული კითხვების ჭრილში. დასახული მიზნის მისაღწევად შესწავლილ იქნება ევროპის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტზე მოქმედი რეგიონული კონვენციები და მათი არსებობის მიზაშენონილობა.

## 1. ევროპის რეგიონში მოქმედი სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტები

ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით ევროპის რეგიონის შესწავლის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს როგორც ევროსაბჭოს, ისე ევროკავშირში მოქმედი სისტემის თავისებურებებზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის ოცდარვავე სახელმწიფო ამავდროულად არის ევროსაბჭოს წევრი, მიზანშენონილია, პირველ რიგში გაანალიზდეს ევროსაბჭოში მოქმედი სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კონვენციების დანიშნულება და ამის შემდეგ იქნას მიმოხილული ევროკავშირის თავისებურებანი.

### 1.1. დისკრიმინაციის ამკრძალავი სპეციალური კონვენციების სამართლებრივი და პრაქტიკული შედეგები ევროსაბჭოს ფარგლებში

ევროსაბჭოს ფარგლებში ადამიანის უფლებათა დაცვის უმთავრეს დოკუმენტს, ცხადია, წარმოადგენს 1950 წელს მიღებუ-

ლი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომლის მე-14 მუხლი სწორებ დისკრიმინაციის აკრძალვას ისახავას მიზნად. დისკრიმინაციული ნიშნების ჩამონათვალი თითქმის იდენტურია გაეროს საერთაშორისო პაქტების და მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური და სხვაგვარი შეხედულება, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობა, ეროვნული უმცირესობა, საკუთრება, დაბადება ან სხვა სტატუსი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უშუალოდ მე-14 მუხლის კონსტრუქცია თავისებურებით გამოიჩინება, რაც გამოიხატება იმაში, რომ დისკრიმინაცია შეიძლება დაფგინდეს მხოლოდ სხვა ძირითადი უფლების დარღვევის დროს და არა დამოუკიდებლად.<sup>7</sup> სწორებ ამიტომ, 2000 წელს მიღებული მე-12 დამატებითი ოქმით აკრძალა დისკრიმინაცია, როგორც დამოუკიდებელი კატეგორია და ის შეზღუდული არ არის მხოლოდ უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფით. კერძოდ, ეს ნორმა საჯარო დაწესებულებას აგრეთვე უკრძალავს პირის დისკრიმინაციას რაიმე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ან ნებისმიერი სხვა ქმედების დროს, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მოქმედებაში ან უმოქმედობაში.<sup>8</sup> ამასთან, უნდა ითქვას, რომ კონვენციასა და მე-12 დამატებით ოქმში დისკრიმინაციული ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და დისკრიმინაცია იკრძალება ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზეც, რომელიც ექსპლიციტურად არ არის მოხსენიებული ტექსტში. როგორც კონვენციის მე-14 მუხლის, ისე მე-12 დამატებითი ოქმის განხორციელებაზე სასამართლო კონტროლს ახორციელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო<sup>9</sup> და საკმაოდ მდიდარია დისკრიმინაციისთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა.<sup>10</sup> შესაბამისად, ევროსაბჭოს ფარგლებში დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით სახეზეა, როგორც შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო, ისე მისი პრაქტიკაში აღსრულებისთვის საჭირო მექანიზმები.

მიუხედავად დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის კუთხით არსებული ჩარჩოს არ-სებობისა, ევროსაბჭოს ფარგლებში 90-იანი წლებიდან მოყოლებული დაინტე სპეცია-ლური ანტიდისკრიმინაციული აქტების შე-

ვიდუალური შემთხვევების შესასწავლად და სწორედ სასამართლო არის უფლებამოსილი მოახდინოს ნორმების ინტერპრეტაცია და გამოსცეს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებები. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქარტიის მიღების შედეგად განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უმცირესობათა საჭიროებებზე და ამ კონკრეტული საკითხის ირგვლივ შეიქმნა სახელმწიფოთა მუდმივი ანგარიშვალდებულების დამატებითი მექანიზმი.

შემდეგი სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კონვენცია კვლავ ეროვნული უმცირესობების თემატიკას დაეთმო. კერძოდ, 1995 წელს მიღებულ იქნა ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის ჩარჩო კონვენცია, რომელიც ძალაში, ენების ქარტიის მსგავსად, 1998 წელს შევიდა.<sup>17</sup> რეალურად, ჩარჩო კონვენცია არის ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის ზოგადი კონვენცია, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს უთმობს აგრეთვე უმცირესობების ენების დაცვისა და მათი რეალიზებისთვის სათანადო გარემოს შექმნის აუცილებლობას.<sup>18</sup> ქარტია, შინაარსობრივად უფრო დეტალურად განსაზღვრავს ენების დაცვის კუთხით სახელმწიფოებზე დაკისრებულ ვალდებულებებს, სხვა მხრივ კი ნამდვილად გაუგებარია, რამ გამოიწვია ერთმანეთის პარალელურად ევროსაბჭოს მიერ ორი საერთაშორისო ხელშეკრულების მიღება, რომლებიც ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვაზე არის ორიენტებული. ქარტიის მსგავსად, ჩარჩო კონვენციამ განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად პერიოდული ანგარიშების წარდგენა შექმნა, რომლის მონიტორინგის უფლება მინისტრთა კომიტეტს აქვს.<sup>19</sup> თავის მხრივ, მინისტრთა კომიტეტის დახმარების მიზნით შეიქმნა საკონსულტაციო კომიტეტი შესაბამისი დარგის ექსპერტებისგან და სახელმწიფოთა პერიოდული მონიტორინგი და რეკომენდაციების გაცემა აბსოლუტურად იდენტურია ქარტიით დადგენილი პროცედურებისა.<sup>20</sup> თუმცა, ამ შემთხვევაში, საკონსულტაციო კომიტეტმა დამატებით დანერგა თემატური კომენტარების გამოცემის პრაქტიკა, რომელიც წააგავს გაეროს კომიტეტების მხრიდან გამოცემულ ზოგად კომენტარებსა და რეკომენდაციებს.<sup>21</sup> თუმცა, მიუხედავად ამ მცირედი განსხვავე-

ბებისა, აშკარაა, რომ ენების ქარტია და ჩარჩო კონვენცია მეტ წილად ერთსა და იმავე საკითხებს არეგულირებენ და მათი განხორციელების მონიტორინგის მექანიზმებიც თითქმის იდენტურია. შესაბამისად, სახელმწიფოებს უწევთ, პერიოდული ანგარიშება და ექსპერტთა ვიზიტების მიღება მსგავს თემატიკაზე ევროსაბჭოს ორ ორგანოში, რაც სახელმწიფოთა მხრიდან მეტი რესურსის ხარჯვას მოითხოვს. თავის მხრივ, თავად ევროსაბჭოს მიერ ხარჯების მართვის კუთხითაც, კითხვის ნიშნები შეიძლება ჩნდებოდეს თუ რამდენად მიზანშეწონილი და აუცილებელია თითქმის ერთსა და იმავე თემატიკაზე ორი განსხვავებული ორგანოს არსებობა.

მსგავსი ფუნქციით აღჭურვილი ექსპერტთა ორი ორგანოს არსებობა კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშნებს შეიძლება აჩენდეს იმ ფონზე, რომ 1993 წლიდან უკვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის შექმნის შესახებ, რომლის წესდებაც 2002 წელს დამტკიცდა და კომისიას დაევალა რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციის, ქსენოფობის, ანტისემიტიზმის და ზოგადად შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა.<sup>22</sup> რეალურად, კომისიას დაევალა ზოგადად დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ამისთვის ძირითად მექანიზმებად განისაზღვრა სახელმწიფოთა პერიოდული მონიტორინგი და თემატურ საკითხებზე განმარტებების გაკეთება.<sup>23</sup> კომისიის საქმიანობა საკმაოდ წარმატებულია, როგორც სახელმწიფოთა პერიოდული მონიტორინგის ისე თემატური განმარტებების გამოცემის კუთხით და დღეის მდგომარეობით კომისია ახორციელებს მონიტორინგის მეცნიერებულს და გამოცემულია 14 ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სხვადასხვა საკითხზე.<sup>24</sup> კომისია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის საქმეში, თუმცა ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით ნამდვილად გაუგებარია თუ რაში სჭირდება ევროსაბჭოს სამი სხვადასხვა ორგანოს არსებობა, რომელის მანდატშიც დიდი თუ მცირე მდენობით შედის უმცირესობების ენების დაცვის საკითხების მონიტორინგი.

ევროსაბჭოს ანტიდისკრიმინაციულ კონვენციებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ბოლო კონვენცია მიღებულ იქნა 2011 წელს სტამბულში, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციას.<sup>25</sup> სტამბულის კონვენცია ძალაში შევიდა 2014 წელს და ქალთა უფლებების დაცვის კუთხით ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მრავლისმომცველ დოკუმენტად ითვლება. აღსანიშნავია, რომ კონვენცია ფოკუსირებულია არა ზოგადად ქალთა უფლებების დაცვაზე ან დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, არამედ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე. თუმცა, კონვენცია ქალთა წინააღმდეგ ძალადობას განიხილავს,<sup>26</sup> როგორც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის გამოვლინებად და ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს დისკრიმინაციის აღმოფხვრა, ქალის როლის გაძლიერება და ქალსა და კაცს შორის თანასწორობის მიღწევა.<sup>27</sup> შესაბამისად, კონვენცია ცალსახად მიეკუთვნება ანტიდისკრიმინაციული კონვენციების კატეგორიას და აქცენტს აკეთებს დისკრიმინაციის ერთ კონკრეტულ გამოვლინებაზე. რაც შეეხება იმპლემენტაციის მონიტორინგს, ამ შემთხვევაშიც კონვენცია ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის შექმნას, რომლის ფუნქციასაც განეკუთვნება სახელმწიფოთა პერიოდული მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში თემატურ საკითხებზე ზოგადი კომენტარების გაკეთება.<sup>28</sup> ამ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტურობის შემოწმება ნამდვილად ნაადრევია, რამდენადაც პირველი შემადგენლობა შეიკრიბა მხოლოდ 2015 წლის 4 მაისს და რეალურად ექსპერტთა ჯგუფი ახლა იწყებს ფუნქციების პრაქტიკაში განხორციელებას.<sup>29</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ევროსაბჭოს ფარგლებში სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კონვენციების მიღებას სამართლებრივი კუთხით მოსდევს საკითხზე მეტი ყურადღების გამახვილება და დეტალური რეგულირება, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მონიტორინგის ორგანოების შექმნა, რომლებიც ამ სპეციალური კონვენციების პრაქტიკული იმპლემენტაციის ზედამხედვლობას ახდენენ და ინარჩუნებენ სახელმწიფოთა ანგარიშვალდებულებას. თუმცა,

უნდა აღინიშნოს, რომ გაეროსგან განსხვავებით, ევროსაბჭოში მონიტორინგის სპეციალური ორგანოების შექმნისთვის საჭირო არ არის სპეციალური კონვენციების მიღება. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ახალი კონვენციის მიღების გარეშე ევროსაბჭოში მოქმედებს სპეციალური მონიტორინგის ორგანოები მაგალითად ისეთ თემებზე, როგორიცაა გენდერული თანასწორობა<sup>30</sup> და რასიზმისა და შეუწყისარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა.<sup>31</sup> შესაბამისად, ევროსაბჭოს მიერ სპეციალური ანტიდისკრიმინაციული კონვენციების მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სწორედ შინაარსობრივ მხარეზე და სამართლებრივად ახალი რეგულაციები დაწესდეს, რომ გამართლებული იყოს სპეციალური კონვენციის მიღების აუცილებლობა.

## **1.2. დისკრიმინაციის აკრძალვა ევრო-კავშირის ფარგლებში და სპეციალური ანტიდისკრიმინაციული დირექტივების მნიშვნელობა**

ზემოთ როგორც აღინიშნა, ევროკავშირის ყველა ქვეყანა არის ამავდროულად ევროსაბჭოს წევრი და ზემოთ განხილული ანტიდისკრიმინაციული კონვენციები მათსზეც ვრცელდება. თუმცა, ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი მექანიზმები მოქმედებს უშუალოდ ევროპული კავშირის შიგნით და ამის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა შესახებ ქარტია, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წელს და სავალდებულო ძალა მიენიჭა 2009 წელს ლისაბორნის ხელშეკრულებით.<sup>32</sup> ქარტის მოქმედება ვრცელდება ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელების ფარგლებში განხორციელებულ დონისძიებებზე და ვალდებულებას აკისრებს, როგორც წევრ სახელმწიფოებს, ისე ევროკავშირის ორგანოებს.<sup>33</sup> ქარტის 21-ე მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას ნებისმიერი ნიშნით და ჩამოთვლილი ნიშნების სია გაცილებით ფართოა ვიდრე ევროსაბჭოს ან გაეროს კონვენციების ანტიდისკრიმინაციული დებულებებისა. კერძოდ, დაცულ ნიშნებს შორის პირდაპირ მოხსენიებულია გენეტიკური მახასიათებლები, შეზღუდული შესაძლებლობა, ასაკი და სექსუალური ორიენტაცია.<sup>34</sup> შესაბამისად, უშუალოდ ევროკა-

ვშირის სამართლის იმპლემენტაციის დროს დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებობს სათანადო სამართლებრივი ბაზა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის ფარგლებშიც მოქმედებს ცალკეული ანტიდისკრიმინაციული დირექტივები, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებრივ ცალკეულ სფეროებში დისკრიმინაციის აკრძალვაზე. კერძოდ, უნდა აღინიშნოს 2000 წელს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის დირექტივა, ამავე წელს მიღებული დირექტივა, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას დასაქმების სფეროში, 2004 წელს მიღებული დირექტივა, რომელიც ითხოვს ქალის და კაცის თანასწორობას მომსახურებით და საქონლით სარგებლობის სფეროში, აგრეთვე 2006 წელს მიღებული დასაქმების სფეროში ქალსა და კაცს შორის დისკრიმინაციის აკრძალვის დირექტივა.<sup>35</sup>

ამ შემთხვევაში სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების მიღების მიზანშეწონილობა ვერ შეფასდება ზოგადი აკრძალვის ჭრილში, რამდენადაც ეს დირექტივები მიღებულ იქნა მანმადე, სანამ იურიდიულ ძალას შეიძენდა ევროკავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტია.<sup>36</sup> ამიტომ, ზოგადი აკრძალვის არარსებობის ფონზე, ცხადია მხოლოდ პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ცალკეული ანტიდისკრიმინაციული დირექტივების მიღება. მით უმეტეს, ეს დირექტივები შეიცავენ თანასწორობის პრაქტიკული უზრუნველყოფისთვის უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, რაც გულისხმობს თანასწორობის დაცვაზე პასუხისმგებელი სპეციალიზებული ორგანოს შექმნის ვალდებულებას ეროვნულ დონეზე, რომლებსაც ექნებათ, მათ შორის, ინდივიდუალური საჩივრების განხილვის შესაძლებლობა.<sup>37</sup> რაც შეეხება ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ არსებულ მდგომარეობას, ქარტიის ნებისმიერი წორმის დარღვევაზე ინდივიდუალური საქმების განხილვის პრეროგატივა უკვე აქვს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის ორგანოებისთვის გამოსცემს შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, თუ ეროვნულ დონეზე ვერ მოხდება დარღვეული უფლების აღდგენა, ევროკავშირის

დონეზე უკვე სასამართლო იქნება ის ინსტანცია, რომელიც მიიღებს სავალდებულო გადაწყვეტილებებს. თუმცა, ეს არ ამცირებს სპეციალური ანტიდისკრიმინაციული ორგანოების არსებობის მნიშვნელობას ეროვნულ დონეზე, რადგან, პირველ რიგში, სწორედ ეროვნულ დონეზე უნდა ხდებოდეს დარღვეული უფლების აღდგენა და ამ კუთხით ანტიდისკრიმინაციული დირექტივები ნამდვილად ინარჩუნებენ მნიშვნელობას.

## 2. დისკრიმინაციის ნინააღმდეგ პრატლის საეციალური კონვენციის ამერიკის რეაგირები

ევროპის რეგიონის მსგავსად, დისკრიმინაციის აკრძალვა ამერიკის რეგიონშიც ზოგადი და სპეციალური კონვენციების საფუძველზე ხორციელდება. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის პირველივე მუხლი ადამიანის უფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციის აკრძალვას მოითხოვს და დაცული ნიშნების ჩამონათვალი ემთხვევა გაეროს პაქტებითა და ევროპული კონვენციით დაცულ ნიშნებს. აგრეთვე, კანონის წინაშე ყველას თანასწორობას მოითხოვს ამერიკული კონვენციის 24-ე მუხლიც. რაც შეეხება სპეციალურ ანტიდისკრიმინაციულ კონვენციებს, 1994 წელს მიღებულ იქნა ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის, დასჯისა და აღმოფხვრის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 1995 წელს.<sup>38</sup> ევროსაბჭოს სტამბულის კონვენციის მსგავსად, ეს კონვენციაც აქცენტს აკეთებს ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრაზე, თუმცა ძალადობის ერთ-ერთ ფორმად განიხილება დისკრიმინაცია<sup>39</sup> და ამიტომ კონვენციის დებულებები ვრცელდება მათ შორის ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აკრძალვაზეც. შესაბამისად, აშკარად სახეზეა სპეციალური ანტდისკრიმინაციული ხასიათის კონვენცია. იმპლემენტაციის ნაწილში, ამერიკული კონვენცია განსხვავდება გაეროს და ევროპის რეგიონში მოქმედი ანალოგიური კონვენციებისგან, რადგან ის არ ქმნის მონიტორინგზე პასუხისმგებელ სპეციალურ ორგანოს. რეალურად ამერიკის რეგიონში ქალთა უფლებების დაცვაზე მონიტორინგს 1928 წლიდან ახორციელებს ქალთა ამერიკათა-შორისი კომისია და სახელმწიფოებს ისედაც

ევალებოდათ ამ კომისიის წინაშე პერიოდული ანგარიშების წარდგენა. ამიტომ, 1994 წლის კონვენციამ სახელმწიფოებს დააკისრა დამატებითი ვალდებულება, რომ პერიოდული ანგარიშების წარდგენის დროს დეტალური ინფორმაცია მიაწოდონ კომისიას ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.<sup>40</sup> რაც შეეხება ინდივიდუალურ საჩივრებს, ევროსაბჭოს მსგავსად, ინდივიდუალური საჩივრების წარდგენა ხდება ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორის კომისიაში.<sup>41</sup> შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით ამ სპეციალურ კონვენციას რაიმე დამატებითი დაცვის გარანტია არ შემოუღია და უბრალოდ მოხდა აქტუალურ პრობლემაზე დამატებითი ყურადღების გამახვილება და დეტალური რეგულაციების შემოღება.

შემდეგი ანტიდისკრიმინაციული კონვენცია ამერიკის რეგიონში მიღებულ იქნა 1999 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოსაფხვრელად.<sup>42</sup> კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს მთელ რიგ ვალდებულებებს, რომ სათანადოდ უზრუნველყოფილი იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრაქტიკული იმპლემენტაცია და ამით თავიდან იქნას აცილებული მათი დისკრიმინაცია. სამართლებრივი თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ კონვენციის მიღება, რამდენადაც ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული კონვენცია დაცულ ნიშნებს შორის არ შეიცავდა შეზღუდულ შესაძლებლობას და ამ კატეგორიის პირთა უფლებების სათანადო რეალიზება ნამდვილად საჭიროებდა დეტალურ რეგულირებას. მით უმეტეს, 1999 წელს ჯერ კიდევ არ იყო მიღებული მსგავსი შინაარსის კონვენცია გაეროს ფარგლებში და არც საერთაშორისო დონეზე იყო სათანადო დარეგულირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხები. რაც შეეხება განხორციელებას, კონვენციის საფუძველზე დაფუძნდა სპეციალური კომიტეტი, რომელიც სახელმწიფოთა პერიოდული ანგარიშების საფუძველზე შეიმუშავებენ საკუთარ ან-

გარიშებს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით.<sup>43</sup>

ანტიდისკრიმინაციული კონვენციების კონტექსტში აუცილებლად უნდა ითქვას, რომ 2013 წელს მიღებულ იქნა რასიზმის, რასობრივი დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის მსგავსი ფორმების წინააღმდეგ ამერიკათაშორის კონვენცია, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული.<sup>44</sup> იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადი კონვენცია უკვე ფარავს მათ შორის რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვასაც, სპეციალური კონვენციის მიღება შესაძლოა არც იყო აუცილებელი. მით უმეტეს, განხორციელების კუთხითაც კონვენცია არ შეიცავს რაიმე სიახლეს და აღნიშნულია მხოლოდ ინდივიდუალური საჩივრების წარდგენის შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ კომისიაში, რომელიც ზოგადი წესით იღებს საჩივრებს ნებისმიერი უფლების დარღვევის შემთხვევებში.<sup>45</sup> ამ კონვენციის მიღების საჭიროება კიდევ უფრო გაუგებარია იმ ფონზე, რომ ზუსტად იმავე დღეს 2013 წლის 5 ივნისს პარალელურად მიღებულ იქნა დისკრიმინაციის ყველა ფორმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ამერიკათაშორის კონვენცია<sup>46</sup> და ეს უკანასკნელი შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც კრძალავენ ყველა ფორმის დისკრიმინაციას. ამასთან სწორედ ეს კონვენცია ითვალისწინებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის და შეუწყნარებლობის საკითხებზე, მათ შორის რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალური კომიტეტის შექმნას, რომელიც განახორციელებს მონიტორინგის ფუნქციებს.<sup>47</sup> შესაბამისად, ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ცალკეული ანტიდისკრიმინაციული კონვენციების მიღება მხოლოდ რაიმე არსებითი მიზეზით შეიძლება იქნას გამართლებული.

### **3. ანტიდისკრიმინაციული კონვენციის მოქმედება აზრიას რეგიონში**

აფრიკის რეგიონში დისკრიმინაციის ამკრძალავი ზოგადი ნორმის ფუნქციას ასრულებს ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ აფრიკული ქარტიის მე-3 მუხლი, რომელიც მოითხოვს კანონის წინაშე ყველა ინდივიდის თანასწორობას.<sup>48</sup> ამასთან ქა-

რტიის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კოლონიალიზმის და აპარტეიდის სრული აღმოფხვრა და განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება რასის, ეთნიკური წარმომავლობის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულების გამო დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე.<sup>49</sup> ამასთან, თანასწორობა მთლიანი ქარტიის თანმდევი პრინციპია და არაერთხელ არის ხაზგასმული ცალკეული უფლების რეალიზების კონტექსტში, როგორიცაა მომსახურებასა და საქონელზე ხელმისაწვდომობა; საჯარო სამსახურის დაკავება;<sup>50</sup> დასაქმება;<sup>51</sup> ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობა;<sup>52</sup> ოჯახი.<sup>53</sup> ამასთან, სხვა მსგავსი კონვენციებისგან განსხვავებით, აფრიკული ქარტია დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებას აკისრებს არა მხოლოდ სახელმწიფოებს, არამედ უშუალოდ ინდივიდებსაც, რაც ნამდვილად განსხავებულ სამართლებრივ კონსტიტუქციას ქმნის. კერძოდ, ქარტიის მე-2 თავი ინდივიდის ვალდებულებებს აღწერს და ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას წარმოადგენს სხვა ინდივიდების პატივისცემა, ტოლერანტული დამოკიდებულება და დისკრიმინაციის აკრძალვა.<sup>54</sup> ამგვარი შინაარსის ნორმა ნამდვილად უცხოა საერთაშორისო ხელშეკრულებისთვის, რამდენადაც ხელმომწერები არიან სახელმწიფოები და ვალდებულებებიც სწორედ სახელმწიფოზე დაკისრებათ. ცხადია, სახელმწიფოზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, რომ დაიცვას ნებსიმიერი პირი მესამე პირების მხრიდან დისკრიმინაციისგან, ირიბად ცალკეული ინდივიდების ვალდებულებაში გარდაიქმნება, მაგრამ სამართლებრივი კონსტიტუქციის თვალსაზრისით არაორდინალურია ინდივიდების პირდაპირი დავალდებულება. მით უმეტეს, სახელმწიფოთა საკმაოდ დიდ რაოდენობაში საერთაშორისო ხელშეკრულება რატიფიკაციის მომენტიდან ხდება შიდა კანონმდებლობის ნაწილი და აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აფრიკული ქარტია უდიდეს ყურადღებას უთმობს დისკრიმინაციის აკრძალვას და ზოგადი ნორმის პარალელურად თანასწორობის უფლების რეალიზების აუცილებლობა ხაზგასმულია ცალკეულ უფლებებთან მიმარ-

თებითაც. თუმცა, აფრიკა არ გამოდგა გამონაკლისი რეგიონი და სპეციალური ანტიდისკრიმინაციული საერთაშორისო ხელშეკრულებების შემუშავების პრაქტიკა აქაც გაგრძელდა. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს 1990 წელს მიღებული ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ აფრიკული ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წელს.<sup>55</sup> რეალურად, ეს ქარტია შემუშავდა გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის პარალელურად და შინაარსობრივად ძალიან ჰგავს მას. ამ შემთხვევაშიც აქცენტი გაკეთებულია ბავშვთა უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელ პოზიტიურ ღონისძიებებზე, რაც ბავშვებს, მათ შორის, დაიცვას დისკრიმინაციისგან. აფრიკული ქარტიის მთავარი პრინციპიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაა და დისკრიმინაციის კონტექსტში, შეიძლება ითქვას, რომ ეს ქარტია ნაწილობრივ წარმოადგენს ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ამკრძალავრებინულ აქტს. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ქარტიის იმპლემენტაციის მონიტორინგს ახორციელებს სპეციალურად შექმნილი კომიტეტი,<sup>56</sup> რომელიც სახელმწიფოთა პერიოდული ანგარიშების მიღებით დაწყებული, ინდივიდუალური საჩივრებით დამთავრებული საკამოდ ეფექტური მექანიზმებით არის აღჭურვილი.<sup>57</sup>

აღსანიშნავია, რომ აფრიკის რეგიონში სხვა სპეციალური ხელშეკრულება დისკრიმინაციის კონტექსტში არ მიღებულა. ერთადერთი, რაც აუცილებლად საჭიროებს განხილვას, არის თავად ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი აფრიკაში ქალის უფლებების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2000 წელს და ძალაშია 2005 წლიდან.<sup>58</sup> აღნიშნული ოქმი კრიტიკას იმსახურებს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის მსგავსად, რადგან აქცენტი გაკეთებულია მხლობდების წინააღმდეგ დისკრიმინაციის აკრძალვაზე და არა ზოგადად სქესის ნიშნით განსხვავებულ მოპყრობაზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სხვა მხრივ, გაეროს კონვენციასთან შედარებით, უფრო დაბალანსებული და რაციონალურია. რეალურად დამატებით ოქმში მინიმუმამდე არის დაყვანილი ის ნაკლოვანებები, რომლებიც გაეროს შესაბამის

კონვენციას ახასიათებს. კერძოდ, დამატებითი ოქმი განმარტავს, რომ ტერმინში „ქალი“ იგულისხმება გენდერი<sup>59</sup> და ამ კუთხით ის არ ქმნის ბუნდოვანებას, რაც დაკავშირებულია გაეროს კონვენციასთან. უფრო ზუსტი მიღვომა დაფიქსირებულია დისრკიმინაციული და სტერეოტიპული ტრადიციების შეცვლასთან მიმართებით, სადაც პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ სახელმწიფოებს ამ კუთხით ევალებათ მხოლოდ საგანმანათლებლო, ინფორმაციული და ცნობადობასთან დაკავშირებული ზომების მიღება<sup>60</sup> და არა ჩვეულებების შეცვლა, როგორც ამას ითხოვს გაეროს შესაბამისი კონვენცია.<sup>61</sup> აგრეთვე, პოზიტირულად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ დამატებითი ოქმი ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ისეთ უფლებებზე, რომელიც საერთო შეიძლება იყოს ქალისა და კაცისთვის, არამედ უშუალოდ ქალის სპეციფიურ საჭიროებებზე, როგორიცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ორსულობა, დედობა.<sup>62</sup> დადგებითად უნდა აღინიშნოს სპეციალური აქცენტის გაკეთება არა მხოლოდ ზოგადად ქალთა საჭიროებებზე, არამედ ქალთა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე როგორიცაა ქვრივი,<sup>63</sup> მოხუცებული,<sup>64</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე,<sup>65</sup> სამხედრო კონფლიქტების მსხვერპლი ქალები.<sup>66</sup> აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი იმითაც გამოირჩევა, რომ ქალთა უფლებების რეალიზებასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის პარალელურად მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხესაც<sup>67</sup> და მასში ასახულია ის პრინციპები, რომლებსაც მოგვიანებით დაეყრდნო ევროსაბჭოს სტამბულის კონვენცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალიან პოზიტიურად უნდა შეფასდეს აფრიკული ქარტიის დამატებითი ოქმი, რამდენადაც ის სათანადოდ ითვალისწინებს ქალთა ყველა საჭიროებას და არის მრავლის მომცველი. ამასთან, რადგან ეს არის ქარტიის დამატებითი ოქმი და არა ცალკე აღებული სპეციალური კონვენცია, ნაკლებად გასაკრიტიკებელია ის გარემოებაც კი, რომ აქცენტი გაკეთდა მხოლოდ ქალების და არა ზოგადად სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე, რადგან ზოგად აკრძალვას ქარტიის ძირითადი ტექსტი შეიცავს და დამატებითი ოქმი უფრო დეტალურად არეგულირებს იმ მიმართულე-

ბას, რისი საჭიროებაც პრაქტიკაში არსებობდა. ამასთან, ქარტიის დამატებით ოქმზე, სრულად ვრცელდება მთლიანად ქარტიის განხორციელებისთვის საჭირო მექანიზმები პერიოდული ანგარიშებისა<sup>68</sup> და სასამართლოში ინდივიდუალური საჩივრების წარდგენის სახით.<sup>69</sup>

## დასკვნა

რეგიონულ დონეზე მოქმედი ზოგადი და სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების ურთიერთმიმართებების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის პარალელურად სპეციალური აქტების მიღების რეალური ღირებულება ორ ასპექტში ვლინდება: 1) სპეციალური აქტები იძლევა შესაძლებლობას მეტი ყურადღება გამახვილდეს კონკრეტულ ნიშანთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტზე და განსაკუთრებით პოზიტიურ ვალდებულებებზე; 2) სპეციალური აქტების მიღებას, როგორც წესი, თან სდევს იმპლემენტაციაზე მონიტორინგის განმახორციელებული ორგანოების შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშენონილია ცალ-ცალკე შეჯამდეს ორივე ასპექტი და ამის პარალელურად აღინიშნოს იმ უარყოფითი მხარის შესახებ, რაც შეიძლება თან სდევდეს სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების მიღებას.

წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების მიღების უმთავრესი პოზიტიური მხარე იყვეთება იმაში, რომ ცალკეულ ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო ზომებზე მეტი აქცენტი კეთდება და ეს გამოიხატება პრევენციით დაწყებული, დარღვეული უფლების აღდგენის მექანიზმების შექმნით დამთავრებული. შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით სპეციალური აქტი იძლევა შესაძლებლობას, დეტალურად იქნეს განერილი კონკრეტულ დისკრიმინაციულ ნიშანთან დაკავშირებული ყველა ასპექტი და ეს უფრო ცხადს ხდის თუ რა ევალება თითოეულ სახელმწიფოს დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ზოგადი შესაძლებლობები ყოველთვის სათანადოდ არ არის გამოყენებული პრაქტიკიკაში და კვლევამ წარმოაჩინა, რომ სპე-

ღუდული შესაძლებლობის მქონე, სამხედრო კონფლიქტების მსხვერპლი ქალები.

შესაბამისად, კვლევამ აჩვენა, რომ ზოგ შემთხვევაში სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტები რეალურად არეგულირებენ სპეციფიურ საკითხებს, რის გამოც ისინი იქნა მიღებული და სხვა შემთხვევებში ადგილი აქვს ზოგადი ნორმების გამეორებას, რაც აშკარად ამცირებს ამ აქტების ღირებულებას.

დეტალური რეგულირების კონტექსტში  
პოზიტურად უნდა აღინიშნოს, რომ ანტიდის-  
კრიმინაციული აქტები განსაკუთრებულ ყუ-  
რადლებას ამახვილებენ პრევენციაზე და ამ  
მიზნით დისკრიმინაციული რეგულაციების,  
წესებისა და ჩვეულებების აღმოფხვრის სა-  
ჭიროებაზე. ამგვარი ზომების მიღება, უდა-  
ვოდ, აუცილებელია დისკრიმინაციასთან  
ეფექტურად საბრძოლველად, თუმცა უფრო  
დაბალანსებულად უნდა შეფასდეს იმ კონ-  
ვენციების მიდგომა, რომელიც სახელმ-  
წიფოებისგან ითხოვს დისკრიმინაციული  
ჩვეულებების არა აღმოფხვრას, არამედ მათ  
შესაცვლელად ყველა შესაძლო ზომის მიღე-  
ბას, რაც უმთავრესად ცნობიერების ამაღ-  
ლებაში გამოიხატება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება  
ითქვას, რომ სპეციალური ანტიდისკრიმი-  
ნაციული აქტები იძლევა ცალკეული ნიშნით  
დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლვე-  
ლად სამართლებრივი ბაზის მნიშვნელოვნად  
დახვეწის რეალურ შესაძლებლობას და მისა-  
სალმებელია სათანადო სიცხადითა და დე-  
ტალურობით ფორმულირებული ამგვარი  
აქტების მიღება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ პრაქტიკაში ამგვარი სპეციალური  
აქტების შემუშავება მხოლოდ ცალკეული  
ნიშნების საფუძველზე დისკრიმინაციის წი-  
ნააღმდეგ საბრძოლველად ხდება. კერძოდ,  
კვლევამ აჩვენა, რომ ეს ნიშნებია: ქალთა  
უფლებების დაცვა, ბავშვთა უფლებების  
დაცვა, რასობრივი ან ეთნიკური ნიშნით  
დისკრიმინაციის აკრძალვა და შეზღუდული  
შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების  
დაცვა. ბუნებრივია, ყველა ეს ნიშანი იმ-  
სახურებს სპეციალურ ყურადღებას და  
პოზიტიურად უნდა შეფასდეს სპეციალური  
აქტების არსებობა, თუმცა ადამიანის უფლე-  
ბების დაცვის სისტემის ერთიანობის კუთხით  
კითხვის ნიშნებს შეიძლება აჩენდეს ის გარე-  
მოება, თუ რატომ არ ხდება მსგავსი აქტების

შემუშავება სხვა ნიშნებთან მიმართებით. იმ ფონზე, როდესაც დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის გამო არის თანასწორობის უფლების ერთნაირი დარღვევა, მხოლოდ ცალკეული ნიშნების დასაცავად სპეციალური აქტების შემუშავება ირიბად შეიძლება ახდენდეს ამ ნიშნების კლასიფიკაციას უფრო მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან ნიშნებად. ცხადია, გამორიცხული არ არის სხვა ნიშნების დასაცავადაც შემუშავდეს მომავალში სპეციალური აქტები, მაგრამ თუ ყველა ნიშნის საფუძველზე სპეციალური აქტი უნდა შემუშავდეს, მაშინ აზრი დაეკარგება დისკრიმინაციის ამკრძალავი ზოგადი ნორმების არსებობას. ამიტომ, ცალკეული ანტიდისკრიმინაციული აქტების მიღების აუცილებლობა შეიძლება იყოს მხოლოდ იმ ნიშნებთან მიმართებით, რომლებიც არ არის დაფარული დისკრიმინაციის ამკრძალავი ზოგადი ნორმებით.

რაც შეეხება სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების პრაქტიკულ დანიშნულებას, როგორც განხილვამ აჩვენა, ამგვარი აქტების მიღებას ხშირად თან ახლავს სპეციალური ორგანოების შექმნა, რომლებსაც ეკისრებათ შესრულების მონიტორინგის ფუნქცია. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებების რეალური ღირებულება მათ პრაქტიკულ განხორციელებაში ვლინდება, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოების შექმნა სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების ყველაზე დიდ პოზიტივად უნდა შეფასდეს. რეგიონალურ დონეზე სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტების საფუძველზე შექმნილი ორგანოების უმთავრესი დატვირთვა არის სახელმწიფოთა მუდმივი ანგარიშვალდებულების შენარჩუნება, რაც პერიოდული ანგარიშების წარდგენის ვალდებულებაში გამოიხატება. როდესაც სახელმწიფოს რაღაც პერიოდულობით უწევს დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა რეგიონალურ დონეზე მოქმედ ორგანოებში, ის ცდილობს წინა პერიოდთან შედარებით აჩვენოს განვითარება და წინსვლა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იმპულსია, რომ თანასწორობის უფლების რეალიზების კუთხით მუდმივად იყოს პროგრესი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს თემატიკაზე სხ-

ვადასხვა ორგანოებში ანგარიშგების ვალდებულების დუბლირებამ შესაძლოა უარყოფითი შედეგებიც გამოიღოს და სახელმწიფოებმა სათანადო რესურსის არ არსებობის გამო ვერ შეძლონ წარსადგენი ანგარიშების პერიოდულობის დაცვა. შესაბამისად, მიზანშენონილია, ისე დაიხვეწოს ანგარიშგების პროცედურა, რომ სახელმწიფოებს ზედმეტ ტვირთად არ დააწვეს ამ ვალდებულების შესრულება და ეს არ იყოს დაკავშირებული გაუმართლებელ ადმინისტრაციული რესურსის ხარჯვასთან.

მონიტორინგის ორგანოების ფუნქციებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, შესაბამისი ანტიდისკრიმინაციული აქტების ცალკეულ მოთხოვნათა ინტეპრეტაციის მიზნით გამოცემული განმარტებები. როგორც უკვე აღინიშნა, სამართლებრივი თვალსაზრისით სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტები მიღებით ხდება მეტი აქცენტის გაკეთება ცალკეულ საკითხებთან მიმართებით და შემოდის დეტალური რეგულაციები, თუმცა სამართლებრივი აქტი ყოველთვის საჭიროებს დამატებით დაზუსტებებს. შესაბამისად, სპეციალური ორგანოების მიერ გამოცემული განმარტებებით მეტი სიცხადე უნდა მოეფინოს იმ საკითხებს, რაც კონვენციებიდან მკაფიოდ არ იკითხება ან არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ სპეციალური ორგანოს მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია არ იყოს მხოლოდ ცალმხრივი გადმოსახედიდან გაკეთებული და ითვალისწინებდეს მთლიანად ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ერთიანობას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად სპეციალური აქტების მიღება ქმნის მნიშვნელოვან შესაძლებლობას, რომ ერთი მხრივ, სამართლებრივი თვალსაზრისით უფრო დეტალურად დარეგულირდეს ცალკეული ნიშნისთვის დამახასიათებელი სპეციფიური საკითხები, ხოლო, მეორე მხრივ, მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული იმპლემენტაციის საკითხს. შესაბამისად, ამგვარი აქტების მიღება მიზანშენონილად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალური აქტები იქნება სათანადოდ

ცხადად, დაბალანსებულად და რეალისტურ-  
ად ფორმულირებული, რომ ამოვარდნილი არ

იყოს ადამიანის უფლებების დაცვის საერთო  
კონტექსტიდან.

- 1 Tomuschat C. (2008) *Human Rights: Between Idealism and Realism* (2nd edition, Oxford University Press), გვ. 11-12.
- 2 იბ. 26-ე მუხლი.
- 3 იხ. მაგ. პაქტის მე-3, მე-14, 23-ე, 24-ე, 25-ე მუხლები <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>>.
- 4 იხ. პაქტის მე-2, მე-3, მე-7, მე-10, მე-11, მე-13 მუხლები <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577>>.
- 5 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი; ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის პირველი და მე-15 მუხლები; ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ აფრიკული ქარტიის მე-2 და მე-3 მუხლები.
- 6 აღნიშნული სპეციალური ანტიდისკრიმინაციული აქტები განხილულია სტატიაში.
- 7 იხ. მაგალითად *Rasmussen v. Denmark*, App. no. 87777/79 (ECtHR, 28 November 1984), პუნქტი 29.
- 8 Explanatory Report on the Protocol No. 12 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, ოუნქტი 22.
- 9 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-19 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370>> (11.06.2016).
- 10 იხ. Handbook on European non-discrimination law, (European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010), 138;
- 11 <<http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=148&CM=7&DF=10/05/2015&CL=ENG>> (10.05.2015).
- 12 Explanatory Report on European Charter for Regional or Minority Languages, პუნქტი 3.
- 13 მუხლი 7(2), *European Charter for Regional or Minority Languages* (1952).
- 14 Explanatory Report on European Charter for Regional or Minority Languages, პუნქტი 10.
- 15 <[http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/aboutmonitoring/default\\_en.asp](http://www.coe.int/t/dg4/education/minlang/aboutmonitoring/default_en.asp)> (10.05.2015).
- 16 ექსპერტთა კომიტეტის ფუნქციები იხილეთ: Resolution (97) 10 — Rules adopted by the Committee of Ministers on the monitoring arrangements under Articles 24 to 26 of the framework Convention for the Protection of National Minorities (Adopted by the Committee of Ministers on 17 September 1997 at the 601st meeting of the Ministers' Deputies).
- 17 <<http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=7&DF=10/05/2015&CL=ENG>> (10.05.2015).
- 18 იხ. მუხლები: 5, 9, 10, 11, 12, 14, *Framework Convention for the Protection of National Minorities* (1995).
- 19 იქვე, მუხლები: 24-26.
- 20 <<http://www.coe.int/en/web/minorities/country-specific-monitoring>> (10.05.2015).
- 21 <<http://www.coe.int/en/web/minorities/thematic-commentaries>> (10.05.2015).
- 22 Resolution Res(2002)8 on the statute of the European Commission against Racism and Intolerance (Adopted by the Committee of Ministers on 13 June 2002 at the 799th meeting of the Ministers' Deputies, amended by Resolutions CM/Res(2013)12 and CM/Res(2014)2 adopted, respectively, on 9 October 2013 and 19 February 2014 at their 1180 and 1192nd meetings), art. 1.
- 23 <[http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/mandate\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/mandate_en.asp)> (10.05.2015).

- <sup>24</sup> იქვე.
- <sup>25</sup> <<http://www.coe.int/en/web/istanbul-convention/historical-background>> (11.06.2016).
- <sup>26</sup> იხ. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ კონვენციის (2011) პრეამბულა.
- <sup>27</sup> იქვე, მუხლი 1(1)(ბ).
- <sup>28</sup> <[http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/convention-violence/AboutMonitoring\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/convention-violence/AboutMonitoring_en.asp)> (10.05.2015).
- <sup>29</sup> <[http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/convention-violence/default\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/convention-violence/default_en.asp)> (10.05.2015).
- <sup>30</sup> გენდერული თანასწორობის კომისიის შესახებ იხ.: <<http://www.coe.int/en/web/genderequality/gender-equality-commission>> (11.06.2016).
- <sup>31</sup> რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის შესახებ იხ.: <[http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/default\\_en.asp](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/default_en.asp)> (11.06.2016).
- <sup>32</sup> <[http://ec.europa.eu/justice/fundamental-rights/charter/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/justice/fundamental-rights/charter/index_en.htm)> (10.05.2015).
- <sup>33</sup> იქვე.
- <sup>34</sup> 21-ე მუხლის პირველი პუნქტი, Charter of Fundamental Rights of the European Union (2000).
- <sup>35</sup> <[http://ec.europa.eu/justice/discrimination/law/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/justice/discrimination/law/index_en.htm)> (10.05.2015).
- <sup>36</sup> ქარტიას სამართლებრივად სავალდებულო ძალა მიენიჭა ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=CELEX:12007L/TXT>> (11.06.2016).
- <sup>37</sup> იხ. Council Directive 2000/43/EC implementing the principle of equal treatment between persons irrespective of racial or ethnic origin (29 June 2000), article 13; Council Directive 2004/113/EC implementing the principle of equal treatment between men and women in the access to and supply of goods and services (13 December 2004).
- <sup>38</sup> <<http://www1.umn.edu/humanrts/oasinstr/oaslist.htm>> (10.05.2015).
- <sup>39</sup> მუხლი 6, *Inter-American Convention on the Prevention, Punishment, and Eradication of Violence Against Women* (1994).
- <sup>40</sup> იქვე, მუხლი 10.
- <sup>41</sup> იქვე, მუხლი 12.
- <sup>42</sup> <<http://www1.umn.edu/humanrts/oasinstr/oaslist.htm>> (10.05.2015).
- <sup>43</sup> მუხლი 6, *Inter-American Convention on the Elimination of All Forms of Discrimination Against Persons With Disabilities* (1999).
- <sup>44</sup> <[http://www.oas.org/en/sla/dil/inter\\_american\\_treaties\\_A-68\\_racism.asp](http://www.oas.org/en/sla/dil/inter_american_treaties_A-68_racism.asp)> (10.05.2015).
- <sup>45</sup> მუხლი 15, *Inter-American Convention Against Racism, Racial Discrimination and Related Forms of Intolerance* (2013).
- <sup>46</sup> <[http://www.oas.org/en/sla/dil/inter\\_american\\_treaties\\_A-69\\_discrimination\\_intolerance\\_signatories.asp](http://www.oas.org/en/sla/dil/inter_american_treaties_A-69_discrimination_intolerance_signatories.asp)> (10.05.2015).
- <sup>47</sup> მუხლი 15(iv), *Inter-American Convention Against All Forms of Discrimination and Intolerance* (2013).
- <sup>48</sup> <<http://www.achpr.org/instruments/achpr/>> (11.06.2016).
- <sup>49</sup> Preamble, *African Charter on Human and Peoples' Rights* (1981).
- <sup>50</sup> იქვე, მუხლი 13.
- <sup>51</sup> იქვე, მუხლი 15.
- <sup>52</sup> იქვე, მუხლი 22.
- <sup>53</sup> იქვე, მუხლი 18.
- <sup>54</sup> იქვე, მუხლი 28.
- <sup>55</sup> <<http://www1.umn.edu/humanrts/africa/afchild.htm>> (12.05.2015).
- <sup>56</sup> მუხლი 32, *African Charter on the Rights and Welfare of the Child* (1990)..
- <sup>57</sup> იქვე, მუხლები 42-45.

- <sup>58</sup> <<http://www1.umn.edu/humanrts/africa/protocol-women2003.html>. (12.05.2015).
- <sup>59</sup> იხ. *Protocol to the African Charter on Human and Peoples' Rights on the Rights of Women in Africa* (2000), Art. 1(k).
- <sup>60</sup> იქვე, მუხლი 2(2).
- <sup>61</sup> ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხერის შესახებ გაეროს საერთაშორისო კონვენცია (1979) მუხლი 2(3).
- <sup>62</sup> მუხლი 14, *Protocol to the African Charter on Human and Peoples' Rights on the Rights of Women in Africa* (2000).
- <sup>63</sup> იქვე, მუხლი 20.
- <sup>64</sup> იქვე, მუხლი 22.
- <sup>65</sup> იქვე, მუხლი 23.
- <sup>66</sup> იქვე, მუხლი 11.
- <sup>67</sup> იქვე, მუხლი 4, 5.
- <sup>68</sup> იქვე, მუხლი 26.
- <sup>69</sup> მუხლი 3, *Protocol to the African Charter on Human and People's Rights on the Establishment of an African Court on Human and People's Rights* (1998).

**BEKA DZAMASHVILI**

## **THE ROLE OF SPECIAL REGIONAL ANTI-DISCRIMINATION ACTS IN LIGHT OF GENERAL PROHIBITION OF DISCRIMINATION**

The Article examines effectiveness of regional anti-discrimination treaties in light of global multi-lateral human rights instruments, which regulate anti-discrimination matters. Apart from the human rights treaties adopted under the aegis of the UN, regions, such as Europe, Africa and Americas also established own systems of human right protection through adoption of various general or specific human rights conventions. Taking into consideration universal application of global human rights treaties, existence of special regional anti-discrimination treaties sometimes becomes questionable. The research is concentrated on whether special legal acts applicable in certain regions ensures more guarantees for equality and to what extend practical implementation of such acts may be assessed as effective.

For this purpose, the Paper first analyzes two different anti-discrimination systems applicable in Europe, namely under the Council of Europe frame-

work and under the European Union. Afterwards, the article discusses special conventions on combating discrimination applicable in Americas and finally it overviews anti-discrimination conventions applicable in Africa.

The Author concludes that adoption of special anti-discrimination acts on a regional level creates better opportunity to combat discrimination and inequality. From the one hand, such anti-discrimination instruments regulate specific issues related to the anti-discrimination more clearly and precisely, and from the other hand these documents foster more effective implementation of anti-discrimination standards in practice. Therefore, adoption of specific regional anti-discrimination acts may be considered suitable, but they are required to be formulated properly, obviously in a balanced manner as to avoid incompatibility with common human rights context applicable on a global level.

## ნინო გერიშვილი

### არგაპევების პრინციპის ექსტრატერიტორიული გამოყენება – საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების შედარება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალის

#### 1. შესავალი

ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ეპიკაში ერთ-ერთი მოწინავე დარგია. მისი განვითარება ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო, როდესაც პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, დღის წერიგში მწვავედ დადგა რუსი ლტოლვილების საკითხი.<sup>1</sup> თავიდან ამ საკითხისადმი *ad hoc* მიდგომა არსებობდა,<sup>2</sup> თუმცა 1951 წლის შემუშავდა კონვენცია „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (შემდეგში – 1951 წლის კონვენცია), რომელმაც ჩამოაყალიბა ლტოლვილის ცნების ზოგადი განმარტება,<sup>3</sup> ხოლო 1967 წლის ოქმა „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ (შემდეგში – 1967 წლის ოქმი) მოხსნა განმარტების დროითი და სივრცითი შეზღუდვებიდა კონვენციის მოქმედება გაავრცელა ყველაზე, ვინც აკმაყოფილებდა ან სამომავლოდ დააკმაყოფილებდა მის კრიტერიუმებს.<sup>4</sup> ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც 1951 წლის კონვენციამ სავალდებულო გახადა ყველასთვის, არის არგაძევების პრინციპი.<sup>5</sup> არგაძევების პრინციპი წარმოადგენს ლტოლვილის დაცვის საკმაოდ ეფექტურან და მნიშვნელოვან საშუალებას. მისი მიზანია დაიცვას პირი იმ სახელმწიფოში დაბრუნებისგან, სადაც მის სიცოცხლესა და თავისუფლებას შეიძლება საფრთხე დაემუქროს რასის, რელიგიის, ეროვნების, განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფის კუთვნილებისა ან პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე.<sup>6</sup> თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა წარმოიშობა პრობლემები არგაძევების პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, საინტერესოა, როგორ უნდა გავრცელდეს 1951 წლის კონვენციის რეჟიმი იმ პირებზე, ვინც არ იმყოფება უშუალოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არის ღია ზღვაში? რა ფარგლებში

ეკისრება სახელმწიფოს 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება? სამწუხაროდ, ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკა არაერთგვაროვანია; ასევე, განსხვავებულია მეცნიერთა მოსაზრებებიც. სწორად აღნიშნული არაერთგვაროვნება იქნება განხილული წინამდებარე სტატიაში.

ნაშრომის შესავალში მოკლედაა განხილული არგაძევების პრინციპის ექსტრატერიტორიული გამოყენების კვლევის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებულიპრობლემატური საკითხები. მეორე თავი მიმოიხილავს არგაძევების პრინციპის ისტორიული განვითარებისა და ჩამოყალიბების ეტაპებს და თანამედროვე ინტერპრეტირების ფორმატში იკვლევს არგაძევების ვალდებულების არსებობის შესაძლებლობას სახელმწიფო იურისდიქციის ქვეშ მცურავი ხომალდების მიმართ. შესაბამისად, მესამე თავი ეხება იმ საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმებს, რომელებიც ზღვაში პირთა გადარჩენას არეგულირებს, თუმცა, ამასთანავე, არის საკითხების მთელი რიგი, რაც საზღვაო სამართლის კონვენციების რეგულირების მიღმაა დარჩენილი. სწორედ ამ კუთხით არის საინტერესო სტატიის მეოთხე თავი, სადაც წარმოდგენილია არგაძევების პრინციპის ექსტრატერიტორიული გამოყენება 1951 წლის კონვენციასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებს შორის მჭიდრო კავშირის ფონზე. სტატიის მეხუთე თავში შეჯამებულია ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები და განმტკიცებულია არგაძევების პრინციპის ექსტრატერიტორიული მოქმედების მნიშვნელობა საერთაშორისო რეგულირების ფორმატში, საერთაშორისო საზღვაო სამართლისა და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის მიდგომების კომპლექსურად განხილვის ფონზე.

## 2. არგაძევების პრინციპის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

საზღვაო და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის დებულებების შედარებისას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს არგაძევების პრინციპის ფორმირებისა და მისი გამოყენების წინაპირობებს. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში ასახულმა ნორმამ განვითარების დიდი გზა გაიარა.

არგაძევების პრინციპის პირველი ჩანასახი ერთა ლიგის 1928 წლის შეთანხმებაში გვხვდება, რომელიც რეკომენდაციას აძლევდა და სახელმწიფოებს, ტერიტორიიდან არ გაექცევებინათ რუსი და სომეხი ლტოლვილები, თუ ამ უკანასკნელთ არ ჰქონდათ სხვა ქვეყანაში შესვლის შესაძლებლობა. თუმცა გამონაკლისი შემთხვევა იყო, თუ რუსი და სომეხი ლტოლვილები ქვეყანაში შევიდოდნენ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის განზრას დარღვევით.<sup>7</sup> მოგვიანებით შემუშავდა 1933 წლის კონვენცია „ლტოლვილთა საერთაშორისო სტატუსის შესახებ“, რომელიც პირველი სავალდებულო მრავალმხრივი ხელშეკრულება იყო ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალში და რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არგაძევების პრინციპის განვითარებაში. კერძოდ, კონვენციამ დაადგინა, რომ დაუშვებელი იყო საპოლიციო ღონისძიებების (როგორიცაა, გაძევება და საზღვარზე არდაშვება) გამოყენება იმ ლტოლვილების მიმართ, რომლებსაც ჰქონდათ ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი საფრთხეს უქმნიდნენ საზოგადოებრივ წესრიგსა და ეროვნულ უსაფრთხოებას. ამასთან, კონვენციამ ყველა შემთხვევაში აკრძალა ლტოლვილის ნარმოშობის ქვეყნის საზღვრიდან გაბრუნება და განსაზღვრა, რომ, თუ პირი საფრთხეს შეუქმნიდა ეროვნულ უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ წესრიგს, სახელმწიფოს მაინც ჰქონდა უფლება, გაძევებინა ის, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ამ პირს შესაძლებლობა, გადასულიყო სხვა სახელმწიფოში.<sup>8</sup> ნიმანდობლივია, რომ კონვენცია ეხებოდა მხოლოდ რუს და სომეხ ლტოლვილებს და სხვა ასიმილირებულ ჯგუფებს.<sup>9</sup> არგაძევების პრინციპის შემდგომი განვითარების გზაზე მნიშ-

ნელოვანია ასევე 1938 წლის კონვენცია, რომელიც ანალოგიურ წესს ადგენდა გერმანიდან წამოსულ ლტოლვილებთან მიმართებით, მაგრამ იმ მნიშვნელოვანი განსხვავებით, რომ ლტოლვილებს აძლევდა გონივრულ ვადასტერიტორიის დასატოვებლად.<sup>10</sup>

აღსანიშნავია, რომ, ყველა ზემოხსენებული დოკუმენტი ეხებოდა მხოლოდ ლტოლვილთა გარკვეულ ჯგუფებს და მეტნაკლებად უზრუნველყოფდა მათი უფლებების დაცვას. მათგან განსხვავებით, 1951 წლის კონვენციაგანიხილავს არგაძევების პრინციპის ლტოლვილის ზოგად განმარტებასთან მიმართებითდა ადგენს გარანტიას, რომ ნებისმიერი ლტოლვილი იქნება დაცული მისი სიცოცხლისა და თავისუფლების ხელყოფის საფრთხისაგან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებული გარანტიები და არგაძევების ვალდებულება ეკისრებათ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რაც გულისხმობს სახელმწიფო ნებისმიერ ორგანოს ან პირს, რომელიც ოფიციალური უფლებამოსილებითა აღჭურვილი.<sup>11</sup> გარდა ამისა, ასეთი ვალდებულება შეიძლება დაეკისროს კერძო საპარტო ან საზღვაო ტრანსპორტსაც, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფოს იურისდიქცია.<sup>12</sup> სწორედ ამ საკითხზე გამახვილდება ყურადღება მომდევნო თავში.

## 3. საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმები ზღვაზე გადარჩენასთან დაკავშირებით

ღია ზღვაში გასაჭირში მყოფი პირის გადარჩენა ის ვალდებულებაა, რასაც საერთაშორისო სამართალი აკისრებს საზღვაო ხომალდებს დროშის სახელმწიფოს მეშვეობით. ლოგიკურია, რომ ასეთი პირის გადარჩენის შემდეგ, სახელმწიფომ როგორმე უნდა უზრუნველყოს პირის მშვიდობიანად მიყვანა ხმელეთამდე. ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის კუთხით, ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც განსაზღვრული უნდა იყოს ასეთ შემთხვევებში სანაპირო პორტის სახელმწიფოს ვალდებულებები.

საერთაშორისო საზღვაო სამართალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „საზღვაო სამართლის შესახებ“ გაეროს კონვენცია (შემდეგში – 1982 წლის

კონვენცია). როცა საქმე ეხება ზღვაშიპირთა გადარჩენას, სახელმწიფოთა იურისდიქციას საზღვაო ხომალდებზე, საიმიგრაციო წესებს საზღვაო სივრცეში – ლოგიკური იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ეს საკითხი 1982 წლის კონვენციის რეგულირების სფეროში ექცევა, თუმცა კონვენცია არ მოქმედებს სამართლებრივ ვაკუუმში და აქედან გამომდინარე ამ საკითხების გადაწყვეტისას აუცილებელია სხვა ნორმების გათვალისწინებაც.<sup>13</sup> სწორედ ამიტომ წინამდებარე თავში განხილული იქნება სხვა კონვენციებიც საერთაშორისო საზღვაო სამართლის სფეროდან, კერძოდ: „საზღვაო ქებისა და გადარჩენის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია (შემდგომში – 1979 წლის კონვენცია) და „ზღვაზე სიცოცხლის დაცვის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია (შემდგომში – 1974 წლის კონვენცია). მოკლედ მიმოვიხილოთ დასახელებული კონვენციები:

### **ა. 1982 წლის კონვენცია**

1982 წლის კონვენციისთან მიმართებით ნიშანდობლივია 98-ე მუხლი, რომლის თანახმად:

- „1. თითოეულმა სახელმწიფომ უნდა დაავალდებულოს მისი დროშით მცურავი გემის კაპიტანი, რომ მისი შესაძლებლობების ფარვლებში გემისთვის, ეკიპაჟისთვის და მგზავრებისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე:
  - ა) აღმოუჩინოს დახმარება ზღვაში ნაპოვნ პირს, რომელსაც ემუქრება დაღუპვა;
  - ბ) შესაძლებელი სიჩქარით იაროს განსაცდელში მყოფი პირების გადასარჩენად, თუ მას შეატყობინეს, რომ ისინი საჭიროებენ დახმარებას იმდენად, რამდენადაც, მისი მხრიდან მოსალოდნელი და შესაძლებელია დახმარების აღმოჩენა;
  - გ) ეჯახების შემდევ დახმარება გაუნიოს სხვა გემს, მის ეკიპაჟს და მგზავრებს და, თუ შესაძლებელია, შეატყობინოს ამ გემს თავისი გემის სახელი, რევისტრაციის პორტი და უახლოესი პორტი, რომელშიც იგი აპირებს შესვლას.
2. თითოეულმა სანაპირო სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი და ეფექტური სამძებრო და სამაშველო სამ-

სახურის შექმნა, ფუნქციონირება და შენახვა, რომელიც ეხება ლია ზღვაში უსაფრთხოებას და, თუ გარემოებები მოითხოვენ, ორმხრივი და რეგიონული შეთანხმებების მეშვეობით ითანამშრომლობ მეზობელ სახელმწიფოებთან ამ მიზნით.“

სახელმწიფოთა ამ ვალდებულებას ფაქტობრივად აღასრულებენ მათი დროშის ქვეშ მცურავი კერძო ხომალდები, თუმცა ეს არ არის თვითშემსრულებელი ნორმა. დროშის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც პირდაპირ ვალდებულებას დაკისრებს კერძო საზღვაო ხომალდის კაპიტანს.<sup>14</sup> თუმცა გადარჩენის ვალდებულების იმპლემენტაცია შიდა სამართალში არც ისე ეფექტიანად ხდება. რთულია ყველა კერძო ხომალდის კონტროლი და, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მორალური საფუძველი დახმარების აღმოჩენისთვის, ხშირად, კომერციული მიზნებიდან გამომდინარე, ხომალდები უარს ამბობენ ამ ვალდებულების შესრულებაზე.<sup>15</sup>

სამწუხაროდ, 1982 წლის კონვენცია არ აწესებს სხვაგვარ ვალდებულებებს, მასში არაფერია ნათევამი გადარჩენილი მგზავრების შემდგომ პედზე. კონვენცია ასევე არ განმარტავს, თუ ზუსტად როდის ითვლება გადარჩენის/დახმარების ოპერაცია დასრულებულად. შესაბამისად, ამ კითხვებზე პასუხი სხვა საერთაშორისო დოკუმენტებში უნდა ვეძებოთ, რომელიც ლუხსპეციალის ნორმებს წარმოადგენენ ზღვაში გადარჩენასთან დაკავშირებით. ამ კუთხით, საინტერესოა 1979 წლისა და 1974 წლების კონვენციები.

### **ბ. 1979 წლის კონვენცია**

1979 წლის კონვენცია განსაზღვრავს გადარჩენის ოპერაციის ცნებას. იგი მოიცავს დებულებებს განსაცდელში მყოფ პირთა ძებნის, მათთვის პირველადი სამედიცინო და სხვა აუცილებელი დახმარების აღმოჩენის და უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის შესახებ.<sup>16</sup> როგორც წესი, ასეთი ადგილი უახლოესი პორტია. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა ყოველთვის არ გულისხმობს პირის ნაპირზე გადასმის ვალდებულებას. შესაძ

ლებელია, უსაფრთხო ადგილის როლი თავად საზღვაო ხომალდმაც შეასრულოს.<sup>17</sup> მაშინაც კი, როცა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა პირის უახლოეს პორტში ჩამოსმას გულისხმობს, ხომალდის ამ ქმედებას აზრი ეკარგება, თუ სანაპირო სახელმწიფო (რომლის პორტშიც მიჰყავთ პირი) არ აიღებს ვალდებულებას, მიიღოს განსაცდელში მყოფი და შესაბამისი დახმარება გაუწიოს მას. მაგრამ 1979 წლის კონვენცია ამასთან დაკავშირებით არაფერს ამბობს და ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან: ა) სანაპირო სახელმწიფოსთვის ვალდებულების დაწესება აშკარად სცდება კონვენციის რეგულაციის სფეროს და უხეშად იქრება სახელმწიფოს სუვერენიტეტში; ბ) უსაფრთხო ადგილზე გადაყვანა კონვენციაში ნახსენებია ტერმინთა განმარტებისას, ხოლო პირდაპირი ვალდებულების სახით გათვალისწინებულია მხოლოდ ის, რომ დახმარება უნდა აღმოუჩინონ ყველა პირს დისკრიმინაციის გარეშე, მიუხედავად მათი სტატუსისა და მდგომარეობისა.<sup>18</sup> ამ ფონზე, ერთგვარი გამოსავალია დებულებათაინტერპრეტაცია კონვენციის მიზნიდან გამომდინარე.

### გ. 1974 წლის კონვენცია

1979 წლის კონვენციის მსგავსად, 1974 წლის კონვენციაცირდაპირ არ აწესებს პირის ნაპირზე გადასმის ვალდებულებას. იგი ადგენს, რომ შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე ხომალდის კაპიტანი ვალდებულია, სრული სიჩქარით გაემართოს პირის-დასახმარებლად და, თუ შესაძლებელია, შეატყობინოს შექმნილი ვითარება შესაბამის სამსახურს.<sup>19</sup> გარდა ამისა, კონვენციის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ შესაბამისი სამძებრო-სამაშველო ღონისძიებების წარმოება ნაპირიდან და იქონიონ ასეთი ღონისძიებებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი მოწყობილობა.<sup>20</sup>

ამრიგად, წინამდებარე თავში წარმოდგენილი ანალიზის შედეგად, იკვეთება შემდეგი მიდგომები: საზღვაო სამართლის დოკუმენტები აწესებენ დაუყოვნებელი დახმარების აღმოჩენის ვალდებულებას, თუმცა არცერთი ზემოხსენებული კონვენცია არ ადგენს, თუ რა ბედი ეწევა პირს გადარჩენის შემდეგ. ამ კონვენციების ამოსავალი წერტილია პირის უსაფრთხოება ზღვაში და უსაფრთხო ნაოსნობა, და არა პირის თავშე-

საფრით უზრუნველყოფა. ერთი მხრივ, საზღვაოსამართლებრივი ვალდებულება შემოიფარგლება დახმარებს აღმოჩენით, რადგან კერძო საზღვაო ხომალდი ვერ განახორციელებს იმ ფუნქციებს, რისი განხორციელებაც ოფიციალურ სტრუქტურებს შეუძლიათ. მაგრამ, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ ხომალდი ვალდებულია, არ მიატოვოს პირი გასაჭირები. თუმცა როგორი იქნება მისი შემდგომი ბედი, ამას ხშირად სანაპირო სახელმწიფო წყვეტს და ამაზე პასუხი სხვა დოკუმენტებში უნდა ვეძებოთ.

## 4. საერთაშორისო სამართალში არსებული მიღებობებისა რამების პრიციპთან დაკავშირებით

სახელმწიფოთა პრაქტიკა, ზოგადად, 1951 წლის კონვენციასთან მიმართებით საკმაოდ არაერთგვაროვანია გამომდინარე იქიდან, რომ კონვენციასთან დაკავშირებული დავების განხილვა ძირითადად ეროვნულ სასამართლოებში ხდება. დროთა განმავლობაში 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლთან დკავშირებით ძირითადად 3 მიღებომა ჩამოყალიბდა: 1. სახელმწიფოთა ერთი ნაწილი 33-ე მუხლს ავრცელებს მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე; 2. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფისთვის საკმარისია პირი ფიზიკურად იმყოფებოდეს მათ ტერიტორიაზე; 3. მესამე ჯგუფის შეხედულებით, 33-ე მუხლის უნდა გავრცელდეს ლტოლვილზე, რომელმაც დატოვა წარმოშობის ქვეყნის ტერიტორია და არ აქვს მნიშვნელობა, თუ სად იმყოფება ის მოცემულ მომენტში.<sup>21</sup> განვიხილოთ თითოეული შემთხვევა.

პირველ შემთხვევაში 33-ე მუხლის მოქმედების სფერო საკმაოდ შეზღუდულია და ეჭვეჭვეშ დგება, ასეთი მიდგომით რამდენად ეფექტურად მოხდება თავშესაფრის მაძიებლის უფლებების დაცვა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლტოლვილები წარმოადგენენ მოწყვლად ჯგუფს, ვერ სარგებლობენ მოქალაქეობის ქვეყნის დაცვით და ხშირია შემთხვევები, როცა გამოუვალი მდგომარეობის გამო საზღვრის გადაკვეთა ხდება კანონის დარღვევით, მაშინ ნათელი გახდება, რომ ასეთი მიდგომით შესაძლოა ბევრი ადამიანი აღმოჩინდეს კონვენციის რეგულირების მიღმა.

მეორე შემთხვევაში სახელმწიფოები უფრო ფართოდ განმარტავენ 33-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებას. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა გაცილებით რეალისტურია, ვინაიდან საკუთარ ტერიტორიაზე სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან კონტროლს; შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, დაიცვას მის ტერიტორიაზე მყოფი პირის ინტერესები. საქმეზე *Salevs Haitian Centers Council, Inc.* ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ს არ ეკისრება 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რადგან ამ მუხლის მე-2 პუნქტის ითვალისწინებს, რომ პირი საფრთხეს უნდა წარმოადგენდეს იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ის იმყოფება. შესაბამისად, სასამართლოს აზრით, თუ ეს დებულება ვრცელდება მხოლოდ იმ ლტოლვილებზე, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან, მაშინ 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილიც ვრცელდება მხოლოდ პირთა ამ კატეგორიაზე.<sup>22</sup>

მესამე მიღებომას ძირითადად იზიარებენ აფრიკული ქვეყნები.<sup>23</sup> მართალია, 1951 წლის კონვენცია დუმს მისი ექსტრატერიტორიული გამოყენების შესახებ, თუმცა იგი არც რაიმე პირდაპირ შეზღუდვას შეიცავს, მით უფრო მას შემდეგ, რაც 1967 წლის ოქმი შევიდა ძალაში. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ 33-ე მუხლის მოქმედება ვრცელდება ნებისმიერ ადგილას, სადაც კონვენციის წევრი სახელმწიფო ახორციელებს იურისდიკციას. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ის ფაქტიც, რომ კონკრეტულ უფლებებთან მიმართებით კონვენცია შეიცავს დათქმას, რომ ამ უფლებებით სარგებლობისას პირები უნდა იმყოფებოდნენ ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო 33-ე მუხლს ასეთი დათქმა არ აქვთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა შევეხოთ არგაძევების პრინციპის ექსტრატერიტორიული გამოყენების შესახებ გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (შემდეგში – გლუკი) რეკომენდაციას. გლუკის პიზიციაა, რომ 33-ე მუხლის პირველი ნაწილი ტერიტორიულ შეზღუდვას ადგენს მხოლოდ იმასთან დაკავშირებით, თუ სად არ შეიძლება გააძევონ სახელმწიფოებმა პირი და არა იმასთან დაკავშირებით, თუ საიდან არ შეიძლება გაა-

ძევონ ის.<sup>24</sup> გლუკის განმარტებით, მუხლის ვიწრო განმარტებაშეუსაბამოა მთლიანად 1951 წლის კონვენციის ობიექტსა და მიზანთან.<sup>25</sup> გარდა ამისა, მართლმასჯულების საერთაშორისო სასამართლოს განმარტებით, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ 1966 წლის პაქტის მოქმედება არაა შეზღუდული სახელმწიფო ტერიტორიით და პაქტის მე-3 მუხლში ნაგულისხმები არგაძევების ვალდებულებაც ვრცელდება ყველგან, სადაც წევრი სახელმწიფო ახორციელებს იურისდიქციას. გლუკის თანახმად, იგივე მიღეომაა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციისთან მიმართებითაც.<sup>26</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1951 წლის კონვენციიაც შეიძლება ამ კონტექსტში განვიხილოთ, რადგან მას უშუალო კავშირი აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან.

5. ፭፻፬፩፩፩

როგორც ვხედავთ, არგაძევების პრინციპის ექსტრატერიტორიულ გამოყენებას-თან დაკავშირებით შეხედულებები არაერთ-გვაროვანია. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ სახელმწიფოთა ინტერესებში არ შედის ლტოლვილთა დიდი რაოდენობის მიღება, ხოლო, მეორე მხრივ, ეს დავა ნაწილია იმ დიდი დისკუსიისა, რომელიც, ზოგადად, სამართლის ნორმების ექსტრატერიტორიულ გამოყენებას ეხება.

საერთაშორისო საზღვაო სამართალი  
ვერ იძლევა აშკარა პასუხს, თუ რა ვალ-  
დებულებები ეკისრებათ ხომალდებს თავ-  
შესაფრის მაძიებლებთან მიმართებით, ან  
როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო იმ  
შემთხვევაში, როცა ასეთი პირები ღია ზღ-  
ვიდან შედიან მის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს  
ლოგიკურია, რადგან საერთაშორისო საზღ-  
ვაო სამართალი, მისი მოქმედების სფერო-  
დან გამომდინარე, ვერ დაარეგულირებს  
ყველა საკითხს და იგი კომპლექსურად უნდა  
განვიხილოთ საერთაშორისო სამართლის  
სხვა დარგებთან ერთად.

რაც შეეხება ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალს, ამ დარგის ქრილში საკითხის განხილვისას, სახელმწიფო რეგულირების ინტერესებთან ერთად, გასათვალისწინებელია კავშირი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალთან. ამასთან, გასათვალ-

ისწინებელია, რომ 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლში არაფერია ნათქვამი ტერიტორიულ შეზღუდვაზე და, გარდა ამისა, თავად კონვენციის ობიექტი და მიზანი იძლევა მისი დებულებების ფართოდ განმარტების შესაძლებლობას.

დასკვნის სახით აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლტოლვილები დაცვას საჭიროებენ ნებისმიერ შემთხვევაში, იქნება ეს ხმელეთსა

თუ ზღვაზე. შესაბამისად, მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიით საერთაშორისო დაცვის შემოფარგვლა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს იმ ღირებულებებს, მიზნებსა და მისწრაფებებს, რაც საფუძვლად დაედო ჰუმანიტარული მიდგომის განმტკიცებას არგაძევების პრინციპის სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში.

- 
- <sup>1</sup> SkranC.M., ‘*Historical Development of International Refugee Law*’, იხ.: Zimmermann A. (ed.) *The 1951 Convention Relating to the Status of Refugees and its 1967 Protocol – A Commentary*, 2011, Oxford University Press, გვ. 6.
- <sup>2</sup> Id., გვ. 6.
- <sup>3</sup> „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენცია, მუხლი 1.2, ხელმისაწვდომია: <http://mra.gov.ge/res/docs/2013111912582835062.pdf> (ნანახია 15.11.2015).
- <sup>4</sup> „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ 1967 წლის იქმი, მუხლი 1, ხელმისაწვდომია: <http://mra.gov.ge/res/docs/2013111913000035755.pdf> (ნანახია 15.11.2015).
- <sup>5</sup> 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად : „ციტატა“
- <sup>6</sup> „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ გაეროს 1951 წლის კონვენცია, მუხლი 33.1.
- <sup>7</sup> „რუსი და სომები ლტოლვილების სამართლებრივი სტატუსის შესახებ“ 1928 წლის შეთანხმებაპუნქტი 7, ხელმისაწვდომია: <http://www.refworld.org/docid/3dd8cde56.html> (ნანახია: 27.06.2015).
- <sup>8</sup> „ლტოლვილთა საერთაშორისო სტატუსის შესახებ“ 1933 წლის კონვენციამუხლი 3, ხელმისაწვდომია: <http://www.refworld.org/docid/3dd8cf374.html> (ნანახია 27.06.2015).
- <sup>9</sup> Id., მუხლი 1.
- <sup>10</sup> „გერმანიიდანწამოსულილტოლვილებისამართლებრივისტატუსის შესახებ“ 1938 წლის კონვენცია, მუხლი 5, ხელმისაწვდომია: <http://www.refworld.org/docid/3dd8d12a4.html> (ნანახია 27.06. 2015).
- <sup>11</sup> E. Lauterpacht and D. Bethlehem, “*The Scope and Content of the Principle of Non-refoulement*”, იხ.: Feller E., Türk V., and Nicholson F. (eds), *Refugee Protection in International Law: UNHCR’s Global Consultations on International Protection*, 2003, Cambridge: Cambridge University Press, გვ. 108.
- <sup>12</sup> Kalin W., Caroni M., Heim L., “*Article 33, para. 1 (Prohibition of Expulsion or Return ('Refoulement'))*”, იხ.: Zimmermann A. (ed.), *The 1951 Convention Relating to the Status of Refugees and its 1967 Protocol – A Commentary*, 2011, Oxford University Press, გვ. 1359.
- <sup>13</sup> Killian S. O’Brien, “*Refugees on the High Seas: International Law Solutions to a Law of the Sea Problem*”, იხ.: Goettingen Journal of International Law, Vol.3, №2, 2011 წელი, გვ. 718.
- <sup>14</sup> Id., გვ. 721.
- <sup>15</sup> Barnes R., “*Refugee Law at Sea*”, International and Comparative Law Quarterly, Vol. 47, 2004 წელი, გვ. 51.
- <sup>16</sup> თავი 1.3.2.
- <sup>17</sup> Killian S. O’Brien, “*Refugees on the High Seas: International Law Solutions to a Law of the Sea Problem*”, Goettingen Journal of International Law, Vol.3, №2, 2011 წელი, გვ. 722.

- <sup>18</sup> დანართი, თავი 2.1.10.
- <sup>19</sup> თავი V, მუხლი 10 (a).
- <sup>20</sup> თავი V, მუხლი 15 (a).
- <sup>21</sup> NewmarkR.L., "Non-RefoulementRunAfoul: The Questionable Legality of Extraterritorial Repatriation Programs", Washington University Law Quarterly, Vol. 71, 1993 წელი, გვ. 846.
- <sup>22</sup> Id., გვ. 855.
- <sup>23</sup> Id., გვ. 851.
- <sup>24</sup> UNHCR, Advisory Opinion on the Extraterritorial Application of Non-Refoulement Obligations under the 1951 Convention relating to the Status of Refugees and its 1967 Protocol, 2007 წელი, 26-ე პუნქტი.
- <sup>25</sup> Id., 29-ე პუნქტი.
- <sup>26</sup> Id., 37-39-ე პუნქტები.

**NINO BERISHVILI**

**Review:**

**EXTRA-TERRITORIAL APPLICATION OF THE PRINCIPLE OF  
NON-REFOULEMENT – COMPARING THE NORMS OF THE LAW OF  
THE SEA WITH INTERNATIONAL REFUGEE LAW**

The article analyses the significance of creating international regulation to address the needs of asylum seekers and refugees and within the framework of its development, highlights the adoption of the principle of non-refoulement as the cornerstone guaranteeing the protection of persons fleeing their countries where their life and freedom is threatened on the grounds of race, religion, nationality, membership of a particular social group or political opinion. In this regard, the article discusses the historic development of the principle within the international refugee law, starting from the 1928 non-binding Arrangement under the League of Nations and coming a long way to be reflected in Article 33 of the 1951 UN Convention.

On this background, the article raises the issues of interpretation and application of the principle of non-refoulement, when the asylum seeker is located on the high sea. Further on,

the article analyzes the various norms of the law of the sea (1982 UNCLOS, 1979 SAR and 1974 SOLAS) concerning the rescuing and rendering assistance to persons facing danger in the sea and the responsibilities of the state whose flag the ship flies. However, it is noteworthy that these conventions specifically regulate the issue of rescuing persons on the sea and none of them mention what happens to that person afterwards. Considering these challenges and the specifics of the issue raised herein, the article does not provide specific answers, but rather offers what are the approaches and solutions in terms of interpretation and extra-territorial application of the principle of non-refoulement in contemporary international law. Thus, the article contributes to further emphasizing and facilitating the discussion in this direction.

## ირინა აღაპიშვილი

### განვითარებადი (მზარდი) ეკონომიკის მქონე ქვეყნების ანალიზი: უცხოური ინვესტიციების დაცვის სტანდარტები

#### შესავალი

2008 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იმ კონცეფციებზე, რომლებმაც მსოფლიო და ადგილობრივი ეკონომიკური და ფინანსური წესრიგის სამართლებრივი ჩარჩო-ჩამოაყალიბეს. მან ასევე შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის წესრიგი. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული წესების განმსაზღვრები იყვნენ, კრიზის უმკლავდებოდნენ. საპირისპიროდ, განვითარებადიდა მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები შედარებით სწრაფად „აღორძინდნენ“ უკანასკნელი წლების განმავლობაში. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მათ შესაძლებლობა გაუჩნდათ „მისხდომოდნენ მაგიდას“, რომელზეც მსოფლიო ეკონომიკის საკითხები წყდება.<sup>1</sup> აღნიშნულმა საინტერესო გახადა სამართლებრივი თვალსაზრისით ცვლილებებისა და მისი მონაწილეების ანალიზი.

2008 წლამდე განსხვავება განვითარებად და მზარდი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების განმარტებებს შორის საერთოდ არ არსებობდა და როგორც ტომას ფრიდმანი აღნიშნავს სწორედ კრიზისმა „შეცვალა მსოფლიო, რომელშიც ამერიკელებისა და ევროპელების (თეთრი) ეკონომიკური ძალაუფლება, გამოიწვია არადასავლურმა (არა თეთრი) ქვეყნებმა, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი“.<sup>2</sup>

ამ სტატიისმიზნებისათვის ორივე ტერმინი გაიგიებულია და ნიშნავს სახელმწიფოს, რომელმაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გაატარა და შედეგად დაადგა სწრაფად მზარდ, დინამიური ეკონომიკის მქონე ქვეყნად ქცევის გზას რეგიონში და მსოფლიოშიც კი.<sup>3</sup> შედეგად ინვესტირება ასეთ ქვეყნებში ისეთი მიმზიდველი გახდა, რომ მაგალითად დიდ ბრიტანეთს 90-იან წლებში სტრატეგიების შემუშავებაც კი მოუხდა კორპორაციებში კაპიტალდაბანდების კლების ტენდენციის შემცირებისათვის.<sup>4</sup>

ზოგიერთმა მეცნიერმა ინვესტირების ეს ტენდენცია წინა საუკუნის ამერიკის ოქროს ციებ-ცხელებას შეადარა.<sup>5</sup>

განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიმართ არსებულიუდიდესი ინტერესის მიუხედავად, ფენომენის სამართლებრივი შესწავლა, ამ ქვეყნებშიც კი თითქმის არ მომხდარა. თეორიული საკითხების შესწავლის ნაკლებობა თავად ფრაზით „განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები“ მტკიცდება. კერძოდ, ეს არის სახელმწიფოთა ჯგუფის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც ანალიტიკური თვალსაზრისით ცარიელია და როგორც ჰენრი გრუნვალდი აღნიშნავდა უბრალოდ განვითარდა „ნომენკლატურაში ცვლილებისათვის“.<sup>6</sup> კერძოდ, ის მიუთითებდა, რომ მესამე სამყაროს აუცილებლად უნდა გადარქმეოდა სახელი, რადგან გაუგებრობას წარმოშობდა ასეთი ტერმინით არაფუნქციური აფრიკული ქვეყნებისა და განვითარებადი (მზარდი) ინდუსტრიების მქონე ამერიკული ქვეყნების მოხსენიება.<sup>7</sup>

საკითხის სამართლებრივი თვალსაზრისით განხილვის აუცილობლობაზე ისიც მიუთითებს, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე განვითარებადი სახელმწიფოები ათასზე მეტი ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებისხელმომწერებიგახდნენ. შედეგად, საერთაშორისო საინვესტიციო სამართალმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რასაც აღნიშნული ხელშეკრულებების განვითარების ისტორიულ ჭრილშიც განვიხილავთ. ასევე, მოხდება პრეცედენტების ანალიზი გადაწყვეტილებების მიგნებების განზოგადების მიზნით.

ამასთანავემნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისდაცვის სტანდარტებს, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ სტაბილური გარემო, როგორც ეს დასკვნის სახითაც იქნება წარმოდგენილი, განაპირობებს ინვესტიციების შემოდინების კონკურენტულ მაჩვენებელს.

და ბოლოს, მზარდი ეკონომიკის ქვეყნებთან მიმართებით განვითარებული სასა-

მართლო პრაქტიკის ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს ზუსტად დავინახოთ როგორ გავლენას ახდენს თავისუფალი ვაჭრობა და კაპიტალის გადაადგილების დემოკრატიზაცია ტრიბუნალების გადაწყვეტილებების კონტექსტური ანალიტიკით დატვირთვაზე, სხვაგვარად – სამართლებრივ დასაბუთებულობაზე.

## **1. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მნიშვნელობა განვითარებაზე ეკონომიკის მარნე ქვეყნებისათვის**

როგორც ნაშრომის შესავალში აღინიშნა, უკანასკნელი წლების განმავლობაში სულ უფროდაუფრო იზრდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შედინება განვითარებადი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში. 2010 წელს, ამ სახელმწიფოებში გაკეთებული ინვესტიციების ოდენობამ პირველად გადააჭარბა განვითარებული სახელმწიფოების მაჩვენებლებს<sup>8</sup> და დღემდე ნარჩუნდება. შესაბამისად, სულ უფრო ხშირად წერენ იმასთან დაკავშირებით თურა არის უცხოური ინვესტიციების მიღების მაკრო-ეკონომიკური მნიშვნელობა განვითარებადი ეკონომიკების მქონე ქვეყნებისათვის, თუკი საერთოდ არის. ნაწილი თვლის, რომ ეს ქვეყნის ადამიანური რესურსებია, პირველ რიგში – ინვესტორები მოხიბლულები არიან მომხმარებელთა დიდი ბაზრით. სხვები თვლიან, რომ დიდია ურთიერთმიმართება ინვესტიციების განხორციელებისამასპინძელი სახელმწიფოს ბაზართან, მათ შორის მშპ-ს მაჩვენებელთან.<sup>10</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, დიდი შესაძლებლობების ბაზარი მიმზიდველია ინვესტორისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ინტერესისდა განხილვის ხშირი საგანია, არსებული სამართლებრივი კვლევები, თავად ცნების საკითხის თეორიას არ აყალიბებს, რადგან ეს ფუნდამენტალური მეცნიერების ნაწილად არის მიჩნეული.<sup>11</sup>

არადა გარდა ეკონომიკური ფაქტორებისა, რეგულირებადი სამართლებრივი გარემო და საგადასახადო რეჟიმები, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტორისათვის გადაწყვეტილების მიღებისას. განვითარებად ქვეყნებს ხშირად აკრიტიკებენ კიდევაც იმის გამო, რომ ისინი განსაკუთრებული რეგულირების რეზიმებს აწესებენ ადგილობრივი კორპორაციების დაცვის მიზნით.<sup>12</sup>

მასპინძელი სახელმწიფოს სწორედ ეს უფლება გახდება მომდევნო თავის განხილვის ძირითადი მიზანი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზოგადი მოსაზრებისა, რომ უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების განვითარებას, თეოდორ მორანი თავის წიგნში – „ხელს უწყობს კი უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განვითარებას?“<sup>13</sup> – ამტკიცებს, რომ ზოგადი დასკვნების გამოტანა შეუძლებელია, გამომდინარე იმ განსხვავებებისა, რაც მასპინძელ სახელმწიფოებში არსებობს.<sup>14</sup>

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ამ სტატიის მიზანია დაადგინოს, რომ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები არის სამოქალაქო საზოგადოების ფორმა, რომელშიც კომერციული დაწესებულებები პირადი კავშირების ნაცვლად ოფიციალურ (ფორმალურ) ურთიერთობებზე აკეთებენ ფოკუსს. შესაბამისად, ნორმალური ურთიერთობები საშუალებას იძლევა დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები ამ კონკრეტული საზოგადოების გარეთ არსებულ ერთეულებთან.<sup>15</sup> მეტიც, დღეს განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები აქტიურად ცდილობენ არა მარტო მოიზიდონ, არამედ დაცვის მაქსიმალურად მაღალი სტანდარტები შესთავაზონ უცხოელ ინვესტორებს.<sup>16</sup>

## **2. ურთიერთმიმართება ინვესტიციების დაცვასა და ინვესტიციების ნახალისე- ბას შორის განვითარებადი ეკონომიკის მარნე ქვეყნების გამოხვავაში**

ინვესტიციების დაცვის ზოგიერთი სტანდარტი, მაგალითად ეროვნულობის და უპირატესი მოპყრობის, შედარებითია. ისინი დამოკიდებულია მასპინძელი ქვეყნის მიერ თავისი მოქალაქეებისათვის ან მესამე სახელმწიფოების ინვესტორებისათვის მინიჭებულ სტანდარტებზე. საპირისპიროდ, სამართლიანი და თანასწორი მოპყრობისა და სრული დაცვისა დაუსაფრთხოების მსგავსი სტანდარტები, ნინასწარ ზუსტადა განსაზღვრული. ისმის კითხვა, რამდენად იგივეა ეს ნინასწარ განსაზღვრული სტანდარტები სახელმწიფოებისათვის მიუხედავად მათი განვითარებისა და ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური გარემოებებისა, ინვესტიციის განხორციელების დროს.<sup>17</sup>

შესაბამისად, მასპინძელი სახელმწიფოს ცდა დაარეგულიროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ხასიათდება არაერთგვაროვანი ეფექტით და მართალია შეიძლება დაიცვას სახელმწიფოს გარკვეული ინტერესები, ამავე დროს წევატიური ეფექტის მქონე შეიძლება იყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისათვის ზოგადად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შერჩევითი პოლიტიკა, შეეხება მხოლოდ ინვესტიციების დაშვებასა თუ ხელშეწყობას – და არა დაცვას. გამომდინარე იქიდან, რომ დაცვისათვის აუცილებელია ინვესტიციის არსებობა, მას შეუძლია გარკვეული როლი ითამაშოს მხოლოდ „არასასურველი“ ინვესტიციების გადარჩევისა და დაშვების შედეგ. შესაბამისად, სამართლებრივი (კანონიერი) დაცვის საკითხი წარმოიშვება მხოლოდ „სასურველ“ ინვესტიციებთან დაკავშირებით და მასპინძელი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეა მათი რაც შეიძლება დაბალი ეკონომიკური დანახარჯებით მოზიდვა.

ინვესტიციის ეკონომიკური ღირებულება უპირველეს ყოვლისა მოიცავს კაპიტალს, რომელსაც მოგების სახე აქვს და მასპინძელ სახელმწიფოებს სწორედ ამის შემცირების სურვილი აქვთ ხოლმე. შესაბამისად, ინვესტიციების იმპორტიორ ქვეყნებს „ბი-პოლარული“ ბრძოლა უნდებათ, სადაც ერთის მხრივ კორპორაციები საკმარისად მოტივირებულები არიან, რომ ინვესტირება მოახდინონ და მეორეს მხრივ, კმაყოფილები ძალიან ზომიერი მოგების ოდენობით.<sup>18</sup> ამასთანავე, არაა დეკვატური დაცვა ოპტიმალურ ზღვართან წინააღმდეგობაში მოდის. გამომდინარე იქიდან, რომ ინვესტორები სწორედ რისკების ანალიზის საფუძველზე აკეთებენ ხშირად ინვესტირებას, მათი გაზრდა სწორედ შემოსავლების ზრდით უნდა ბალანსდებოდეს. ლოგიკურად, რისკების შემცირება მოგების შემცირების შესაძლებლობასაც იძლევა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი სახელმწიფო საშუალოზე დაბალი დაცვის გარანტიებს იძლევა, სასურველი ინვესტიციების მოძიების ერთადერთი საშუალებაა მაღალი და დამატებითი მოგების მიღების პირობები.

რისკების შეფასება, ისეთებისაც კი როგორიც პოლიტიკურია, და არაერთი კომპანიის ძვირადლირებულ მომსახურებას წარმოადგენს, არაფერია სხვა თუ არა „საუკეთესო

ვარაუდი“.<sup>19</sup> რისკების არსებობა თითქმის სრულიად გამორიცხავს მცირე და საშუალო ზომის კომპანიების ინვესტირებას სახელმწიფოში და გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ ასეთი კომპანიები არიან განვითარებადი სახელმწიფოებით დაინტერებულები, თავად სახელმწიფოების ინტერესებშია სანდო ინვესტიციების დაცვის სისტემის ჩამოყალიბება სახელმწიფოში. მხოლოდ ეს აძლევთ მათ საშუალებას მონაწილეობა მიიღონ მსოფლიო საინვესტიციო ბაზრის ბრუნვაში იგივე ფასად რაც განვითარებული ქვეყნები.

რიგი საარბიტრაჟო ტრიბუნალებისა გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვევის ხარისხსა ან კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას, უკანასკნელ პერიოდში, სულ უფრო ხშირად ითვალისწინებენ ქვეყნების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. თუმცა არც დაცვის სტანდარტების შესახებ ისტორიული კვლევები და არც მათი მიზნების ანალიზი თანამედროვე საინვესტიციო ხელშეკრულებაში, იძლევიან განმარტებებს უნდა გაითვალისწინონ თუ არა ტრიბუნალებმა დავის განხილვისას და შესაბამისად გადაწყვეტილების გამოტანისას, ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური განვითარების დონე და მდგომარეობა, თუნდაც კომპენსაციის დაკისრების ნაწილთან დაკავშირებით.

შედეგად, ტრიბუნალებს სისტემურად არ განუხილავთ ეს საკითხი ხელშეკრულების შესრულების შემოწმებისას. მხოლოდ რამდენიმე ტრიბუნალმა გაითვალისწინა განვითარების დონე საინვესტიციო ხელშეკრულებაში მოცემულ დაცვის სტანდარტებზე საუბრისას. ამასთან, მხოლოდ სრული დაცვისა და უსაფრთხოების ასევე სამართლიანი და თანასწორი მოპყრობის სტანდარტები იყო განხილული. ასეთი გარემოებების გათვალისწინებამ თავის დროზე გავლენა იქონია გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ექსპროპრიაციის საკითხს შეეხებოდა. ტრიბუნალებმა ეს ფაქტორები ორ განსხვავებულ კონტექსტში განიხილეს. ერთი კატეგორია განიხილავდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებს პასუხისმგებლობის დაკისრებისას.<sup>20</sup> ამ გადაწყვეტილებებში ხელშეკრულების დარღვევის არსებობის ფაქტის დადგენა დამოკიდებული იყო, *inter alia*, ცალკეულ სახელმწიფოში ამ მხრივ არსებულ სხვადასხვა გარე-

მოებებზე. სხვა შემთხვევებში ტრიბუნალებმა ეს გარემოები მხედველობაში მიიღეს, როდესაც კომპენსაციის ოფენობის განსაზღვრაზე მსჯელობდნენ ხელშეკრულების ამათუიმ დაცვის სტანდარტის დარღვევისათვის.<sup>21</sup>

### **3. ეკონომიკური და კოლიტიკური მდგრადი გავლენა სახელმწიფო კასუსის მიზანების საკითხზე**

სამი განსხვავებული მდგომარეობა შეიძლება გამოიკვეთოს, როდესაც ტრიბუნალებმა გაითვალისწინეს წინა თავში განხილული ფაქტორები. ერთი კატეგორია შეეხება განვითარებად პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებს, მეორე შეეხება სახელმწიფოებს რომლებმაც გადაიტანეს პოლიტიკური და ფინანსური კრიზისები. მესამე კატეგორია შეეხება მასპინძელ სახელმწიფოებს, რომლებიც მიმდინარე პოლიტიკური სირთულეების წინაშე დგანან.

#### **3.1. პოსტ-კომუნისტური ქვეყნები**

იმ სახელმწიფოებზე საუბრისას, რომლებიც კომუნისტურიდან საბაზო ეკონომიკაზე ორიენტირებულებად გადაიქცნენ, ზოგიერთმა ტრიბუნალმა „განვითარება“ მხედველობაში მიიღო თავისი ზოგადი შენიშვნების სახით, ზოგიერთმა კი მსჯელობის ნაწილად.

from the state and investor by initiating arbitration procedures accepts the offer.<sup>51</sup> This right needs to be assessed comprehensively, as for the comparison even within the frames of the World Trade Organization only state can commence legal action against another state.<sup>52</sup>

Almost every agreement offers investor to initiate legal proceedings either within the local courts of the host state or international arbitration. Due to the fact that the investors are doubtful about the impartiality of the local courts they choose the latter. The next chapter briefly addresses the results of this process.

#### ***4.2. Impact of the Arbitration Procedures on the Developing Countries***

As they represent global capital importing countries, emerging economies, have to defend themselves frequently in arbitration. By the data from 2005 of the UN Trade and Development conference, two thirds of the disputes are against the developing countries.<sup>53</sup> By 2012 the indicator was even higher.<sup>54</sup> In this process their position is exclusively defensive – there are only about 15 cases when companies from developing countries filed the lawsuit.<sup>55</sup>

Investors' lawsuits and the respective tribunal awards, have significant impact on the freedom of the emerging economies to regulate the market based on their public interests. Challenged treatment refers to the state regulations on the sensitive issues, such as water, electricity, waste management and sanitary conditions. More precisely, in number of cases investor claimed that the treatment he received was different from the treatment offered to the local investors. In other cases for instance the issue was the rights for the operation of the waste management factory,<sup>56</sup> decision about the amount of the taxes<sup>57</sup> and the denial on the permission of factory construction near the protected territories.<sup>58</sup>

All of these makes it obvious that although it's crucial from the legal standpoint the dispute to be settled between state and the investor, the analysis of the procedures that follow are not less important, especially when it comes to the developing countries as the accurate evaluation will enable us to forecast further.

## CONCLUSION

The interim findings have already been made, although several important aspects should be highlighted in order to form the overall conclusion. Particularly, it must be noted that the legal analysis of developing countries is becoming increasingly interesting considering their flexibility and most importantly, change-oriented nature. The second circumstance, namely characteristics of legal system in such states is directly connected with the above-mentioned aspect – standards of protection proposed by the developing states in order to encourage the investment flow. Lastly, the accompanying processes of the guarantees offered – arbitration procedures initiated based on bilateral investment treaties.

Despite their enormous diversity in cultures, political systems and ideologies, the countries with developing economies share a common declared national goal: "development".<sup>59</sup> Their drive to achieve development over the

last five decades has influenced broad areas of national life, including their laws and legal institutions.<sup>60</sup>

The definition of "development" has shifted and evolved over time and was perceived in two different ways: development as the combination of the objectives and development as the process by which these objectives are to be achieved.<sup>61</sup>

Identification of the term without any legal analysis resulted in very small changes of international law over the past half century, as it occurred in case of investors and foreign countries in which the investments have been made.

On the one hand, the above mentioned created a positive environment in which, besides the requirements based on the private legal relations, the investor may have claims based on international law.<sup>62</sup> On the other hand, it puts at the risk a coherence of the practice and standards of protection of foreign investments – the cornerstone of international investment relations.

- 
- <sup>1</sup> Carrasco, E. (2010) *An Opening for Voice in the Global Economic Order: The Global Financial Crisis and Emerging Economies*, 12 Or. Rev. Int'l L., p. 180
  - <sup>2</sup> Friedman F. (2005) *The World is Flat: A Brief History of the Twenty-first century*, p. 13
  - <sup>3</sup> Li, C. (2010) *What Are Emerging Markets?*. In: E-book on International Finance & Development (Enrique Carrasco ed.), available: [http://www.uiowa.edu/ifde-book/faq/faqdocs/emerging\\_markets.shtml](http://www.uiowa.edu/ifde-book/faq/faqdocs/emerging_markets.shtml)
  - <sup>4</sup> Smith, D. (1996) *The Equity Squeeze*, MGMT. TODAY, Aug., p. 36
  - <sup>5</sup> Millward, T. (1996) *To Be Pacific*, MGMT. TODAY, June, p. 84. See also, Arnst, C, (1995) *The Last Frontier*, BUS. WK., Sept. 18, p. 98
  - <sup>6</sup> Grunwald, H. A. (1993) *The Post-Cold War Press: A New World Needs a New Journalism*, Foreign AFt., p. 12
  - <sup>7</sup> *Ibid*, p. 14
  - <sup>8</sup> Kudina, A. and Pitelis, C. (2014) *De-Industrialisation, Comparative Economic Performance And FDI Inflows In Emerging Economies*, International Business Review, p. 1
  - <sup>9</sup> Chua, A. L. (1997) *Foreign Investment Cycles in Emerging Economies*, 91 Am. Soc'y Int'l L. Proc., p. 500
  - <sup>10</sup> Groh, A. P. and Wich M. (2012) *Emerging Economies' Attraction Of Foreign Direct Investment*, Emerging Markets Review 13, pp. 210–229
  - <sup>11</sup> Hempel, C. (1952) *Fundamentals of Concept Formation in Empirical Science 1*, International Encyclopedia of Unified Science, vol. II, no. 7
  - <sup>12</sup> Kinda T. (2010) *Investment Climate and FDI in Developing Countries: Firm-Level Evidence*, World Development Vol. 38, No. 4, pp. 498–513
  - <sup>13</sup> Moran, T. H. (2005) Edward M. Graham, and Magnus Blomstrom, *Does Foreign Direct Investment Promote Development?* p. 220
  - <sup>14</sup> *Ibid*.

- <sup>15</sup> Nichols, P. M. *Legal Theory of Emerging Economies*, 39 Va. J. Int'l L. 1998-1999, p. 282
- <sup>16</sup> Beck-German-Rodau, A. (1994) *Are Ideas Within the Traditional Definition of Property? A Jurisprudential Analysis*, 47 ARK. L. REV. pp. 613-649
- <sup>17</sup> Kriebaum, U. (2011) *The Relevance of Economic and Political Conditions for Protection under Investment Treaties*, 10 Law & Prac. Int'l Cts. & Tribunals, p. 383
- <sup>18</sup> Berger, K. P. *The New Multilateral Investment Guarantee Agency Globalizing The Investment Insurance Approach Towards Development*, 15 Syracuse J. Int'l L. & Com. 13, 1988-1989
- <sup>19</sup> Voss, J. (1982) *The Protection and Promotion of Foreign Direct Investment in Developing Countries: Interests, Interdependencies, Intricacies*, 31 Int'l & Comp. L.Q. p. 686
- <sup>20</sup> *Genin, Eastern Credit Limited, Inc. and A.S. Baltoil v. The Republic of Estonia*, Award, 25 June 2001, 6 ICSID Reports 241; *Olguin v. Republic of Paraguay*, Award, 26 July 2001, 6 ICSID Reports 164; *Nagel v. Czech Republic*, Award, 9 September 2003, 13 ICSID Reports 33; *Generation Ukraine Inc. v. Ukraine*, Award, 16 September 2003, 10 ICSID Reports 240; *LG&E Energy Corp. v. Argentine Republic*, Award, 3 October 2006; *Parkerings v. Lithuania*, Award, 11 September 2007; *Duke Energy Electroquil Partners&Electroquil S.A. v. Republic of Ecuador*, Award, 18 August 2008
- <sup>21</sup> *American Manufacturing & Trading, Inc. v. Republic of Zaire*, Award, 21 February 1997, 5 ICSID Reports 14; *CMS Gas Transmission Company v. Argentine Republic*, Award, 12 May 2005
- <sup>22</sup> *Genin, Eastern Credit Limited Inc. and A.S. Baltoil v. The Republic of Estonia*, Award, 25 June 2001
- <sup>23</sup> *Ibid.*, para 348
- <sup>24</sup> *Nagel v. Czech Republic*, Award, 9 September 2003, 13 ICSID Reports 33
- <sup>25</sup> *Ibid.*, para 293
- <sup>26</sup> *Ibid.*, para 296
- <sup>27</sup> *Olguin v. Republic of Paraguay*, Award, 26 July 2001, 6 ICSID Reports 164
- <sup>28</sup> *Ibid.*, para. 75
- <sup>29</sup> *Duke Energy Electroquil Partners &Electroquil S.A. v. Republic of Ecuador*, Award, 18 August 2008
- <sup>30</sup> *National Grid v. Argentina*, Award, 3 November 2008
- <sup>31</sup> *Ibid.*, para. 175
- <sup>32</sup> *Toto v. Lebanon*, Decision on Jurisdiction, 11 September 2009
- <sup>33</sup> *Ibid.*, para. 17
- <sup>34</sup> *Ibid.*, para. 22
- <sup>35</sup> *Pantechnikiv. Albania*, Award, 30 July 2009
- <sup>36</sup> *Ibid.*, para. 82
- <sup>37</sup> *Ibid.*, para. 76
- <sup>38</sup> *American Manufacturing & Trading Inc. v. Republic of Zaire*, Award, 21 February 1997, 5 ICSID Reports 14
- <sup>39</sup> *CMS Gas Transmission Company v. Argentina*, Award, 12 May 2005
- <sup>40</sup> *Ibid.*, paras. 165 and 183
- <sup>41</sup> U.N. Conference on Trade & Dev. [UNCTAD], *World Investment Report 2003: FDI Policies for Development. National and International Perspectives*, U.N. Doc. UNCTAD/WIR/2003, available: <http://www.unctad.org/en/docs/wir2003ch3-en.pdf>
- <sup>42</sup> Salgado, V.R. (2006) Comment, *The Case Against Adopting BIT Law in the FTAA Framework*, 2006 Wis. L. REV. 1053-59, p. 1025
- <sup>43</sup> Ala'i, P. (2010) *The Impact Of The Financial Crisis On Trade And Investment*, 104 Am. Soc'y Int'l L. Proc. p. 448

- <sup>44</sup> Salacuse J. W. and Sullivan N. P., *Do BITs Really Work?: An Evaluation of Bilateral Investment Treaties and Their Grand Bargain*, 46 HARV. INT'L L.J. 67, 70, 2005
- <sup>45</sup> UNCTAD & Int'l Ctr. for Settlement of Inv. Disputes [ICSID], *Course on Dispute Settlement in International Trade, Investment and Intellectual Property: Module 2.2 Selecting the Appropriate Forum*, U.N. Doc. UNCTAD/EDM/Misc.232/Add.1 (Nov. 11, 2003) (prepared by August Reinisch), available: <http://www.unctad.org/en/docs/edmmisc232addl-en.pdf>
- <sup>46</sup> *Ibid.* p. 29
- <sup>47</sup> Adair, D. R.(1999) *Investors' Rights: The Evolutionary Process of Investment Treaties*, 6 TUL. J. COMP. & INT'L L., p. 196-97
- <sup>48</sup> Hallward-Driemeier, M. (2003), *Do Bilateral Investment Treaties Attract Foreign Direct Investment?*, 22-23 (World Bank, Policy Research Working Paper No. 3121), available: [http://www-23/O00 094946 \\_03091104060047/Rendered/PDF/multi0page.pdf](http://www-23/O00 094946 _03091104060047/Rendered/PDF/multi0page.pdf)
- <sup>49</sup> Gottwald, E. *Leveling the Playing Field: Is it time for a legal assistance center for developing nations in investmenttreaty arbitration?*, 22 Am. U. Int'l L. Rev. 237, 2006-2007, p. 245
- <sup>50</sup> U.N. Conference on Trade & Dev. [UNCTAD], *World Investment Report 2003: FDI Policies for Development. National and International Perspectives*, U.N. Doc. UNCTAD/WIR/2003, available: <http://www.unctad.org/en/docs/wir2003ch3-en.pdf>
- <sup>51</sup> Paulsson, J. (1995) *Arbitration Without Privity*, 10 ICSID REV.-FOREIGN INV. L.J., p. 232
- <sup>52</sup> Schleyer, G. T. (1997) *Power to the People: Allowing PrivateParties to Raise Claims Before the WTO Dispute Resolution System*, 65 FORDHAM L. REV., p. 2277
- <sup>53</sup> UNCTAD, *Latest Developments in Investor-State Dispute Settlement 11A Monitor* No. 4, at 1fig.1, U.N.Doc. UNCTAD/WEB/ITE/IT/2005/2, available: <http://www.unctad.org/en/docs/webiteiit20052-en.pdf>
- <sup>54</sup> UNCTAD, World Investment Report, Towards a New Generation of Investment Policies, 2012, available: <http://unctad.org/en/pages/PublicationWebflyer.aspx?publicationid=171>
- <sup>55</sup> UNCTAD, Comm'n on Inv., Tech. & Related Fin. Issues, *Investor-State Disputes and Policy Implications*, at 4, U.N. Doc. TB/B/COM.2/62 (Jan. 14, 2005)
- <sup>56</sup> TecnicasMedioambientalesTecmed S.A. v. United Mexican States, Award, ICSID Case No. ARB (AF)/00/2, 41, (May 29, 2003), available:<http://investmentclaims.com/decisions/Tecnicas-Mexico-Award-29May2003- Eng.pdf>
- <sup>57</sup> Occidental Exploration & Production Co. v. Ecuador, Final Award, London Ct. of Int'l Arb., Case No. UN 3467, at 73 (July 1, 2004), available: <http://investmentclaims.com/decisions/Occidental-Ecuador-FinalAward- 1Jul2004.pdf>
- <sup>58</sup> Lucchetti, S.A. &Lucchetti Peru, S.A. v. Republic of Peru, Award, ICSID Case No. ARB/03/4, 18, (Feb. 7, 2005), available: <http://investmentclaims.com/decisions/Luchetti-Peru-Award-7Feb2005.pdf>
- <sup>59</sup> Mason, M. (1997) Development and Disorder: A History of the Third World Since 1945, p. 30
- <sup>60</sup> Salacuse, J. W. (1994) *From Developing Countries to Emerging Markets: A Changing Role for Law in the Third World*, The International Lawyer, Vol. 33, No. 4, p. 875
- <sup>61</sup> *Ibid.* p. 876
- <sup>62</sup> Bishop, D., et al (2005) Foreign Investment Disputes: cases, materials and commentary, p. 837

## დავით ჯანდიარი

### გართლებსაჭულების საერთაშორისო სასამართლოს აქტივობა კედლების პარონიარების თაობაზე

ნარმოდგენა იმის შესახებ, რომ ბერლინის კედელი, რომელიც აგებული იქნა დასავლეთ სახელმწიფოთა გულგრილობის გამო,<sup>1</sup> „როგორც პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის საშუალება“,<sup>2</sup> ლეგიტიმურობისგან დაცლილი პოლიტიკური სტრატეგია,<sup>3</sup> მატერიალური გაყოფის ბოლო ფურცელს წარმოადგენდა, რაც იმედის ნაპერნებას აძლევდა მათ, ვინც გადაულახავი საზღვრის მიღმა ცხოვრობდა.<sup>4</sup> 1987 წლის 12 ივნისს, ბერლინის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე აშშ პრეზიდენტმა, როლანდ რეიგანმა ბრანდენბურგის კარიბჭის (გერმანულად: *Brandenburger Tor*)<sup>5</sup> წინ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც დარჩება მეხსიერებაში სახელით „დაშალეთ ეს კედელი“ – ფრაზა, რომლითაც მან მის კოლეგა მიხეილ გორბაჩოვს მიმართა.<sup>6</sup> საბჭოთა კავშირის დასუსტებამ, გარდაუმნამ და აღმოსავლეთ გერმანელების განსაზღვრულობამ, რომლებიც დიდ მანიფესტაციებს აწყობდნენ, 1989 წლის 9 ნოემბერს განაპირობა კედლის დანგრევა, შესძინა რა ახალი მასშტაბები ადამიანთა თავისუფლებას.<sup>7</sup> პარადოქსულია, რომ ცივი ომის დასრულებამ კედლების დაბრუნება განაპირობა, მტერი შეიცვალა და უფრო მეტად დავიწყეთ თვალის გასწორება ახალი საფრთხეებისთვის, როგორიცაა ნარკოტიკები, ტერორიზმი და არალეგალური მიგრაცია.<sup>8</sup> ეს ის პრობლემებია, რომლებიც სახელმწიფოებს აფიქრებინებს სხვადასხვა წინაღობის აშენებას თავდასაცავად,<sup>9</sup> გაყოფის გზით.<sup>10</sup>

კედლებს თავიანი ისტორია აქვთ, რომელთა შორის „სახელმწიფოთაშორისი კედლები“ გაცილებით კომპლექსური ხასიათი აქვთ. 1974 წელს, თურქეთმა ოკუპირებულ კვიპროსში ააგო ცეცხლის შეწყვეტის გასწვრივ მწვანე ხაზი, რომელიც ორად ჰყოფს ქალაქ ნიქოზიას.<sup>11</sup> 1980 წელს, მაროკომ აღმოსავლეთით შუა უდაბნოში,<sup>12</sup> დასავლეთ საპარაში დაიწყო კედლის მშენებლობა, რომელსაც ეძახიან ქვიშის კედელს (ფრანგულად: *Mur des Sables*) და რომლის მშენე-

ბლობაც დასრულდა 1986 წელს.<sup>13</sup> ისრაელის მთავრობა, რომელიც 1996 წლიდან ეძებს მდინარე იორდანს დასავლეთი სანაპიროს ჩრდილოეთ და ცენტრალური ნაწილებიდან არასასურველი ინფილტრაციის თავიდან აცილებას,<sup>14</sup> 2001 წლის ივლისსა და 2002 წლის 16 სეტემბერს დაამტკიცა ბარიერის გეგმა იორდანის ჩრდილოეთით, მწვანე ხაზიდან აღმოსავლეთით რამდენიმე ასეულ მეტრში.<sup>15</sup> რამდენიმე ეტაპად აგებული, ბარიერის მარშრუტი რამდენჯერმე იქნა მოდიფირებული 2004, 2005 და 2006 წლებში. დასრულებული, მისი სიგრძე 723 კმ-ს გაუტოლდება.<sup>16</sup> ბარიერი შედგება რკინის ელექტრონული მავთულხლართების, ხოლო ზოგიერთ ადგილას ბეტონის წინაღობებისგან პალესტინელთა დასალებების მხრიდან გასროლილი ტყვიებისგან თავდასაცავად.<sup>17</sup> ისრაელის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებისთანახმად, მას იცავს ისრაელის თავდაცვის ძალები, გარდა იერუსალიმისა,<sup>18</sup> სადაც პოლიციაა პასუხისმგებელი „იერუსალიმის შეფუთვაზე“.<sup>19</sup> 2008 წელს, რუსეთ-საქართველოს ომიდან ცოტა ხნის შემდეგ, ბარიერის მშენებლობის თაობაზე რუსული პროექტის რეალიზება დაიწყო სამარაბლოსა და დანარჩენ საქართველოს შორის.<sup>20</sup>

გლობალური სტანდარტების გავრცელების ეპოქაში,<sup>21</sup> საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესი კედლების მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე. საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა დაწესების მიხედვით, როლი, რომელსაც კედლები ასრულებს მისი ამგებისთვის, მხოლოდ მისი სარგებლიანობა თუ აუცილებლობა არ შეიძლება იყოს მისი კანონიერების საფუძველი, თუკი მხედველობაში არ იქნება მიღებული სხვა კანონიერი ინტერესები. ისევე როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტი, ძალის გამოყენების აკრძალვა, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, დღესდღეობით, ისეთი პოსტულატები, როგორიცაა

ხალხთა თვითგამორკვევის უფლება<sup>22</sup> და ზოგადად ადამიანის უფლებები, საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი საყრდენია.

სახელმწიფოს კონცეფცია, რომელმაც დაარსა საერთაშორისო სამართალი, ეფუძნება „სუვერენიტეტს“, „რომელიც გამოხატავს შიდა სამთავრობო ინსტიტუტების და სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის უზენაესობას გარეთ“. <sup>23</sup> სუვერენიტეტი თვითონ, არსებითად ეფუძნება ტერიტორიის ცნებას, როგორც სახელმწიფოს ფუნდამენტურ მახასიათებელს, რაც ფართოდ აღიარებულია, როგორც საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი ელემენტი. ტერიტორიის გარეშე, სახელმწიფო არ არსებობს.<sup>24</sup> თავისი სუვერენული უფლებების ძალით, თითოეული სახელმწიფო თავისუფალია გააკეთოს ის, რაც სურს საკუთარ ტერიტორიაზე, მეზობლებისთვის ზიანის მიუყენებლად.<sup>25</sup> პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უფლება-მოსილია განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება ექსკლუზიურად თავის ტერიტორიიაზე შეიძლება იქნას მიჩნეული, როგორც კლასიკური საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური აქსიომა,<sup>26</sup> და მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, ადგილი აქვს სახელმწიფოს ტერიტორიული ექსკლუზიურობის შესუსტების ტენდენციას, ტერიტორიული სუვერენიტეტი<sup>27</sup> რჩება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ კონცეფციად.<sup>28</sup>

საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფო ტერიტორია განსაზღვრული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება, რომელიც მის საზღვრებში თავის ტერიტორიულ უზენაესობას ახორციელებს.<sup>29</sup> საერთაშორისო საზღვარი საერთაშორისო სამართლის კონცეფციაა, რომელიც იცავს მის ურყობას, რომელიც არ შეიძლება ცვლილებას დაექვემდებაროს საერთაშორისო მართლმსაჯულების<sup>30</sup> ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით.<sup>31</sup> საერთაშორისო სამართლში საზღვრების დელიმიტაციას ხშირად უნდებენ ეროვნულ დელიმიტაციას. იგი ეხება სახელმწიფოს საგარეო ზღვრის დადგენის პროცედურას, რომელშიც ხორციელდება სრული ტერიტორიული ან ფუნქციური სუვერენიტეტი.<sup>32</sup> ამდენად საერთა-

შორისო საზღვარი, რომელიც „ზღუდავს სუვერენიტეტს ორ სახელმწიფოს შორის, ხშირად ალინერება, როგორც უძრავი ობიექტი“. <sup>33</sup> ამ ფენომენის მნიშვნელობამ შთააგონა ეს ფრაზა: „როცა კი საზღვარი შეილახება, ყველაფერი განწირულია დაცემისკენ“. <sup>34</sup>

თუკი მოქალაქეების დაცვა სანდო და ლეგიტიმურინენტერესს წარმოადგენს, კედლის აშენება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ჰქმნის ნამდვილ პრობლემას, ვინაიდან მშენებელი სახელმწიფო არ სარგებლობს სუვერენული უფლებით. ამ სიტუაციამ შესაძლოა განაპირობოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის პატივისცემის უპატივცემლობა, რომელიც ფუნდამენტია საერთაშორისო სისტემის.<sup>35</sup> სახელმწიფოს ტერიტორიიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი დადგენილია და დაცულია მთელი რიგი წესებით, რომელთა შორისაა გაეროს ქარტის 2 §4 და 2 §7 მუხლები. ამგვარ კედლებს შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო სამართლის გადასახედიდან „სადავო კედლები“ – კედლები, რომლებიც იგება ტერიტორიაზე, რომელზეც კედლის მშენებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ ვრცელდება და რომელზეც საერთაშორისო/რეგიონულ თანამეგობრობას არა აქვს გამოხატული პოზიცია, რომ კედლის მშენებელი სახელმწიფო ახორციელებს „კანონიერ კონტროლს“. ამ ტიპის კედელი ბევრი არაა. მათ შორისაა ბარიერი, რომელიც კვიპროსის კუნძულს ჰყოფს ორად, ისრაელის ბარიერი – მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, მაროკოს მიერ დასავლეთ საპარაში აგებული კედელი, ცხინვალის რეგიონს და დანარჩენ საქართველოს შორის რუსეთის ფედერაციის მიერ აგებული ბარიერები.<sup>36</sup>

სუვერენიტეტის პრინციპის შესაბამისად, ერთი შეხედვით, „სადავო კედლები“ არ უნდა იყოს მიჩნეული საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებთან შესაბამისად.<sup>37</sup> ოთხივე მაგალითი ადასტურებს, რომ სახელმწიფოებმა ეს კედლები ააშენეს მიუხედავად აღიარებული ზეამოაღნიშული პრინციპისა. ამდენად მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შეკითხვას იმის შესახებ, არის კი სხვა სპეციფიკური წესები, რომლებიც კედლებს ეხება თუ „სადავო კედლების“ პრობლემა მხოლოდ მათ ტერიტორიულ მდებარეობაშია? იმ ტერიტორიების იურიდიული

სტატუსი, რომლებზეც ეს კედლები შენდება, საკმარისია ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად?

აღსანიშნავია, რომ კედლის დასახელებამ შესაძლოა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინოს და დამოკიდებული იყოს მათ ფუნქციაზე, როლსა თუ შემადგენლობაზე. ასე მაგალითად, ისრაელის ნაგეოპობის, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს სახელწოდებამ ცხარე დებატები გამოიწვია. მოწინააღმდეგები (ისევე როგორც დასავლეთ საპარაში<sup>38</sup> მაროკოს მიერაგებულინაგებობის შემთხვევაში) მას უწოდებენ „აპარტეიდის კედელს“,<sup>39, 40</sup> „სირცხვილის კედელს“,<sup>41</sup> „რასისტული გამიჯვნის კედელს“,<sup>42</sup> „დათრგუნვისა და ოკუპაციის სიმბოლოს“,<sup>43</sup> „ბერლინის კედელს“,<sup>44</sup> „ექსპანსიისა და ანექსიის კედელს“<sup>45</sup> ან „ექსპანსიონისტური დაპყრობის კედელს“,<sup>46</sup> მაშინ, როდესაც მისი აგების დამცველები – „მშვიდობის ლობეს“<sup>47, 48</sup> ან „არაფატის ლობეს“;<sup>49</sup> ზოგადად კი, ისრაელელები მას „გამყოფ ლობეს“<sup>50</sup> უწოდებენ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ 2003 წლის 19 დეკემბრის განჩინებაში საქმისთვის სახელწოდების მინიჭების თაობაზე, გამოიყენა რა სიტყვა „კედელი“<sup>51</sup> გაზარდა დაბულობა, გაამძაფრა უკვე არსებული „ტერმინოლოგიური ომი“.<sup>52</sup> ტერმინ „ლობის“ გამოყენებას ისრაელისთვის უაღრესად სიმბოლური დატვირთვა აქვს, ვინაიდან იგი მიუთითებს ნახევრად მუდმივი<sup>53</sup> დროებითი<sup>54</sup> სტრუქტურის არსებობაზე. ისრაელის პროტესტი თვეის ახსნას პოლობს გამყოფი საშუალების შემადგენლობაში, რომლის მხოლოდ 3%-ზე ნაკლები შედგება ბეტონისგან, ხოლო 97% – მავთულხლართებისგან.<sup>55, 56</sup> სახელწოდებასთან დაკავშირებულ განსხვავებათა გათვალისწინებით, სათანადო იქნებოდა „კედლის“ გამოყენება მსოფლიოს სხვადასვა წერტილში არსებული მყარი გამყოფი კონსტრუქციის, ასევე მთლიანად ყველა სახის გამყოფ საშუალებათა (კედლის, ბარიერის თუ ლობის) აღსანიშნავად, რომელიც მოიცავდა ისრაელის კონსტუქციასაც. ამასთან, ნეიტრალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწილი იქნებოდა „ბარიერის“ (და არა „ლობის“ ან/და „კედლის“) გამოყენება ისრაელის აღმოსავლეთით არსებული გამყოფი

საშუალების აღსანიშნავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხი შეეხება სროლების საწინააღმდეგო ისრაელის სპეციალური მყარი დაცვის ბეტონის ნაგებობას საავტომობილო გზის გასწორივ.

კედლების პრობლემატიკის შესანავლის შესაძლებლობა საერთაშორისო ინსტანციის სასამართლოს ერთხელ მიეცა, როდესაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ეთხოვა გაეროს გენერალური ასამბლეების მიმართვის საფუძველზე საკონსულტაციო დასკვნის გაცემა საქმეზე სახელწოდებით: პალესტინის ოუკირებულტერიტორიებზე კედლის აღმართვის იურიდიული შედეგები. იურიდიული პროცედურის დაწყებამდე, რომელსაც მოჰყვა 2004 წლის 9 ივნისის საკონსულტაციო დასკვნის მიღება, მკვეთრი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა იმ საკითხთან დაკავშირებით, უნდა გაეცა თუ არა პასუხი სასამართლოს დასმულ შეკითხვაზე. საკონსულტაციო დასკვნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რათა მასში მოცემული ჩარჩოს გათვალისწინებით შესაძლებელი გახდეს სხვა სახელმწიფოთა მიერ საკუთარი სუვერენიტეტის მიღმა აშენებული კედლების კანონიერების შეფასება.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ხედვით, კედლების უკანონობის ზოგადი კლიმატი შესაძლოა შეჰქმნას საერთაშორისო პრინციპების და ნორმების, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის უფლებელყოფამ, რომელთა შორის არის კედლის ადგილმდებარეობა, მისი ამგები სახელწიფოს ზოგად პოლიტიკა (ტერიტორიის ძალის გამოყენებით დაუფლება, უკანონო დასახლებების ხელშეწყობა), ნეგატიური ზეგავლენა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე, თავისუფლად გადადგილების და მისგან გამომდინარე სხვა უფლებები და ა.შ.<sup>57</sup>

სასამართლოს მიერ საკონსულტაციო განხილვის მიზანშეწილი დასახლებასთან დაკავშირებული პროცედურული ხასიათის შუამდგომლობების უარყოფას, რამაც ვრცელი ადგილი დაიკავა საკონსულტაციო დასკვნაში, მოჰყვა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მნიშვნელოვანი ფაქტების შეხსენება.<sup>58</sup> სასამართლომ მიანიშნა გაეროს გენერალური მდგვრის ინფორმაციაზე ბარიერის მარშრუტის შესახებ,<sup>59</sup> რის შემდეგაც

განსაზღვრა ტერიტორიის სტატუსი, რომელზეც ბარიერი იგება. ამ მიმოხილვის შემდეგ, სასამართლომ მითითება გააკეთა იმ ნორმებზე, რომელთა საფუძველზეც მას უნდა შეეფასებინა ბარიერი და მასთან დაკავშირებული რეჟიმი. ეს არის გაეროს ქარტიაში ასახული პრინციპები და წესები, ასევე ზოგიერთი სხვა ხელშეკრულება, საერთაშორისო სამართლის ჩვეულებები, გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი რეზოლუციები.<sup>60</sup>

სასამართლომ იმთავითვე დააზუსტა, რომ „პოლიტიკური რუქა სამართლებრივი ხასიათისაა“ – იმის, „თუ რა უნდა იყოს“ [და არა] სამხედრო რუქა [რაც] უკავშირდება მინაზე არსებულ რეალობას, ანუ „იმას, რაც არის“.<sup>61</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლოს მოსაზრებით, ბარიერის პრობლემა მდგომარეობს იმ ფაქტში, პატივს სცემს თუ არა ბარიერის შერჩეული მარშრუტით მშენებელი სახელმწიფო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. აღნიშნული მიდგომით, სასამართლომ იმთავითვე განსაზღვრა, რომ იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ბარიერის ნებისმიერი მონაკვეთი მიჩნეული იქნება *a priori* არაკანონიერად. ტერიტორიული კუთვნილების საკითხის განსასაზღვრად, სასამართლო დაეყრდნო ისრაელსა და იორდანის შორის 1949 წლის 3 აპრილს როდოსში გაფორმებულ ხელშეკრულებას და მეორეს მხრივ, სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების რეგლამენტის 42-ე მუხლს, რომელიც თან ერთვის ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის მეოთხე კონვენციას.<sup>62</sup> სასამართლოს მოსაზრებით, საერთაშორისო სამართლის ჩვეულებათა მიხვედით, როგორც ასახულია ჰააგის 1907 წლის რეგლამენტი „ტერიტორია მიიჩნევა ოკუპირებულად, როდესაც ფაქტობრივად მოთავსებულია მტრული ჯარის დაქვემდებარებაში და ოკუპაცია ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს რეჟიმი არის შექმნილი და სადაც იგი შეიძლება განხორციელდეს“.<sup>63</sup> სასამართლოს დასკვნით, ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მწვანე ხაზზა და პალესტინის აღმოსავლეთის ძველ საზღვარს შორის ოკუპირებული იქნა ისრაელის მიერ ისრაელსა და იორდანის შორის შეიარაღებული კონ-

ფლიქტის დროს [...]. ამდენად საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელზეც ისრაელს აქვს ოკუპანტის სტატუსი [...]. მთელი ეს ტერიტორია (მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმი) ნარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიებს და ისრაელი ინარჩუნებს ოკუპანტის სტატუსს“.<sup>64</sup> სასამართლოს ამ დასკვნიდან ნათელია, რომ ბარიერის კანონიერება პირდაპირ კავშირშია ადგილთან, სადაც იგი მდებარეობს. ეს საბაზისო ფორმულა შესაძლოა გავრცელდეს სხვა კონსტრუქციებთან მიმართებით მსოფლიოში, თუმცა მოცემულ ბარიერთან დაკავშირებით საზღვრების ლიმიტი, ასევე სხვა ფაქტორები მოითხოვს დამატებით შეფასებას.

1949 წლის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სასამართლომ განსაზღვრა ისრაელის სუვერენიტეტის საზღვრები, მოითხოვდა მეტი სიცავდის შეტანას. სამნუხაროდ სასამართლომ ისრაელის ტერიტორიული ლიმიტის შესაფასებლად თავი აარიდა ამ ხელშეკრულების დებულებაზე მსჯელობას, რომელიც ამბობს, რომ დემარკაციის ხაზი (ე.წ. „მწვანე ხაზი“)<sup>65</sup> შესაძლოა დაქვემდებარებოდა დაზუსტებებს მხარეთა შეთანხმებებით. 1948 წლის 16 ნოემბრის რეზოლუციით 62 (1948), გაეროს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, რომ „პალესტინის ყველა სექტორზე დაიდება ზავი“ და მოუწოდა კონფლიქტში პირდაპირ ჩართულ მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას ამ საკითხზე.<sup>66</sup> 1949 წლის 3 აპრილის როდოსის ხელშეკრულებამ მე-5 და მე-6 მუხლებში დააფიქსირა დემარკაციის ხაზი ისრაელის და არაბულ ძალებს შორის, რომლის 6 წელში მიეთითა, რომ ეს დებულებები არ იქნება განმარტებული „რაიმე სახით მხარეთა მიერ კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტის დამაბრკოლებლად“. ამასთან დაზუსტებული იქნა, რომ „დემარკაციის ხაზი, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლებით, აღიარებული იქნა მხარეთა მიერ შემდგომი ტერიტორიული მოგვარების საკითხის, საზღვრის მარშრუტის ან ამ საკითხზე თითოეული მხარის მოთხოვნებისადმი ზიანის მიუყენებლად“.<sup>67, 68</sup> ისრაელის პოზიციის მიხედვით, ტერმინების „ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიები“ და „მწვანე

ხაზი"-ს გამოყენება მიუღებელი იყო და არ შეესაბამება არც უშიშროების საბჭოს 242 (1967) რეზოლუციის ფორმულირებას, არც ავტონომიის შუალედური შეთანხმების შესახებ პრინციპების დეკლარაციას, რომელსაც ხელი მოეწერა 1993 წელს ისრაელსა და პალესტინის განმანთავისუფლებელ ორგანიზაციას შორის და „რომელიც დისკუსიებს საზღვრებთან დაკავშირებით უკავშირებს მოლაპარაკებებს საბოლოო სტატუსის შესახებ.“<sup>69</sup> ისრაელისთვის, საზავო ხაზი არ წარმოადგენს საზღვარს<sup>70</sup> და აქედან გამომდინარე, ბარიერის აგება საზავო ხაზის მხედველობაში მიღების გარეშე, არ არის უკანონო ამავე მიზეზით,<sup>71, 72</sup> ვინაიდან იგი არ არის საბოლოო საზღვარი, რომელიც უნდა იქნას დადგენილი სამშვიდობი მოლაპარაკებების გზით<sup>73</sup> და 1949 წლის შეთანხმება შეთანხმებული იქნა მხარეთა მიერ სასაზღვრო საკითხის გადაწყვეტა მოლაპარაკებების გზით; ვინაიდან რეზოლუციები 242<sup>74</sup> და 338,<sup>75</sup> მოუწოდებს მხარეებს მოლაპარაკებებისკენ „მყარი და დაცვადი საზღვრების“ მისაღწევად მოლაპარაკებების შედეგად.<sup>76</sup> ამ მოსაზრების ავტორები მიიჩნევენ, რომ ანტიისრაელური დიპლომატები, რომელთაც სსრკ დელეგაციის მხარდაჭერა ჰქონდათ, მოითხოვდნენ, რომ რეზოლუციაში 242, წინდებული „the“ წინ დასმოდა ტერიტორიებს,<sup>77</sup> რაც არ იქნა გაზიარებული და რაც მონმობს, რომ „ინგლისურმა ტექსტმა ნებით აურა გვერდი წინ-დებულ „the“-ს დასმას “territoires” წინ, დატოვა რა ლია დაუზუსტებელი ტერიტორიის ფარგლები, რომლისგანაც ისრაელს უნდა დაეხია“.<sup>78</sup> 1949 წლის შეთანხმების დებულებათა მიუხედავად, არავითარი ეჭვს არ ინვევს, რომ ე.წ. მწვანე ხაზის მიღმა არსებული ტერიტორიები არ წარმოადგენს ისრაელის სუვერენიტეტის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიას საერთაშორისო სამართლის პრინციპების და ნორმების მიხედვით, რომლის არც ერთი ნორმა არ იძლევა ოკუპირების უფლებას, მათ შორის იმ საფუძვლით, რომ ტერიტორია სამომავლოდ შესაძლოა გახდეს მოლაპარაკებების საგანი. მიუხედავად 1949 წლის შეთანხმების ნაწილში საკონსულტაციო დასკვნის „სიცარიელისა“, ნათელია, რომ ე.წ. მწვანე ხაზს მიღმა არსებული ისრაელის კონტროლქვეშ არსებული ტერიტორია წარმოადგენს ოკუპირებულ ტე-

რიტორიას, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და მასზე, მათ შორის ბარიერის აგების საკითხთან დაკავშირებით ოკუპაციის ნორმები უნდა იქნას გავრცელებული.<sup>79</sup>

ისრაელის მიერ ბარიერის აგება საკუთარი სუვერენიტეტის მიღმა პალესტინის პოზიციის საფუძველია, რომლის მიხედვითაც, „ედლის აგება ტერიტორიის ანექსიის მცდელობაა, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა“; პალესტინის მიერ გამოირიცხება სამომავლოდ ისრაელის რამე უფლება მასზე: „მინების de facto ანექსია წარმოადგენს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის შესაბამისად პალესტინელი ხალხის უფლების დარღვევას თვითგამორკვევაზე“;<sup>80</sup> ისრაელის პოზიციის მიხედვით, ტერიტორიების სტატუსი ხელს არ უშლის ბარიერის კანონიერებას, ვინაიდან ბარიერს დროებითი ხასიათი აქვს და მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ ებრძოლოს ეფექტიანად იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან მომავალ ტერიტორიზმს.<sup>81, 82</sup> ისრაელის ეს პოზიცია მიუთითებს ისრაელის ხედვის თანხვედრაზე იმ თეზასთან, რომლის მიხედვითაც, ზოგადი წესის საფუძველზე, ბარიერის აგების კანონიერებას შესაძლოა საფუძვლად დაედოს სუვერენიტეტი ტერიტორიასთან მიმართებაში, რომელზეც იგი იგება, ხოლო გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლოა დაეფუძნოს მხოლოდ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს.

ტერიტორიული კუთვნილების საკითხთან ერთად მნიშვნელოვანია ბარიერის მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენების საკითხი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენების ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმაში, რომ ტერიტორია, რომელზეც ბარიერი იგება ოკუპაციის ქვეშა.<sup>83</sup> ოკუპაციის საერთაშორისო წესები არეგულირებს ურთიერთობას ოკუპანტი ძალასა და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შორის. მისი მთავარი მიზანია ოკუპაციის ქვეშ მყოფ სამოქალაქო მოსახლეობას მიეცეს ნორმალური ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღიარებს რა ოკუპანტი ძალის ლეგიტიმურ ინტერესს უსაფრთხოების მიმართ, შეინარჩუნოს სამხედრო

ყოფნა ტერიტორიაზე. ეს დროებითი მდგომარეობა უნესებს გარკვეულ მოვალეობებს ოკუპანტ ძალას, კერძოდ, უზრუნველყოს ადგილობრივი ოკუპირებული მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა და შეინარჩუნოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიტუაცია *ex ante*. ოკუპანტ ძალას არ შეუძლია განახორციელოს კარდინალური ცვლილებები ტერიტორიის სტატუსში და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეთნიკურ შემადგენლობაში, ვინაიდან ოკუპანტ ძალას არ გააჩნია სუვერენული უფლება ოკუპირებულ ტერიტორიების მიმართ.

მიუქედავად იმისა, რომ ისრაელი არ არის ჰააგის 1907 წლის მეოთხე კონვენციის ხელმომწერი მხარე, რომელსაც ერთვის რეგლამენტი და რომლის შემუშავების მიზანი იყო „გადახედილიყო ომის ზოგადი კანონები და ჩვეულებები“, რომლებიც იმ პერიოდში არსებოდა,<sup>84</sup> ამ კონვენციამ ჩვეულებითი ხასიათი მიიღო: ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ „კონვენციით განსაზღვრული წესები ყველა ცივილიზებული ერის მიერ აღიარებული და მიჩნეული იყო, როგორც ომის კანონებისა და ჩვეულებების წესები“ (*Jugement du Tribunal militaire international de Nuremberg du 30 septembre et 1<sup>er</sup> octobre 1946, p. 65*); ამავე დასკვნამდე მივიდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, როდესაც მის მიერ განხილული იქნა მეომარ მხარეთა უფლებები და მოვალეობები სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას (*Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires, avis consultatif, C.I J. Recueil 1996 (I), p. 256, par. 75*);<sup>85</sup> ამასთან უნევის მეოთხე კონვენციის 154-ე მუხლის მიხედვით, ჰააგის რეგმალენტის II და III სექციები შეივსო ზემოხსნებული კონვენციით და ამ რეგლამენტის მე-III სექცია, რომელიც ეხება „სამხედრო ხელისუფლებას მტრული სახელმწიფოს ტერიტორიაზე“ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტუალობას იძენს.<sup>86</sup>

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მეოთხე კონკრეტული გამოყენების საკითხი იმ ტერიტორიაზე, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიად არ არის მიჩნეული. ეს ის საკითხია, რომელსაც მართლმადიდულების საერთაშორისო სასამართლო შექმნა, ვინაიდნენ.

იდან ისრაელი აპროტესტებდა უენევის მეოთხე კონვენციის *de jure* გამოყენების საკითხს – „ეს ტერიტორია არ იყო აღიარებული სუვერენულად იორდანის და ეგვიპტის მიერ მის ანექსიამდე და შესაბამისად, საკითხი არ ეხება მაღალი ხელმძღვანელი მხარის ტერიტორიას კონვენციის გაგებით“.<sup>87</sup> უენევის მეოთხე კონვენციის 2 §2 მუხლი ითვალისწინებს კონვენციის გამოყენებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ოკუპაციისას.<sup>88</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებით, თუკი „ჰავის 1907 წლის რეგლამენტის ავტორები დაკავებული იყვნენ იმით, რომ შეენარჩუნებინათ ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა დაეცვათ, უენევის მეოთხე კონვენციის ავტორები ცდილობდნენ უზრუნველყოფით სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ომის პერიოდში ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსისაგანდამოუკიდებლად, რასაც ადასტურებს კონვენციის 47-ე მუხლი“.<sup>89</sup> სასამართლომ მხედველობაში მიიღო ხელშეკრულების ჯეროვანი ინტერპრეტაციის პრინციპი, რომელსაც ადგენს ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ.<sup>90</sup> სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სხავდასხვადოკუმენტისა და კონვენციის გამოყენების მომხრეთა შეფასებებზე, მათ შორის ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რომელმაც 2004 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ: „რაფაში ისრაელის თავდაცვის ძალების სამხედრო ოპერაციები, იმდენად რამდენად მათ გავლენა აქვთ სამოქალაქო პირებზე, რეგულირდება ჰავის 1907 წლის მეოთხე კონვენციით მიწაზე ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ და უენევის 1949 წლის კონვენციით ომის პერიოდში სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ“.<sup>91</sup> საბოლოოდ, სასამართლოს დასკვნით, უენევის კონვენციის გამოყენების სფეროს წარმოადგენს მთლიანად ოკუპირებული ტერიტორია საომარი კონფლიქტის დროს, რომელშიც ორი ანრამდენიმე მხარე ჩართული.<sup>92</sup>

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აგებული ბარიერის შესაფასებლად

მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების გამოყენების საკითხი.<sup>93, 94</sup> სასამართლომ გაიხსენა 1996 წლის 8 ივნისის საკონსულტაციო დასკვნა *Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires* იმის შესახებ, რომ „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტით განსაზღვრულ უფლებათა დაცვა არ წყვეტს არსებობას იმის დროს, თუკი იგი არ არის პაქტის მე-4 მუხლის შედეგი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებათაგან გადახვევას საზოგადოებისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში“.<sup>95</sup> სასამართლოს მოსაზრებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების გადაკვეთის სამი ადგილი არსებობს: „შესაძლოა ზოგიერთი უფლება ექსკლუზიურად საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლს განეკუთვნებოდეს; სხვები – ადამიანის უფლებათა სამართლს; სხვები – საერთაშორისო სამართლის ორივე შტოს“, რომელთაგან სასამართლოს მოსაზრებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლი იქნება *lex specialis*-ის სტატუსს.<sup>96, 97</sup> „ვალდებულების არ-არსებობა არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია დაუსჯელად დაარღვიოს ადამიანის უფლებები“.<sup>98</sup> ამდენად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დადასტურებული აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი ხასიათის საერთაშორისო-ჩვეულებითი ვალდებულების არსებობა, რომელიც თავის ასახვას ჰპოვებს გაეროს ქარტიის 55-ც მუხლში.<sup>99</sup>

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ხაზი გაუსვა ბარიერთან მიმართებაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 2 წ1 მუხლს: თითოეულმა სახელმწიფომ „პატივი სცესდა მისი ტერიტორიის ფარგლებსა დამის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები“; რომ „თუკი სახელმწიფოთა კომპეტენცია პირველ რიგში ტერიტორიულია, ზოგჯერ მას შეუძლია იგი განახორციელოს ეროვნული ტერიტორიის გარეთ“.<sup>100</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე მიუთითებს საერთო ხედვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, ადამიანის უფლებათა დაცვის წესების

სპეციფიკურობასა და ავტონომიურობაზე, რომლის დადასტურებაა საქმეები *Loizidou v. Turquie*<sup>101</sup> და *Ilascu and others v. Moldova and Russia*.<sup>102</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისი სასამართლომ მხედველობაში მიიღო „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის საგანი და მიზანი“, რომელსაც დაეფუძნა მისი დაკვნა იმის შესახებ, რომ „ბუნებრივია, პაქტის ხელშემკვრელ მხარეებს მოეთხოვებათ მისი დებულებების პატივის-ცემა“.<sup>103</sup> ამ მიდგომას ადასტურებს პაქტის მოსამზადებელი სამუშაოები, ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკა,<sup>104, 105</sup> საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტი გამოიყენება სახელმწიფოს იმ ქმედებათა მიმართაც, რომელსაც ადგილი აქვს მისი საკუთარი ტერიტორიის გარეთ.<sup>106</sup>

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომელიც არ შეიცავს დებულებას მისი გამოყენების ფარგლების შესახებ, ახნას პოულობს იმაში, რომ პაქტით გათვალისწინებულ უფლებებს არსებითად ტერიტორიული ფარგლები აქვთ, მაგრამ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ მათ აქვთ გამოყენება როგორც ტერიტორიებზე, რომლებიც ხელშემკვრელი მხარის სუვერენიტეტის ქვეშა მოქცეული, ისე იქ, სადაც ტერიტორიული იურისდიქცია ვრცელდება<sup>107</sup> – პოზიცია, რომელიც თანხვედრაშია გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხთა კომიტეტის მიდგომასთან.<sup>108</sup>

ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტი – ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის მეორე მუხლი, რომელიც ევროკონვენციის პირველი მუხლის მსგავსია მიუთითებს, რომ „ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან უფლებები, რომლებიც გაცხადებულია (...) კონვენციაში და უზრუნველყონ ნებისმიერი ბავშვისთვის, რომელიც მის იურისდიქციის ქვეშ ექცევა“. ამდენად, ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია ასევე ექვემდებარებოდა გამოყენებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.<sup>109</sup>

საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენების საკითხზე მსჯელობის შემდეგ, სასამართლომ

ყურადღება გაამახვილა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე, „ომის გზით ტერიტორიის შეძენის დაუშვებლობაზე“,<sup>110</sup> ასევე გაეროს ქარტიის 2 ს 4 მუხლზე.<sup>111</sup> ამავე სულისკვეთებით, სასამართლომ მიუთითავაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის რეზოლუციაზე 2625(XXV), სახელწოდებით „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლისპრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება მეგობრულ ურთიერთობებს და თანამშრომლობას სახელმწიფოებს შორის“, რომლის მიხედვითაც, „ტერიტორიის არც ერთი შეძენა მუქარისა ან ძალის გამოყენებით არ იქნება კანონიერად მიჩნეული“.<sup>112</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეზე *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua contre celui-ci (Nicaragua c. États-Unis d'Amérique)*, გაეროს ქარტიის პრინციპი ძალის გამოუყენებლობის თაობაზე ჩვეულებითი სამართლის ნორმად იქნა აღიარებული (C.I.J. *Recueil 1986*, p. 98-101, par. 187-190) და იგი ასევე ეხება „ტერიტორიის ნებისმიერ შეძენას მუქარისა ან ძალის გამოყენების შედეგად“.<sup>113</sup> რაც შეეხება მთავარ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ ოკუპაციას, წარმოადგენს ჰააგის რეგლამენტის მესამე სექცია (მუხლები 42-56) და მეოთხე უკნევის კონვენცია (მუხლები 4 ს III, 47-78). ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსის შეცვლა ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუკი მოსახლეობის კანონიერი წარმომადგენელი ეთანხმება მას.<sup>114</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები აღიარებს, რომ საოკუპაცო ხელისუფლება დროებითია და შეზღუდულია მოსახლეობის საბოლოო პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული უფლებებით.<sup>115</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ ოკუპაცია წარმოადგენს დროებით მდგომარებას, რომლის განმავლბაშიც, ოკუპანტის როლი შემოისაზღვრება მხოლოდ *de facto* ადმინისტრაციული მმართვით (რომლის მოვალეობაა შეინარჩუნოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია *ex ante*), რაც არ აძლევს არავითარ სუვერენულ უფლებასოკუპანტს აკუპირებულ ტერიტორიაზე. იგ ინარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური პრინციპის აღიარებას, რომელიც კრძალავს ტერიტორიის შეძენას მუქარით ან ძალის გამოყენებით.<sup>116</sup>

ისრაელის მიერ მიცემული გარანტიების მიუხედავად იმის შესახებ, რომ ბარიერს დროებითი ხასიათი აქვს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებით, იგი ვერ დარჩება ინდიფერენტული მის წინაშე გამოთქმულ ზოგიერთ შიშთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ბარიერის მარშრუტი წინასწარ ავლებს მომავალ საზღვარს ისრაელსა და პალესტინას შორის და მასში ისრაელი აქცევს ისრაელელთა დასახლებებს და სამოძრაო გზებს.<sup>117</sup> სასამართლოს მოსაზრებით, ბარიერის აგება და მასთანასოცირებული რეჟიმი ჰქმნის მიწაზე „უკვე შემდგარ ფაქტს“, რომელიც შესაძლოა მუდმივი გახდეს და მიუხედავად ისრაელის მიერ ბარიერის ოფიციალური აღწერილობისა, მისი აგება ექვივალენტური იქნებოდა *de facto* ანექსიასთან.<sup>118</sup> ტერიტორიის შეძენასთან დაკავშირებული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ზოგადი ჩარჩოს მართებულობის მიუხედავად, სასამართლოს ზემოაღნიშნული შეფასება დამაჯერებლობას შეიძენდა დასაბუთების შემთხვევაში – თუკი სასამართლო შეისწავლიდა იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერის აგების გადაწყვეტილების თანმდევ კონტექსტს, ასევე ამ ბარიერის მარშრუტსახელმწიფოს მიერ გაცხადებულ მიზანთან მიმართებაში. ამგვარი შესწავლის გარეშე, შეგვიძლია დავასკვნათ სასამართლოს მსჯელობის ზედაპირული ხასიათის არსებობა, ვინაიდან „ანექსია მოითხოვს გარკვეული ფორმალობის ან მუდმივობის დემონსტრაციას“.<sup>119</sup>

კედლებმა შესაძლოა გავლენა იქონიონ  
ხალხთა თვითგამორკევის უფლებაზე. მო-  
ცემულ შემთხვევაში, მართლმასჯულების  
საერთაშორისო სასამართლოს აზრით, „პა-  
ლეტინელი ხალხის“ არსებობა „აღარ დგას  
ეჭვევეშ“. <sup>120</sup> ამ პრინციპს ეძღვნება გაეროს  
ქარტიის 1 §2 მუხლი, <sup>121</sup> საერთაშორისო პა-  
ქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლე-  
ბების შესახებ და საერთაშორისო პაქტის  
ეკონომიკური, სოციალური და კულტურუ-  
ლი უფლებების შესახებ საერთო პირველი  
მუხლი <sup>122</sup> და რაც ასევე დადასტურებულია  
გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუ-  
ციით 2625 (XXV), რომლის მიხედვითაც,  
„თითოეულ სახელმწიფო ვალდებულია თა-  
ვი შეიკავოს ნებისმიერი ძალადობრივი ქმე-  
დებისგან, რომელიც ნაართმევდა თვით-

გამორკვევის უფლებას [ზემოხსენებულ რეზოლუციაში] მითითებულ ხალხს“. არავტონომიურ ტერიტორიებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, „ევოლუციიდან გამომდინარე, არ არსებობს ეჭვი, რომ „ნმინდა მისის“, რომელსაც ერთა ლიგის პაქტის 22 §1 მუხლში ვხვდებით, მიზანი იყო შესაბამისი ხალხის საბოლოო თვითგამორკვევა“... (*Conséquences juridiques pour les États de la présence continue de l'Afrique du Sud en Namibie (Sud-ouest africain) nonobstant la résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, avis consultatif, C.I.J. Recueil 1971, p. 31, par. 52-53*).<sup>123</sup> სასამართლოს განმარტებით (იხ. *Sahara occidental (avis consultatif C.I.J. Recueil 1975, p. 68, par. 162)*), „დღესდღეობით ხალხთა თვითგამორკვევის უფლება წარმოადგენს erga omnes ვალებულებას“ (*Timor oriental (Portugal c. Australie), arrêt, C.I.J. Recueil 1995, p. 102, par. 29*).<sup>124</sup>

კედლის კანონიერების შეფასება შესაძლოა ასევე დაეფუძნოს მისი ამგები სახელწიფოს ზოგად პოლიტიკას იმ ტერიტორიებთან მიმართებაში, რომელზეც იგი შენდება. საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბარიერის მარშრუტზე, რომელიც მოიცავს ოკუპირებული პალეტინის ტერიტორიაზე „დახურულ ზონაში“ ისრაელის დასახლებების დაახლოებით 80%-ს; დასკვნას იმის შესახებ, რომ „რუქის შესწავლა [...] აჩვენებს, მარშრუტის ხაზი იმგვარად განისაზღვრა, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ზონაში შეტანილი ყოფილი ყოისრაელის მიერ დაარსებული დასახლებების რაც შეიძლება დიდი ნაწილი (მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში)“.<sup>125</sup> სასამართლოს შეფასებით, მისთვის „მინოდებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ 1977 წლიდან ისრაელი აწარმოებს პოლიტიკას და ავითარებს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე დასახლებების შექმნის პრაქტიკას“ უწევის კონვენციის 49-ე მუხლის მეექვსე პუნქტის საწინააღმდეგოდ,<sup>126</sup> რომლის მიხედვითაც: „ოკუპანტ ძალასარ შეუძლია განახორციელოს მისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის დეპორტაცია ან ტრანსფერი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე“ და რაც

ასევე ეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.<sup>127, 128</sup> სასამართლოს-მოსაზრებით, 49-ე მუხლის მეორე აბზაცი, რომელიც ოკუპანტ ძალას ანიჭებს ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებელთა მთლიანი ან ნაწილობრივი ევაკუაციის უფლებას, ეხება შემთხვევას, რომელსაც „მოსახლეობის უსაფრთხოება ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობა მოითხოვს“<sup>129</sup> და რომელიც არ ფარავს ამავე მუხლის მეექვსე აბზაცს, რომლითაც ოკუპანტ ძალას ეკრძალება „განახორციელოს მისი საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაცია ან ტრანსფერი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე“.<sup>130</sup> სასამართლოს მიდგომა, რომ მეექვსე აბზაცში გათვალისწინებული „ტრანსფერი“ არ ეხება მხოლოდ ძალისმიერ ტრანსფერს და მოიცავს ნებაყოფლობით დასახლებებსაც სარწმუნოა, ვინაიდან ამ მუხლის პირველი აბზაცი ხაზს უსვამს სიტყვებს – „ძალისმიერი ტრანსფერი“.<sup>131</sup>

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაკეთებულ მნიშვნელოვან განმარტებებში, იმ ზოგად ჩარჩოში, რომელსაც შეუძლია იქონიოს გავლენა კედლის შეფასების კანონიერებაზე, როგორიცაც მისი ტერიტორიული ადგილმდებარეობა, გავლენა თვითგამორკვევის უფლებაზე და დასახლებები, ეს უკანასკნელი საკითხი, მოცემული საქმის კონტექსტის გათვალისწინებით უფრო სიღრმისეულ განმარტებებს მოითხოვს. სასამართლოს წინაშე წარდგენილ წერილობით მოსაზრებაში, არაერთმა სახელმწიფომ დაადასტურა ისრაელის უფლება და ვალდებულება დაეცვა თავისი მოქალაქეები.<sup>132</sup> მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გაცნობიერებული აქვს „მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის“<sup>133</sup> მნიშვნელობა, მან თავი აარიდა გავრცობილიყო ამ საკითხზე. მიუხედავად სამოქალაქო მოსახლეობის ტრასფერთან მოხმობილი დებულებების მართებულობისა საოკუპაციო ძალის ვალდებულებასთან კავშირში საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცულობის შესაფასებლად, უშუალოდ ამ ბარიერთან მიმართებაში, ბარიერი არარის ამ „ტრასფერის“ საფუძველი, პირიქით – ბარიერის აგებამდე არსებულ დასახლებებს შეეძლოთ სავარაუდოდ სხვა ფაქტორებთან კომბინაციაში მარშრუტის შერჩევის კლიმატი შეექმნათ. საეჭვოა ასევე სასამართლოს

ფორმულირება დასახლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებთან მიმართებაში „ყველა ზომის“ (რომელთა შორის არ არის მაგ. ვალდებულება თვითნებური დასახლებების ევაკუაციის შესახებ)<sup>134</sup> მიღების აუცილებლობის შესახებ ჟენევის კონვენციის 49 წ 66 მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან რომის კონფერენციამ, რომელმაც დაასრულა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (CPI) სტატუტი, განავრცო ეს ნორმა, დაუმატა რა მას სიტყვები „პირდაპირ ან არაპირდაპირ“. ეს ცვლილება ზოგადად მიჩნეული იქნა როგორც მცდელობა გაფართოვებულიყო 49 წ 66 მუხლით პირდაპირ აკრძალული მოსახლეობის ტრასფერი ყველა მიღებულ ზომაზე. ბუნებრივია ისმის შეკითხვა: თუკი ამ ზომებს მოიცავს 49 წ 66 მუხლი, რა საჭირო იყო ამგვარად მისი ფორმულირება რომის სტატუტში?<sup>135</sup> არც ერთი სახელმწიფო არ დატოვებს თავისი მოქალაქეების დიდ რაოდენობას სასიკვდილო თავდასხმებისგან დაუცველს;<sup>136</sup> რამდენიმე ასეული ათასი სამოქალაქო პირის უფლებელყოფა და ტერორისტული დაჯგუფების პირისპირ დატოვება, რომლებსაც რამდენიმე ასეული თავდასხმა აქვთ განხორციელებული და ათასობით ადამიანი ჰყავთ დაზიანებული, აბსოლუტურად შეუთავსებელია სამოქალაქო პირების დაცვასთან, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებთან.<sup>137</sup> ჯერ კიდევ 1995 წლის ისრაელ-პალესტინის შუალედური შეთანხმებამ პირდაპირ განსაზღვრა ისრაელის პასუხისმგებლობა დასახლებების უსაფრთხოებისთვის.<sup>138</sup> ამდენად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტრანსფერის აკრძალვის მიუხედავად, იგი არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ისრაელს არა აქვს უფლება დაიცვას დასახლებები, არამედ პირიქით: დასახლებების უკანონობა არ ჰქმნის ამ დასახლებების დასაცავად განხორციელებულ ზომებს უკანონობა. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებები არ წარმოადგენენ „დაცულ პირებს“ ჟენევის მეოთხე კონვენციით,<sup>139</sup> ისრაელს შეეძლო ზომების მიღება დასახლებების დასაცავად იმ საშუალებების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებს, კანონმდებლის და სამართლის პრინციპების შესახებ.<sup>140, 141</sup>

მელთა გამოყენება ნებადართულია ისრაელისთვის ამ მოვალეობის შესასრულებლად შეზღუდულია იმ საშუალებებით, რომელთა გამოყენების უფლებამოსილებაც მას აქვს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რათა უპასუხოს ლეგიტიმურ სამხედრო საჭიროებას. ამდენად დასახლებების დაცვა ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს, მაგრამ იგი არ უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის პირდაპირ აკრძალული ქმედებებით.<sup>140, 141</sup>

ბარიერმა შესაძლოა განაპირობოს ადგილობრივი მოსახლეობის იმ უფლებებში ჩარევა, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტით არის დაცული, რომელთა შორისაა თავისუფლად გადადგილების უფლება. მართლმასჯულების საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ბარიერი და მასთან ასოცირებული რეჟიმი „ხელს უშლის ოკუპირებული პალესტინის მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლას (ისრაელელთა და მათთან ასიმილირებულ პირთა გამოკლებით), რაც გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის პირველი პარაგრაფით“,<sup>142</sup> რომელსაც ემატება სპეციალური გარანტიები წმინდა ადგილების და სამლოცველოების ხელმისაწვდომობის შესახებ.<sup>143</sup> იმავე სულისკვეთებით, სასამართლო მიუთითა, თუმცა ზოგადად ხელშეშლაზეშრომით, სამედიცინო, განათლების უფლებების განხორციელებაში და საკარისი ცხოვრების დონის მისაღწევად, რომელიც გაცხადებულია საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და გაეროს კონვენციაში ბავშვთა უფლებების შესახებ“.<sup>144</sup> მიმოსვლის თავისუფლების საკითხი განსაკუთრებულ პრობლემად იქცევა ურბანულ ზონებში და მძაფრდება გასასვლელი ჭიშკრების და სამუშაო საათების შეზღუდული რაოდენობის გამო,<sup>145</sup> რამაც შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს შემდეგ საკითხებზე: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ადგილობრივი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო მიწისგან განცალკევება, ჭაბურღლილების და არსებობის საშუალებების, საკვების მოპოვებასთან დაკავშირებული საფრთხის, ჯანდაცვის მომსახურების, ასევე სასკოლო და დაზარალებული მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარე-

ბის, წყლის მოხმარების თვალსაზრისით.<sup>146</sup> სასამართლოს მოსაზრებით, ბარიერი წარმოშობსასევე დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილებისრისკა, ვინაიდან განაპირობებს პალესტინელი მოსახლეობის ზოგიერთი ადგილიდან წასვლას, ჰემნის რა პალესტინელი ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების რეალიზებისთვის სერიოზულ წინაღობას და აქედან გამომდინარე არღვევს ისრაელის ვალდებულებას პატივი სცეს ამ უფლებას.<sup>147</sup>

ჰააგის 1907 წლის რეგლამენტი მეორე სექციაში ანესრიგებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საომარ მოქმედებებს და კერძოდ „მტრისთვის ზიანის მიყენების, ალყის და დაბომბვის სამუალებებს“ და მესამე სექციაში სამხედრო ადმინისტრირების საკითხებს. ჰააგის რეგლამენტის ორი მუხლი (23 (g) და 46)) მოითხოვს ყურადღებას, რომელთა კავშირი მნიშვნელოვანია ისრაელის მიერ ბარიერის აგების გამართლებაზე ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის მოტივით და რომელიც კრძალავს კერძო საკუთრების განადგურებას, მიტაცებას ან კონფისკაციას, გარდა „ომის აუცილებლობის“ შემთხვევისა (მუხლი 23 (g)).<sup>148</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აზრით, იორდანეს დასავლეთ სააპიროზე გამოყენებას ექვემდებარება მხოლოდ მესამე სექცია, ხოლო 23 (g) მუხლი, რომელიც ფიგურირებს მეორე სექციაში არ არის რელევანტური.<sup>149</sup> სასამართლომ არ ახსნა, ტერორიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ, ბარიერის აგების საკითხთან დაკავირებით, რატომ არის მხოლოდ მესამე სექცია გამოყენებადი და მეორე, მათ შორის 23 (g) მუხლი – არა,<sup>150</sup> კერძოდ, შესაძლო იყო თუ არა სიტუაცია კვალიფიცირებულიყო, როგორც „საომარი დაპირისპირება“. 23 (g) მუხლის ბუნდოვნად უარყოფით სასამართლომ უკუაღდო ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელსაც ისრაელის მიერ პალესტინელების მიწების კონფისკაცია შესაძლოა დაფუძნებოდა“ მეორე სექციაზე დაყრდნობით.<sup>151</sup> გაეროს გენერალური მდივნის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარიერის აგებამ „განაპირობა საკუთრების დანგრევა და ჩამორთმევა ჰააგის 1907 წლის რეგლამენტის 46 და 52 მუხლების მოთხოვნათა და უენევის მეოთხე კონვენციის 53-ე კონვენციის მოთხოვნათა საპირისპი-

როდ“.<sup>152</sup> 46-ე მუხლი მოითხოვს, რომ კერძო საკუთრება დაცული უნდა იქნას „და არ უნდა იქნას კონფისკირებული“, 52-ე მუხლი კი ნებას რთავს გარკვეულ ფარგლებში საოკუპაციო ჯარის საჭიროებისთვის ნატურით ჩამორთმევას და მომსახურების განევას.<sup>153</sup> რაც შეეხება უენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლს: „ოკუპანტ ძალას ეკრძალება მოძრავი თუ უძრავი ქონების განადგურება, რომელიც ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად განეკუთვნება კერძო პირებს, სახელმწიფოს ან საჯარო ხელისუფლებას, სოციალურ ორგანიზაციებს და კოოპერატივებს, გარდა შემთხვევისა, როდესაც ეს განადგურება აბსოლუტურად აუცილებელია სამხედრო ოპერაციისთვის“.<sup>154</sup>

ბარიერის კანონიერების შეფასებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს საერთაშორისო სამართალში მოქმედმა საგამონაკლისო ნორმებმა – სამხედრო იმპერატივებმა, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებისგან, თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით ადამიანის უფლებებათა შეზღუდვის შესაძლებლობამ, რომელიც ეფუძნება აუცილებლობის პრაქტიკას და ბოლოს, უფლებას ლეგიტიმურ თავდაცვაზე. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი „შეიცავს ნორმებს, რომლებიც სამხედრო იმპერატივების მხედველობაში მიღების ნებას რთავს“,<sup>155</sup> რომელთა შორის არარის ჰააგის 1907 წლის რეგლამენტის 46-ე მუხლი და უენევის მეოთხე კონვენციის 47-ე მუხლი,<sup>156</sup> თუმცა სასამართლოს მოსაზრებით, უენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლი, რომელიც ქონების განადგურებას ეხება, შეიცავს გამონაკლისო სამხედრო აუცილებლობის შემთხვევაში: იგი „შესაძლოა გამოყენებული იქნას ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგაც, რომლებსაც მოჰყვა ამ ტერიტორიების ოკუპაცია. ამის მიუხედავად, საქმის მასალების მიხედვით, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განხორციელებული, უენევის მეოთხე კონვენციის 53 მუხლით აკრძალული განადგურებები აბსოლუტურად აუცილებელი იყო სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად“.<sup>157</sup> მტკიცებულებათა უკეთ ადმინისტრირებას, მათ სიღრმისეულ შესწავლას შეეძლო მნიშვნელოვანი განზომილებაშეეძინა, ვინაიდან ისრაელის

პოზიციის მიხედვით, ქონების დანგრევა ბარიერის აგების „აუცილებლობას“<sup>158</sup> უკავშირდებოდა. საკონსულტაციო დასკვნიდან არ გამომდინარეობს რომელ მასალებზე დაყრდნობით მივიდა სასამართლო ამ სადავო დასკვნამდე, რის გამოც სასამართლოს ეს ზოგადი კონსტატაცია დაუსაბუთებელია.

აღიარებული განმარტების მიხედვით, აუცილებლობა რამდენიმე ელემენტს უნდა სცემდეს პასუხს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სამხედრო აუცილებლობა, რომლებსაც იურიდიულად სავალდებულო ტექსტები შეიცავს, ვერასდროს გაამართლებს იმ ქმედებებს, რომლებიც იმპერატიულად აკრძალულია. მაგ. წამებისა და სხვა არაპუმანური ღირსების შემლახველი მოპყრობა აკრძალულია ყველა შემთხვევაში და არასოდეს არ შეიძლება იქნას გამართლებული სამხედრო აუცილებლობით,<sup>159</sup> ოკუპანტის ძალის წინაშე მდგარი აუცილებლობა შესაძლოა მერყეობდეს გარემოებების მიხედვით;<sup>160</sup> მესამე ტესტი შეისწავლის საფრთხეზე აუცილებელი საპასუხო ქმედების ადექვატურობას და ეფექტიანობას;<sup>161</sup> მეოთხე უკავშირდება თანაზომიერებას: „თუნდაც ოკუპანტ ძალას ჰქონდეს შესაძლებლობა აჩვენოს სამხედრო ოპერაციისგან გამომდინარე აუცილებელი მდგომარეობის არსებობა, და რომ გათვალისწინებული ზომა იყოს ადექვატური და ეფექტიანი ოკუპანტი ძალის საწინააღმდეგო საფრთხის საპასუხოდ, კანონით დაცული სხვა ინტერესები უნდა იქნას ასევე მხედველობაში მიღებული“. ამასთან თუკი ოკუპანტი ძალის მოქმედება ახდენს ზეგავლენას ოკუპირებულ მოსახლეობაზე არათანაზომიერი სახით, ოკუპანტ ძალას ექმნება ვალდებულება იპოვოს აღტერნატიული ზომა, რომელიც შეიძლება იყოს ნაკლებად ეფექტიანი, მაგრამ საშუალებას მისცემს უკეთ დაიცვას მოსახლეობის ინტერესები“.<sup>162</sup> ოლოსრჩება კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული ზომა ყველა ინტერესის მხედველობაში მიღების შემდეგ: „გადაწყვეტილება ოკუპანტი ძალის ქმედებების და პოლიტიკის კანონიერების შესახებ უნდა განხორციელდეს გონივრულად ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაციის მხედველობაში მიღებით და იმის შემონმების შემდეგ, რომ არ არსებობს არავითარი სხვა პრაქტიკული გამოსავალი იმავე სამხედრო მიზნის მისაღწევად ან უსაფრთხოების აუცი-

ლებლობის დასაკმაყოფილებლად. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ადექვატურ პროცედურას, რომლის განმაღლობაშიც მოსახლეობის ინტერესები ყურადღებით იქნა შესწავლილი კომპეტენტური ორგანოების მიერ“.<sup>163</sup> მოცემულ შემთხვევაში ამ პირობათა არსებობა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ არ ყოფილა შესწავლილი.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთი კონვენცია, მათ შორის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ასევე შეიცავს დებულებებს ზოგიერთ იმ უფლებათაგან გადახვევის შესახებ, რომლებსაც შეიცავს კონვენცია.<sup>164</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია ბარიერის კანონიერების თვალსაზრისით, არის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომლის მუხლი 4 ითვალისწინებს უფლებების შეზღუდვას კანონით განსაზღვრული წესით. სასამართლომ განმარტა, რომ „ეს შეზღუდვები არა მხოლოდ უნდა ემსახურებოდეს ნებადართულ მიზნებს, მაგრამ ასევე უნდა იყოს აუცილებელი, რომ მიაღწიოს ამ მიზნებს“.<sup>165</sup>

სასამართლოს აზრით, „საფრთხე, რომელზეც საუბრობს ისრაელი, არ ჰქმნის ჰქმანიტარული სამართლის ინსტრუმენტების და უფლებების დაცვის გამოუყენებლობის პიპოთებას“.<sup>166</sup> სასამართლო დაკონკრეტების გარეშე შემოიფარგლა მითითებით, რომ საქმის მასალების მიხედვით, იგი არ არის დარწმუნებული, რომ ისრაელის მიერ მითითებული უსაფრთხოების მიზნებისკენ სწრაფვა საჭიროებდა ბარიერის შერჩეულ მარშრუტს;<sup>167</sup> ბარიერის მარშრუტიდა მასთან ასოცირებული რეჟიმი, „სერიოზულად არღვევს ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე პალესტინელთა მრავალ უფლებას იმის გარეშე, რომ შესაძლებელი იყოს მარშრუტიდან გამომდინარე ეს დარღვევები გამართდეს სამხედრო იმპერატივებით ან ეროვნული უშიშროების ან საჯარო წესრიგის აუცილებლობით“.<sup>168</sup> აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბარიერის აგება „წარმოადგენს ისრაელის მიერ სხვადასხვა

ვალდებულების დარღვევას, რომლებიც მას ეკისრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტების მიხედვით“.<sup>169</sup>

რაც შეეხება თანაზომიერების პრინციპის მოქმედებას, მას „არ შეუძლია გაამართლოს ზომა, რომელიც თავისთავად უკანონოა და ლოგიკურად იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც „აუცილებელია“,“<sup>170</sup> თუმცა როგორც მოსამართლე კოიმანსი (Kooijmans) აღნიშნავს მართლებულად, მოცემულ შემთხვევაში, მართლმართლების საერთაშორისო სასამართლო არ დაეყრდნო თანაზომიერების პრინციპს, არადა უნდა დაყრდნობოდა.<sup>171</sup> თანაზომიერების პრინციპი რელევანტურია ასევე ლუგიტიმური თავდაცვის (რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ) ფარგლებში მიღებული ზომის შესაფასებლად, თანაზომიერება ზღუდავს ამ ზომებს მინიმალურ აუცილებლობამდე თავდასხმის მოსაგერიებლად.<sup>172</sup> თანაზომიერებს შეფასება უნდა მოიცავდეს დაცვის ალტერნატიული ზომების შესწავლას.<sup>173</sup>

მართლმართლების საერთაშორისო სასამართლოს არ დაუსაბუთებია საქმის რომელი მასალების საფუძველზე მივიდა სადაც დასკვნებამდე, კერძოდ რომელი მოსაზრებები მიიღომ ხედველობაში, მათ შორის სამხედრო „აუცილებლობის“ შესაფასებლად.<sup>174</sup> პოლიტიკური რუქა იძლევა ტერიტორიული კუთვნილების საკითხის განსაზღვრის შესაძლებლობას, მაგრამ მას არ შეუძლია გასცეს პასუხი უსაფრთხოებაზე. სასამართლოს გააჩნდა მტკიცებულებები მხოლოდ შერჩეული მარშრუტის, მაგრამ არა მისი მარშრუტის აუცილებლობის შესახებ. სასამართლოს არ შეუფასებიარამდენად საკმარისი იყო მის ხელთ არსებული მტკიცებულებები ამგვარი „აუცილებლობის“ შესაფასებლად. განსაკუთრებით სუსტია საკონსულტაციო დასკვნის ის ნაწილი, სადაც მართლმართლების საერთაშორისო სასამართლო აფასებს „აუცილებლობის მდგომარეობას, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით შეიძლება იყოს თუ არა მოხმობილი ამ კონვენციებთან დაკავშირებით, როგორ მიღებული ზომების ან გადაწყვეტილებების უკანონობის გამომრიცხავი საფუძველი“.<sup>175</sup> ამერიკელმა მოსამართლემ თომას ბურგენტალმა (M. Thomas Buergenthal) აღ-

ნიშნა, რომ მართლმართლების საერთაშორისო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ყველა მნიშვნელოვანი გარემოების შესწავლა: „მწვანე ხაზის მეორე მხრისგან მომდინარე თავდასხმები და მათი გავლენა ისრაელსა და მის მოსახლეობაზე არასოდეს ყოფილა რეალურად შესწავლილი სასამართლოს მიერ და არც საქმის მასალებში, რომლებიც მიწოდებული იქნა გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის მიერ, რომელსაც დიდილიად ეყრდნობა სასამართლო თავისი მოსაზრებებში“.<sup>176</sup> ამდენად, სასამართლომ „თავისი მოსაზრება დააყრდნო ექსკლუზიურად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინტერპრეტაციას;“<sup>177</sup> რომ საკონსულტაციო დასკვნას ნათლად აკლიაფაქტების შესწავლა, რომლებიც შექმნიდა შესაძლებლობას ნარმოჩენილიყო თუ რატომ არის ისრაელის ახსნა-განმარტებები არა-საკმარისი; რომ სასამართლომ თავი შეიკავა მოეხდინა ისრაელის არგუმენტების ნამდვილი უარყოფა; მან არ შეისწავლა ბარიერის გარკვეულ მონაკვეთებთან დაკავშირებული ფაქტები, თავდაცვის იმპერატივები, რომლისთვისაც უნდა ეპასუხსა ბარიერს და მასთან დაკავშირებული ტოპოგრაფიული მოსაზრებები.<sup>178</sup> ამ ნაკლის მიუხედავად, სასამართლოსთვის უდავოა, რომ „ისრაელი უნდა გაუმჯობეს ძალადობის განურჩევლად ყველა აქტს, უამრავს და მომაკვდინებელს, რომლებიც სამოქალაქო პირების წინააღმდეგ არის მიმართული. მას აქვს უფლება და ვალდებულებაც კი უპასუხოს მათ, რათა დაიცვას მისი მოქალაქეების სიცოცხლე“.<sup>179, 180</sup> ამასთან „საქმის მასალების მიხედვით“, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ბარიერის აშენება ნარმოდებილი მარშრუტით ისრაელის ინტერესების დაცვის ერთადერთ საშუალებას ნარმოადგენს იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომლითაც იგი ამართლებს მშენებლობას“.<sup>181</sup> სასამართლოს არ დაუზუსტებია ბარიერის გარდა სხვა რა სახის ისეთივე ეფექტიანი საშუალებები შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული ტერორიზმთან საბრძოლველად. ამდენად, სასამართლომ აღიარა ისრაელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხე და ისაუბრა დაცვის ალტერნატიულ და სავარაუდო საშუალებათა გამოყენების საკითხზე ამ საშუალებათა დაზუსტებისდა უსაფრთხოებას-

თან დაკავშირებული საკითხების სამხედრო ექსპერტიზის გარეშე.

კედლების კანონიერების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ლეგიტიმური თავდაცვა – პრობლემა, რომელიც მიიჩნევა საერთაშორისო სამართალში როგორც „განსაკუთრებულად კომპლექსური და წინააღმდეგობრივი საკითხი, ერთდროულად როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით“.<sup>182</sup> „მანერა, რომლითაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო დაკავდა ლეგიტიმური თავდაცვით საკონსულტაციო დასკვნაში, მრავალი კრიტიკის პროვოკირება მოახდინა“<sup>183</sup> საკითხის არასრულფასოვანი ანალიზის გამო. 1995 წლის სამშვიდობოშეთანხმება აღიარებს ისრაელის უფლებას „ისრაელთა და დასახლებების გლობალურ უსაფრთხოებაზე“ და უფლებას ანიჭებს ისრაელს „მიიღოს ყველა საჭირო ზომა ამ ვალდებულების უზრუნველსაყოფად“.<sup>184</sup> ოსლოს შეთანხმებასა და საგზაო რუქაში, ისრაელმა და პალესტინამ აღიარეს, რომ თითოეულს ჰქონდა უფლება მიეღო ყველა საჭირო ზომა ტერორიზმზე რეაგირებისა და პრევენციისთვის.<sup>185</sup> სასამართლომ მოიშველია გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება, რომელიც მიუთითებს, რომ ისრაელისთვის ბარიერის აგება შეესაბამება გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს, ასევე მის განუყოფელ უფლებას ლეგიტიმურ თავდაცვაზე და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს 1368 (2001) და 1373 (2001).<sup>186</sup> ეს რეზოლუციები, რომლებიც ტერორიზმთან პრძოლას ეხება და მიღებული იქნა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, მიუთითებს ლეგიტიმური თავდაცვის უფლებაზე.

საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებს ეკრძალებათ საკუთარი თავისთვის თავად განახორციელონ მართლმსაჯულება. ლეგიტიმური თავდაცვის უფლება წარმოადგენს გამონაკლისს ამ წესისან.<sup>187</sup> ქარტიის 51 მუხლი ამ უფლებას აწესებს, როგორც ბუნებრივ განუყოფელ უფლებას, რომლის მსხვერპლი უფლებამოსილია ბუნებრივად მოახდიოს რეაგირება აგრესიაზე. საერთაშორისო სამართალი ადასტურებს, რომ „სახელმწიფოს არ შეუძლია განახორციელოს სამხედრო ოპერაცია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, როდესაც არსებობს თავდასხმის ჰიპოთეტური შესაძლებლობა და ჯერ არ მიმდინარეობს“...<sup>188</sup>

ქარტიის 51-ე მუხლი არ არის კარტბლანში თუნდაც ტერორიზმთან საბრძოლველად.<sup>189</sup> სიტყვათა წყობით, იგი იძლევა შეზღუდულ ნებართვას, რათა „თავი დაიცვა შეიარაღებული თავდასხმისგან სანამ უშიშროების საბჭო ჩაერევა მშვიდობისა და უსაფრთხოებისუზრუნველსაყოფად და აღსადგენად“.<sup>190</sup> ეს ტექსტი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ განმარტებული იქნა არაერთგზის.<sup>191</sup> შეგვიძლია გავიხსენოთ სასამართლოს ფორმულირება ცნობილ საქმეში *Activité militaire et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci*: „ეს უფლება შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული სახელმწიფო შეიარაღებული აგრესის მსხვერპლია(...), რომლის ქვეშაც შეგვიძლია მივიჩნიოთ არა მხოლოდ რეგულარული საჯარისო ძალების მოქმედებები, არამედ ასევე სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით პანდიტური ან შეიარაღებული ჯგუფების გაგზავნა, არარეგულარული ან დაქირავებული ძალები, რომლებიც მონაწილეობენ შეიარაღებულ მოქმედებებში სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ სიმძიმით, რომელიც რეგულარული საჯარისო ძალების მიერ განხორციელებული რეალური შეიარაღებული თავდასხმისან არსებითად ამგვარი მოქმედების არსებითად ჩარევის ექვივალენტურია“.<sup>192</sup> ეს უფლება გულისხმობს მის წარმოებას აგრესორი მტრის ტერიტორიაზე, თუკი იგი პასუხობს „აუცილებლობის კრიტერიუმებს და გამოყენებული ზომების თანაზომიერებას, რომლებიც მიღებულია ლეგიტიმური თავდაცვის სახელით“.<sup>193, 194</sup> იგი მოითხოვს შესაძლო სამოქალაქო დანაკარგების ბალანსირებას: „თუკი უდანაშაულო სიცოცხლის დაკარგვა ან სამოქალაქო საკუთრების დანგრევა სცდება ობიექტის მნიშვნელობის პროპორციას, თავდასხმაზე უნდა იქნას ხელი აღებული“.<sup>195</sup> 1949 წლის 12 აგვისტოს უენევის კონვენციის 1977 წლის 8 ივნისის საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში მსხვერპლთა დაცვის დამატებითი ოქმის (*Protocole I*) 51 §5 b)მუხლი ყურადღებას ამახვილებს: „თავდასხმებზე, რომლებისგანაც მოველით, რომ გამოიწვევს სამოქალაქო მოსახლეობაში ადამიანის სიცოცხლის დანაკარგს, სამოქალაქო პირთა დაჭრას, სამოქალაქო ხასიათის ქონების დაზიანებას ან ამგვარი

დანაკარგის ან დაზიანების კომბინირებას, რომელიც იქნება გადაჭარბებული მოსალოდნელ კონკრეტულ და პირდაპირ სამხედრო უპირატესობასთან მიმართებით“. ამდენად, „შეიარაღებული კონფლიქტისას, თანაზომიერების ცნება ეყრდნობა ფუნდამენტურ პრინციპს იმის შესახებ, რომ საომარ ძალებს არ გააჩნიათ საშუალებათა უსაზღვრო არჩევანი მიაყენონ მტერს ზიანი“.<sup>196</sup> საჯარისო ინტერვენცია უნდა მიუახლოვდეს დასასრულს, როგორც კი „შეიარაღებულ თავდასხმაზე“ მიმდინარე პასუხი გასცდება ლეგიტიმური თავდაცვის ზღვარს.<sup>197</sup>

საკონსულტაციო დასკნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაფიქსირებული ხედვა მრავალი ავტორისათვის „ძალინ პრობლემურია“.<sup>198</sup> არაურთმა მათგანმა დაწერა, რომ ქარტიის 51-ე მუხლის შეზღუდული კითხვა აღარ პასუხობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მდგომარეობას;<sup>199</sup> რომ სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა იურიდიული პრობლემის კომპლექსურობა, კერძოდ ლეგიტიმური თავდაცვა არასახელმწიფოაქტორების სანინააღმდეგოდ. სასამართლომ პირველ რიგში გაიხსენა, რომ „ქარტიის 51-ე მუხლი აღიარებს [...] ლეგიტიმური თავდაცვის ბუნებრივი უფლების არსებობას შეიარაღებული აგრესის შემთხვევაში ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოზე, [მაგრამ] ისრაელი არ აცხადებს, რომ ძალადობა, რომლიც მსხვერპლიც ის არის მიერება უცხო სახელმწიფოს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელი ახორციელებს კონტროლს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე და რომ როგორც თავად ისრაელი აღნიშნავს, საფრთხე, რომელსაც ის იშველიებს, რათა გაამართლოს ბარიერის აშენება გამომდინარეობს ამ ტერიტორიიდან და არა ამ ტერიტორიის გარედან.<sup>200</sup> ამდენად სასამართლოსთვის ორი სხვადასხვა გარემოებაა ყურადსალები: უცხო „სახელმწიფოსგან“ მომავალი საფრთხის არსებობა და იმ ტერიტორიების კონტროლი, საიდანაც ეს საფრთხე მომდინარეობს. „ამდენად ეს სიტუაცია განსხვავდება უშიშროების საბჭოს მიერ ნამსჯელი 1368 (2001) და 1373 (2001) რეზოლუციებისგან და შესაბამისად ისრაელს არ შეუძლია დაეყრდნოს ამ რეზოლუციებს მისი პრეტენზიების მხარდასაჭერად განახორ-

ციელოს ლეგიტიმური თავდაცვის უფლება. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ქარტიის 51-ე მუხლი არარელევანტურია ამ კონკრეტულ შემთხვევაში“.<sup>201</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ „როდესაც სახელმწიფო აწყდება შიდა საფრთხეს, ის თავს იცავს მისი კომპეტენციის და არა ლეგიტიმური თავდაცვის უფლების ფარგლებში“ და „ეს ანალიზი გადატანილია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ოკუპაციის შემთხვევაზეც, ვინაიდან ოკუპანტი ძალა ახორციელებს ტერიტორიულ იურისდიქციას“.<sup>202</sup> საერთო ჯამში, სასამართლომ 14 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიჩნია, რომ „ისრაელს არ შეუძლია დაეყრდნოს ლეგიტიმური თავდაცვის უფლებას ან აუცილებლობის მდგომარეობას და შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ბარიერის მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს“.<sup>203</sup>

საქმეში *Plates-formes pétrolières (République islamique d'Iran c. Etats-Unis d'Amérique)*, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა, რომ ლეგიტიმური თავდაცვის უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი იგი კვალიფიცირებულია, როგორც „შეიარაღებული თავდასხმა“. სასამართლომგაიხსენა გადაწყვეტილება საქმეზე *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci*, რომელშიც სასამართლომ გამიჯნა „ძალის გამოყენების ყველაზე მძიმე (რაც წარმოადგენს „შეიარაღებული თავდასხმა“) და სხვა ნაკლებად ბრუტალურ ფორმებს შორის“ (C.I.J. Recueil 1986, p. 101, par. 191), რომ „ინდივიდუალური ლეგიტიმური თავდასხმის შემთხვევაში, ეს უფლება შეიძლება გამოყენებული იქნას, თუკი დაიტერესებული სახელმწიფო შეიარაღებული თავდასხმის მსხერპლი იყო“ (ibid., p. 103, par. 195). შეზღუდული წაკითხვის შემთხვევაში, ლეგიტიმური თავდაცვის უფლება არ ჰქონის სახელმწიფოს მიერ მიღებულ თავდაცვით ზომებს ასიმეტრიული კონფლიქტის დროს, რომელშიც სახელმწიფო დაპირისპირებულია აჯანყებულებთან ან ტერორისტულ ჯგუფებთან,<sup>204</sup> გარდა იმ შემთხვევისა, თუკი აგრესია არ მიეწერება „სახელმწიფოს“. კაროლინის ინციდენტი,<sup>205</sup> რომელიც საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში იურისტების მიერ

დაწესებული სტანდარტის რეფერანსია, მოიცავს არასახელმწიფო აქტორთა მიერ ძალის გამოყენებას. ეს კვალიფიკაცია სასამართლოს მიერ დაემატა ნიკარაგუას საქმეში, რომელშიც მან აღიარა, რომ არარეგულარული ძალების სამხედრო მოქმედება შეიძლება წარმოადგენდეს შეიარაღებულ თავდასხმას, თუკი ისინი გაგზავნილი იქნა სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით და მათი ზომების აქტივობის და მისი ეფექტები, რომელებიც შეიძლება კვალიფიცირებული იქნას შეიარაღებულ აგრესიად.<sup>206</sup>

ავღანეთიდან მომდინარე საფრთხეს, რომლის გამოხატულებაცაა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, საპასუხოდ მოჰყვა სამხედრო ოპერაცია. თუკი ბევრი საუბრობდა თალიბანის მიერ ალქაიდას მხარდაჭერაზე, იგივე ითქმის პალესტინელი ტერორისტების მხარდაჭერაზე ისრაელის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების, ირანის და სირიის მხრიდან. საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლომ შესაბამისი ციტირების გარეშე მიუთითა, რომ ისრაელი საუბრობს არა სხვა სახელმწიფოსგან მომდინარე, არამედ მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან მომდინარე საფრთხეზე, მაშინ როდესაც ისრაელმა ნათლად მიუთითა სასამართლოს წერილობით კომუნიკაციაში, რომ მნიშვნელოვან ტერორისტულ თავდასხმებს კავშირი აქვთ საზღვარგარეთთან და მოახდინა ოთხი ძირითადი პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციის იდენტიფიცირება მიაწერა რა თავდასხმები მიაწერა თითოეულ ჯგუფს: ერთ-ერთი მათგანი – პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია „იღებს ფინანსურ და ლოჯისტიკურ დახმარებას სირიისგას“,<sup>207</sup> ხოლო მეორე, პალესტინური ისლამური ჯიპადი „მხარდაჭერილი და ორკესტრირებულია სირიის, ლიბანის და ირანის მიერ“.<sup>208</sup> ამდენად, „აუსესნელია რატომ ნიშნავს ამგვარი მხარდაჭერა, რომ ისრაელის საფრთხე მომდინარეობს მხოლოდ ისრაელის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებისგან“.<sup>209</sup>

სახელმწიფოთა ადაპტირება ტერორიზმის თანამედროვე საფრთხის და მისი საშუალებების წინააღმდეგ ავალდებულებს სახელმწიფოებს მის საპასუხოდ ადექვატური საშუალებების ქონას. საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლოს სათანადო ზრუნვა ამ

საკითხისადმი არ სჩანს. სასამართლოს მიდგომა შეიძლება დანახული იქნას როგორც პალესტინის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, გათამამება, იმაზე დაყრდნობით, რომ ისრაელი აკონტროლებს ამ ტერიტორიებს. სასამართლოს სიჩუმე პალესტინელთა ვალდებულებაზე, ამგვარი ჩანაწერის არარსებობამ შეჰქმა გარკვეული დისბალანსი ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლის უფლებებსა და ვალდებულებებს შორის, მაშინ როდესაც ეს საკითხი კონფლიქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

სასამართლოს მზრუნველობით უნდა გამოეკვლია სამშვიდობო შეთანხმებები ბარიერის კანონიერების შესაფასებლად<sup>210</sup> და კერძოდ ისრაელის უფლება თავდაცვაზე, რომელიც პირდაპირაა მითითებული 1995 წლის შუალედურ შეთანხმებაში: „ისრაელი გააგრძელებს პასუხისმგებლობის შესრულებას თავდაცვაზე საგარეო საფრთხეების საწინააღმდეგოდ... ასევე პასუხისმგებლობას ისრაელელთა და დასახლებების ზოგად უსაფრთხოებაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას საშინაო უსაფრთხოება და საჯარო წესრიგი, და ექნება ყველა უფლებამოსილება, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უპასუხოს ამ პასუხისმგებლობას“.<sup>211</sup> ლეგიტიმური თავდაცვის უფლება ასევე აღიარებულია შეთანხმებებში, რომლებიც წებას რთავს მიღებული იქნას პრევენციის ყველა აუცილებელი ზომა და პასუხი იქნას გაცემული ტერორიზმისთვის.<sup>212</sup> როგორც ოსლოს შეთანხმება, ისე 1995 წლის შეთანხმება ახდენს მითითებას „უფლებებზე“, „ვალდებულებებსა“ და „პასუხისმგებლებზე“.<sup>213</sup> სასამართლომ მიუთითა საგზაო რუქაზე, მაგრამ არსებითი ვალდებულებებზე მითითების გარეშე;<sup>214</sup> ასევე არ მოუშველიებია ოსლოს შეთანხმება და საგზაო რუქა სტატუსის შენარჩუნების, ანტიტერორიზმის ან ლეგიტიმური თავდაციის საკითხთან დაკავშირებით.<sup>215</sup>

ტერორიზმი არღვევს საერთაშორისო პუმანიტურული სამართლის ფუნდამენტურ უფლებებს – სამოქალაქო პირთა დაცვას ძალადობისგან. უენევის კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს სამოქალაქო პირთა პუმანურ მოპყრობას და კრძალავს „ზიანის მიყენებას სიცოცხლის და სხეულისთვის, მკველობას, დასახირებას, სასტიკ მოპყრობას

და წამებას”,<sup>216</sup> რაც ისრაელის დასახლებელი გვითავს კონფლიქტის მიზანის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს უნივერსიტეტის კონვენციის 1977 წლის 8 ივნისის დამატებითი ოქმის (Protocol I), 51 §2 მუხლი აცხადებს: სამოქალაქო მოსახლეობა და სამოქალაქო პირებს გააჩნიათ ზოგადი დაცვა სამხედრო ოპერაციებისგან მომდინარე საშიშროებების მიმართ. იმისათვის, რომ ეს დაცვა ეფექტიანი იყოს, მითითებული წესები, რომელიც ემატება საერთაშორისო სამართლის გამოსაყენებელ ნორმებს, უნდა იქნას დაცული ნებისმიერი გარემოების არსებობისას.<sup>217</sup> მართლმართულების საერთაშორისო სასამართლომ სამოქალაქო პირების დაცვა განსაზღვრა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის „დაურღვეველი“ წესი: „ეს ფუნდამენტური წესები ავსებს ყველა სახელმწიფოს, მოახდინეს თუ არა კონვენციის ინსტრუმენტების რატიფიცირება, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ სართაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაურღვეველ წესებს“.<sup>218</sup> პალესტინა დასთანხმდა უნივერსიტეტის კონვენციის და 1989 წლის ოქმების გამოყენებას,<sup>219</sup> ასევე დაადასტურა ეს ვალდებულება, დაეთანხმა რა 1995 წლის შუალედურ შეთანხმებით დაცვა „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები და სამართლის უზრუნველყოფა“; უშიშროების საბჭო აძლიერებს ასევე პალესტინის ანტიტერორისტულ პასუხისმგებლობას; შემდგომი რეზოლუციები ადასტურებს, რომ რეზოლუცია 1373 გამოიყენება არასახელმწიფო აქტორთა მიმართ – სამოქალაქო პირები დაცული იქნას დამოუკიდებლად მათი ლოკაციისა.<sup>220</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მართლმართულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა

დანორმების დარღვევის შესახებ მრავალ კრიტიკას იმსახურებს, უპირტესად მისი დაუსაბუთებლობის გამო, იგი გვეხმარება განისაზღვროს ზოგადი ჩარჩო, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული „პრობლემური ბარიერების“ შეფასებისთვის. მოცემულ საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლოს მითითებული დაცვის გამოყენებული „პრობლემური ბარიერების“ შეფასებისთვის მიმართ (კვიპროსი, დასავლეთ საპარა, საქართველო) შეიძლება დავასკვნათ საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების უგულებელყოფა ამ ტერიტორიებზე კედლების/ბარიერების აგების გამო. თითოეულ ამ სამ შემთხვევაში, მშენებელი სახელმწიფოები აგებენ კონსტრუქციებს სხვა სახელმწიფოს ან ერთეულის ტერიტორიაზე (დასავლეთ საპარა) – ქმედება, რომელიც *a priori* არ შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს. თითოეულ ამ სამ შემთხვევაში, მშენებელი სახელმწიფოები ახორციელებენ ეფექტიან კონტროლს ამ ტერიტორიებზე, რაც წარმოადგენს მათი საერთაშორისო პასუხისმგებლობის საფუძველს საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევისთვის. სამივე შემთხვევაში, უსაფრთხოება/ლეგიტიმურ თავდაცვასთან დაკავშირებული სამხედრო მოსაზრებები ბარიერის აგების „აუცილებლობის“ და შესაბამისად მათი ქმედებების საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებთან შესაბამისობის დასასაბუთებლად არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა წამოწეული; იგივე ითქმის ადამიანის უფლებათა შეზღუდვის თანაზომიერების საკითხთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ გარემოებებს მივყავართ დასკვნისკენ საერთაშორისო სამართლის ნორმების და პრინციპების დარღვევის შესახებ ბარიერების აგების გამო თურქეთის მიერ კვიპროსის, მაროკოს მიერ დასავლეთ საპარას და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე.

<sup>1</sup> 50-იანი წლებიდან მოყოლებული, საზღვარი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ოფიციალურად დახურული იყო, პერლინის გარდა 1945-1961 წლებში, გერმანიის აღმოსავლეთ გერმანიის 3,5 მილიონი ადამიანი გაიქცა დასავლეთით. არტო 1961 წლის 13 აგვისტოდან დასავლეთ პერლინმა მიიღო 160 000 დევნილი. 1961 წლის 12 და 13 ივლისს სამხედროებმა დაიწყეს კედლების შენება. 13 აგვისტოს სამუშაოები ინტენსიუ-

რი გახდა და დილის 2 საათისთვის კედლის აგება დაიწყო: 14500 სამხედრომ მოახდინა ქუჩების ბლოკირება რეინის ჯებირებით. 13 მეტრო სადგური, 81 გასასვლელიდან 69 იქნა ბლოკირებული. *Rioux Ch., Le rideau de fer, Ledevenir.com, 2009 (10, 26), <http://www.ledevenir.com/international/europe/273593/le-rideau-de-fer>, [19.10.2015]*.

- 2 *Borger J., Security fences or barriers to peace? The US segregation of Sunni and Shia areas of Baghdad marks a resurgent trend, The Guardian.2007 (4, 27).*
- 3 ჯერ კიდევ 1949 წლის ოქტომბერში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პირველმა კანცლერმა კონრად ადენაუერმა 1949-1963 წლებში თქვა: „საბჭოთა ზონაში არ არსებობს გერმანელი ხალხის თავისუფალი ნება. რაც ხდება, არ არის ხალხის ნება და არც ლეგიტიმიცია აქვს მას (...)“. *Cahn, J-P., Allemagne 1945-1961, De la "catastrophe" à la construction du Mur, Ed. P U DU Septentrion, 2009, 67.*
- 4 *Novosseloff A., et Neisse F., La construction des murs, ou la mondialisation à rebours, Questions internationales, N°33, 2008 (9-10), 100.*
- 5 ბრანდებურგის ჭიშკარი (გერმანულად: „Brandenburger Tor“) აგებული იქნა 1734 წელს კარლ გოთარდ ლანგანის მიერ პრუსიის მეფე ფრედერიკ ვორ მეორესთვის, რომელიც ბერლინის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმეა. იგი მდებარეობს ძველი ქალაქის დასაცლეთით და სახელმწიფოს სიმბოლოცაა. დასავლეთის ლიდერებს (მაგ. პრეზიდენტი ჯონ ვიცჰერალდი 1963 წელს) ტრადიციად ექცათ აქ თავიანთი სიტყვის ნარმოთქმა. *Brandenburg Gate, berlin.barwick.de,<http://berlin.barwick.de/sights/famous-places/brandenburg-gate.html>, [11.12.2014].*
- 6 *Remarks on East-West Relations at the Brandenburg Gate in West Berlin, reaganfoundation.org, 1987 (6, 12). <http://www.reaganfoundation.org/pdf/Remarks\_on\_East\_West\_RELations\_at\_Brandenburg%20Gate\_061287.pdf>, [16.2.2015].*
- 7 *Dumont G.-F., Mur de Berlin: vie, mort et héritage géopolitique, diploweb.com, 2009 (18, 10), <http://www.diploweb.com/Mur-de-Berlin-vie-mort-et-heritage.html>, [24.3.2015].*
- 8 *Julien Saada მითითებულია Hachey I., Le business des murs, cyberpresse.ca, 2009 (9, 26), <http://www.cyberpresse.ca/international/dossiers/la-victoire-des-murs/200909/24/01-905207-le-business-des-murs.php>, [12.5.2015].*
- 9 *Legare-Tremblay, J.-F., Un monde emmuré, l'actualité.com, 2009 (10, 26), <http://www2.lactualite.com/blogue-monde/2009/10/26/un-monde-emmure/>, [1.5.2015].*
- 10 *Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 23.*
- 11 თურქეთმა კვიპროსში შექრა ახსნა თურქი თემის ინტერესების დაცვით, მოიპველია რა 1960 წლის საგარანტიო ხელშეკრულება კვიპროსს, საბერძნების, თურქეთს, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიას შორის, რაც არ იქნა გაზიარებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. არავითარისხვა არგუმენტი შემდგომში კედლის აგებასთან დაკავშირებით თურქეთის მიერ არ ყოფილა მოხმობილი. *Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 51; Kassimeris Ch., Greek Response to the Cyprus Invasion, Small Wars and Insurgencies, Vol.19.2, (6, 2008), 258. Ministry of Foreign Affairs, How Did the Situation Change after 1974? <http://www.mfa.gov.tr/how-did-the-situation-change-after-july-1974-\_en.mfa>, [10.12.2014].*
- 12 *Gueriviere J., Des murs et des hommes, La grande muraille du Maroc, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 114.*
- 13 დასავლეთ საპარას ტერიტორია 1963 წლიდან შეტანილია გაეროს სპეციალურ სიაში, რომელზეც უნდა განხორციელდეს თვითგამორკვევის უფლების

რეალიზება. კედელიაიგო დასავლეთ საპარელთა განმანთავისუფლებელი მოძრაობის, ფრონტ პოლისარიოს თავდასხმების მოსაგერიებლად. ტერიტორია მაროკოს მიერ ოკუპირებული იქნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 1975 წლის 16 ოქტომბრის საკონსულტაციო დასკვნის შინაარსის იგნორირებით, გამოტანილი მეორე დღეს, რაც დაგმობილი იქნა უშიშროების საბჭოს 1975 წლის 6 ნოემბრის რეზოლუციით 380 (1975).

*Novoseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 97; Les Nations Unies et la décolonisation, Territoire non autonomes, <<http://www.un.org/fr/decolonization/nonselfgovterritories.shtml#foot1>> [10.11.2014], Ramdani R., Aux frontières du réel, TelQuel Online, n° 248, (11, 18-24) 2006; Discours d'Hassan II(16 octobre 1976), Annuaire de l'Afrique u Nord, 1975, vol. XIV, 1980-985.*

<sup>14</sup> Rapport du Secrétaire général établi en application de la résolution ES-10/13 de l'Assemblée générale, A/ES-10/248, 24.11.2003.

<sup>15</sup> Warschawski M, Des murs et des hommes, Le mur et la bombe, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, 2004 (3), N° 67, 136.

<sup>16</sup> 2010 წლის იანვრისთვის, 409 კმ, ანუ მთლიანი სიგრძის 56,6% განხორციელდა; 66 კმ, ანუ 9,1%-ის მშენებელობა მიმდინარეობდა; 248 კმ ანუ 34,3%-ის მშენებლობა ჯერ არ იყოს დაწყებული. რაც შეეხება იერუსალიმს, დაგეგმილი 122 კმ-დან 78,5, ანუ 64,3 % დასრულებული ყო, მიმდინარეობდა 15,6 კმ, ანუ 12,7%-ის მშენებლობა მთლიანი 28,2 კმ,-დან, ანუ დარჩენილი 23 %-იდან. B'Tselem, The Separation Barrier – Statistics, <[http://www.btselem.org/separation\\_barrier/statistics](http://www.btselem.org/separation_barrier/statistics)>, [11.12.2014].

<sup>17</sup> Ministry of Foreign Affairs of Israel (a), Sauver des Vies: La clôture antiterroriste d'Israël, mfa.gov.il, 2004 (10, 15), <[http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000\\_2009/2004/10/Sauver+des+Vies+-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm](http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies+-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm)>, [28.11.2015].

<sup>18</sup> ისრაელის სახელმწიფომ ქალაქის პატარა ნაწილი დაიკავა 1948 წელს და 1967 წლის ომის დროს მოახდინა მისი ოკუპირება, გამოაცხადა რა 1980 წელს დაერთიანებული იერუსალიმი ისრაელის მარადიულ დედაქალაქად – გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისოდ არ არის აღიარებული (Chagnolaud J.-P., Un environnement régional instable et hostile, Questions internationales, N°28, 2007 (11-12), 40. 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუცია 181 შესაბამისად, რომელიც იერუსალიმის გაყოფას ეხება, საერთაშორისო სპეციალური რეჟიმის და გაეროს ადმინისტრირების ქვეშ განსაზღვრული იქნა *corpus separatum*, მაგრამ 1947-1948 წლის ომმა და შემდგომმა მოვლენებმა მის რეალიზებას. Exposé écrit déposé par la Palestine, 2004 (1, 30), § 91, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1554.pdf>>, [12.12.2014]). 2004 წლის საკონსულტაციო დასკვნაში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ასევე მიუთითა „ქალაქ იერუსალიმისთვის განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმის შესახებ“. Conséquences juridiques de l'édition d'un mur dans le territoire Palestinien occupé, Avis consultatif, § 71, [9.7.2004], <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

<sup>19</sup> Ministry of Defence, Israel's Security Fence, securityfence.mod.gov.il, <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/purpose.htm>>, [1.4.2015]

<sup>20</sup> ბარიერების აგება დაიწყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ფართომასშტაბიანი ომის შემდეგ, რასაც რუსეთის ფედერაცია ხსნიდა საკუთარი მოქალაქეების დაცვის საჭიროებით, რაც არაერთხელ იქნა დაგმობილი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. მანამდე, რუსეთის ფედერაცია აქტიურად დგამდა ნაბიჯებს, ამზადებდა რა საფუძველს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისათვის. მავთულებლართებს რუსეთის ფედერაცია საქართველოსთან ე.ნ. სამხრეთ ოსეთის „საზღვრად“ განიხილავს. La hauteur du mur envisa-

gé entre l'Abkhazie et la Géorgie, [courrierinternational.com](http://www.courrierinternational.com/breve/2008/09/08/la-hauteur-du-mur-envisee-entre-l-abkhazie-et-la-georgie), 2008 (9, 8), <<http://www.courrierinternational.com/breve/2008/09/08/la-hauteur-du-mur-envisee-entre-l-abkhazie-et-la-georgie>>, [7.12.2015].; Conseil de L'Europe, Assemblée Parlementaire, Conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, Résolution 1633 (2008). Le 2 octobre 2008 (35<sup>e</sup> séance), §7; მავთულხლართები და დათმობების პასუხად, ტაბულა, <<http://www.tabula.ge/ge/story/72682-mavtulxartebi-datmobebebis-pasuxad>>, [12.11.2014].

- <sup>21</sup> Gadinis S., Three Pathways to Global Standards: Private, Regulator, and Ministry Networks, *The American Journal of International Law*, Vol. 109, No. 1 (1, 2015), 1-57.
- <sup>22</sup> ქურდაძე ი., საქართველო და საერთაშორისო სამართალი (სტატიათა კრებული), საყოველთაო და რეგიონული საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საქართველო, 2001, 36.
- <sup>23</sup> Shaw M (N.), International law, Cambridge, Cambridge university press, 2003 (V éd.), 409.
- <sup>24</sup> Oppenheim's International Law(eds. R. Y. Jennings and A. D. Watts), 9th edn, London, 1992, chapter 5; R. Y. Jennings, The Acquisition of Territory in International Law, Manchester, 1963; J. H. W7.Verzijl, International Law in Historical Perspective, Leiden, 1970, vol. 111, 297 ff.; Nguyen QuocDinh, P. Daillier and A. Pellet, Droit International Public, 7th edn, Paris, 2002, 464 ff; 529 ff.; M. N. Shaw, 'Territory in International Law: 13 Netherlands YIL, 1982, 61; N. Hill, Claims to Territory in International Law and Relations, London, 1945; J. Gottman, The Significance of Territory, Charlottesville, 1973; S. Akweenda, International Law and the Protection of Namibia's Territorial Integrity, The Hague, 1997; S. P. Sharma, Territorial Acquisition, Disputes and InternationalLaw, The Hague, 1997, and W. Schoenborn, 'La Nature Juridique du Territoire', 30 HR, 1929, 85. See Oppenheim's International Law, 563, Ibid.
- <sup>25</sup> გარემოსდაცვითი უფლებები ზღუდავს ამ ტერიტორიულ პრეროგატივას, რისი დადასტურებაცაა 1938 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *TrailSmelter* კანადასა და აშშ- (Recueil des sentences arbitrales 3, 1911). *To-muschat Ch.*, Les murs et le droit international, Murs et Responsabilité des Etats, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international). PARIS: EDITIONS A.PEDONE, 2010 (11), II Ch, 202.
- <sup>26</sup> Shaw M (N.), International law, Cambridge, Cambridge university press, 2003 (V éd.), 409.
- <sup>27</sup> La souveraineté territoriale a un effet deux aspects: positif et négatif. Le premier rapporte à l'exclusivité de la compétence de l'Etat ce qui concerne son propre territoire tandis que le second se réfère à l'obligation de protéger les droits des autres Etats. Voir, Judge Huber, *Island of Palmas Case(l'affaire de l'île de Palmas)*, 2 RIM, pp. 829, 838 (1928); 4 AD, pp. 103, 104. Cité par SHAW, M. *op.cit.*, p. 412.
- <sup>28</sup> Shaw M (N.), International law, Cambridge, Cambridge university press, 2003 (V éd.), 410.
- <sup>29</sup> ხუციშვილი ქ., სახელმწიფო საზღვრები, საერთაშორისო სამართალი (II), 1999, 14-15.
- <sup>30</sup> Robin G., Eloge de la frontière, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009 (1), n°104, 26-27.
- <sup>31</sup> ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ, 2014, 48.
- <sup>32</sup> G.J. Tanja, Ministry of Foreign Affairs, The Netherlands. *Dekker I (f), Post H (H.G.)*, The Gulf War of 1980-1988: The Iran-Iraq War in International Legal Perspective, Drordrecht/Boston/London: MartinusNijhoffPublishers, 1992, 44-45.
- <sup>33</sup> Anderson M. 1997, Frontiers, Territory and State formation in the modern world, Cambridge, Polity Press: 255, Reitel B., La frontière internationale, objet

sémique, processus multi-dimensionnel, interface signifiante. ceps.lu, 2011 (8), 2, <<http://www.ceps.lu/pdf/6/art1661.pdf>>, [18.1.2015].

<sup>34</sup> Robin G., Eloge de la frontière, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009 (1), n°104, 27.

<sup>35</sup> გაეროს ქარტია, მუხლები 2(4) და 2(7), UN Charter, 1945, <<http://www.un.org/fr/documents/charter/>>, [1.10.2014]; ONU, Assemblée générale, Résolution 2625 (XXV). Déclaration relative aux principes du droit international touchant les relations amicales et la coopération entre les Etats conformément à la Charte des Nations Unies, 24 octobre 1970, <<http://www.cetim.ch/legacy/fr/documents/res-2625-fra.pdf>>, [1.10.2015]; ONU Assemblée générale, Résolution 3314 (XXIX). Définition de l'agression, 14 décembre 1974, article 1, <<http://legal.un.org/avl/ha/da/da.html>>, [1.10.2015].

<sup>36</sup> მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული პრეტენზიები აქვს მაროკოს ესპანეთთან სეუტას და მელილიასთან დკავშირებით, ეს საზღვარი საერთაშორისოდ აღიარებულია. რაც შეეხება ინდოეთსა და პაკისტანს შორის ბარიერს, იგი „ლეგალური კონტროლის“ ხაზს შიგნით არის მოქცეული ინდოეთის მხარეს ზოგან 150მ. და ზოგან რამდენიმე კმ-აც კი. Novoseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 168.; EU criticises Pak's stand on LoC fencing, 2003 (12, 16), <<http://expressindia.indianexpress.com/news/fullstory.php?newsid=26872>>, [12.10.2015].

<sup>37</sup> გაეროს ქარტიის 2 (4) მუხლი ფორმულირებულია შემდეგანირად: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის ან მუქარის გამოყენებისგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისთვის შეუფერებელი სხვა წებისმიერი სახით“. გაეროს ქარტია, უხლი 2 (4), UN Charter, 1945, <<http://www.un.org/fr/documents/charter/>>, [1.10.2014].

<sup>38</sup> International Crisis group. Western Sahara: The Cost of the Conflict, Middle East/North Africa Report, N°65, 2007 (6, 11).

<sup>39</sup> Rubin A., We Are No Longer Able to. globalpolicy.org, 2005 (7, 7), <<http://www.globalpolicy.org/component/content/article/163/28669.html>> [23.05. 2015].

<sup>40</sup> Keinon H., PM details disengagement plan, Jerusalem Post, 2003 (12, 19) ციტირებულია Trager E., Security Fences Make Good Neighbor, Harvard IsraelReview, hcs.harvard.edu, <<http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04&name=trager>>, [22.05. 2015].

<sup>41</sup> Shirin M., Le « mur de la honte » en Palestine. Lariposte.com, <[http://www.lariposte.com/le-mur-de-la-honte-en-palestine\\_059.html](http://www.lariposte.com/le-mur-de-la-honte-en-palestine_059.html)>, [28.10.2014].

<sup>42</sup> Toameh Kh., (Abu), «Qurei slams «racist separation wall», Jerusalem Post, 2004 (1, 12) ციტირებულია Trager E., Security Fences Make Good Neighbor, Harvard IsraelReview, hcs.harvard.edu, <<http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04&name=trager>>, [28.10.2015].

<sup>43</sup> Farnsworth E., Ashrawi H., Transcript Extended Interview – HananAshrawi, NewsHour with Jim Lehrer Online Focus, 2004 (2), <[http://www.pbs.org/news-hour/bb/middle\\_east](http://www.pbs.org/news-hour/bb/middle_east)>, ციტირებულია Khalepari S., Barriers to Peace: Assessing Separation Barriers' Legality and their Implications for Peace Processes, University for Peace & Conflict, monitor.upeace.org, 2007 (1, 11), <[http://www.monitor.upeace.org/archive.cfm?id\\_article=452#\\_ftn8](http://www.monitor.upeace.org/archive.cfm?id_article=452#_ftn8)>, [02.03.2015].

<sup>44</sup> Lazaroff T., World anti-fence campaign kicks off, The Jerusalem Post, 2003 (11, 10) ციტირებულია Trager E., Security Fences Make Good Neighbor, Harvard Israel Review, hcs.harvard.edu, <<http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04&name=trager>>, [22.10.2014].

<sup>45</sup> Palestinian National Authority, Palestinian Central Bureau of Statistics, Survey on the Impact of the Expansion and Annexation Wall on the Socio-Economic

Conditions of Palestinian Localities which the Wall Passes Through, pcbs.gov.ps, 2005 (6), <[http://www.pcbs.gov.ps/Portals/\\_pcbs/PressReleas/Socioeconomic\\_June\\_e.pdf](http://www.pcbs.gov.ps/Portals/_pcbs/PressReleas/Socioeconomic_June_e.pdf)>, [23.10.2015].

<sup>46</sup> A/ES-10/PV.21, 9.

<sup>47</sup> Montmasson Ch., Chauvin N., Belfast, le ciment de la paix ne prend pas, Le mur 2, Ecole des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 16-18.

<sup>48</sup> Szymanski T., Israel's Security Fence, Back to the Wall?tekla-szymanski.com, 2004, <<http://www.tekla-szymanski.com/english/fenceprint.html>>, [19.10.2015].

<sup>49</sup> A/ES-10/PV.23, 6.

<sup>50</sup> Orkand S, (Benjamin), 394.

<sup>51</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით, „მოცემული „კედელი“ იმგვარი სახის კომპლექსური ნაგებობაა, რომ ეს ტერმინი არ შეიძლება გაგებული იქნას მკაცრი ფიზიკური მნიშვნელობით. *Conséquences juridiques de l'édition d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, §67, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

<sup>52</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის 2003 წლის 31 დეკემბერს გაგზავნილ წერილში, ისრაელი მკაცრად შეენინაღალმდეგა ამ და რამდენიმე სხვა ტერმინის გამოყენებას – „ოკუპანტი ძალა“ და „ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიები“, რომელთა გამოყენება „მოასწავებს, რომ „მწვანე ხაზი“ ან „სამხედრო დემარკაციის ხაზი“ სავარაუდო მიჩნეულია სავარაუდო პალესტინური სახელმწიფოს უცვლელ საზღვრად.“ *Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction]*, 2004 (1, 30), 11-13, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

<sup>53</sup> Belize O., Statement of Belize, Sorel, J-M., 2004 (2, 22), CR 2004/3, 3, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1515.pdf>>, [25, 10, 2015].

<sup>54</sup> Ministry of Foreign Affairs of Israel ,Sauver des Vies: La clôture antiterroriste d'Israël, mfa.gov.il, 2004 (10, 15), <[http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000\\_2009/2004/10/Sauver+des+Vies+-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm](http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies+-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm)>, [28.11.2015].

<sup>55</sup> Ibid.

<sup>56</sup> ისრაელის მიხედვით, პალესტინელთა მცდელობა პარალელი გაავლოს ბერლინის კედელთან „ვულგარული პროპაგანდაა, რომელიც მთლიანად მოწყვეტილია ისტორიული ფაქტებისგან“. Ibid.

